პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი [illegible]) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დღის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—20 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებული გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ოთხშაბათი, 31 ოქტომბერი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 253 (2296)

დ ღ ი უ რ ი

- ბორდოს დოკერებმა გადასწყვიტეს განაგრძონ გაფიცვა.
- ახალი საბუთები საკოსა და ვანცეტის უდანაშაულობის შესახებ.
- სიმშილობის საფრთხე ლატგალიაში (ლატვია).
- დაარსდა საერთაშორისო ელექტრო-ტრესტი.
- ერთი თვით დახურეს ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ორგანო „რუდე პრავო“.
- დირიჟაბლი „გრაფი ცეპელინი“ ამერიკიდან ევროპისაკენ გაფრინდა.
- დაიხურა საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი.

დღეს, ოქტომბრის 31, საღამოს 7 საათზე
შესდგება
სრ. საქ. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა
წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.
ს. ს. ცაკის მდივანი ი. ვარძიელი

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა
ნოემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

შვიდი საათის სამუშაო დღის გატარება

(საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმის გამო)

მალე წელიწადი შესრულდება მას შემდეგ, რაც ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე, საბჭოთა მთავრობამ გამოსცა ისტორიული დოკუმენტი. ჩვენ ვლაპარაკობთ იმ მანიფესტის შესახებ, რომლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პუნქტს შეადგენს წარმოებათა 7 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანა. საზოგადოდ მანიფესტს და კერძოდ ამ პუნქტს ზოგიერთი „კრიტიკულად განწყობილი“ ელემენტები იჭვის თვალით უყურებდნენ. მუშათა კლასის აშკარა მოსისხლე მტრები კი საბჭოთა მთავრობის მანიფესტს დემაგოგიურ დოკუმენტს უწოდებდნენ.

მას შემდეგ მხოლოდ ერთმა წელმა განვლო და ჩვენ უკვე შეგვიძლია უფრო მეტი რწმენით, უკვე ფაქტებით ხელში განვაცხადოთ, რომ მანიფესტი იყო და არის არა მარტო ჩვენი ძლევამოსილების დეკლარაცია, არამედ პრაქტიკულად შესაძლებელი და რეალური განსახორციელებელი უდიდესი ღონისძიებები, რომელნიც მიმართულია საბჭოთა აღმშენებლობის შემდგომ განმტკიცება-გამაგრებისაკენ.

ეს რომ ასეა, ამას მოწმობს, სხვათა შორის, საკავშირო პროფსაბჭოს ახლად დასრულებული პლენუმიც, რომელმაც ჯამი გაუკეთა ერთი წლის მუშაობას წარმოებათა შვიდ საათის სამუშაო დღეზე გადაყვანის დარგში. გამოირკვა, რომ ძირითადი მოსაზრებები, რომელნიც საფუძვლად ედო მანიფესტის ამ პუნქტს სავსებით გამართლდა. ასე, მაგალითად, შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლამ დიდად შეუწყო ხელი მრეწველობის პროდუქციის ზრდას. ამასთან ერთად საწარმოებში დაბანდებულ იქნა ახალი მუშა-ხელის მნიშვნელოვანი რაოდენობა, რამაც შეასუსტა უმუშევრობა. გარდა ამისა, ფაბრიკა-ქარხნების ტექნიკური მოწყობილობათა ექსპლოატაცია შვიდი საათის სამუშაო დღის შემოღების შემდეგ, უფრო უნაკლოდ და მიზანშეწონილად სწარმოებს. ეს არის ის უდაო მიღწევები, რომელსაც ჩვენ მოველოდით შემოკლებულ სამუშაო დღიდან და, რომელიც უკვე ფაქტი ხდება.

თავისთავად ცხადია, რომ შეუძლებელი იყო ამ დიდი ღონისძიების ჩატარებას რაიმე დაბრკოლებები არ შეხვედროდა წინ. ეს მით უფრო, რომ შვიდი საათის სამუშაო დღე ახალი საქმეა, მის გასატარებლად საჭირო იყო საფუძვლიანი წინასწარი სამზადისი, რაიც ყველა წარმოებებმა ერთნაირი წარმატებით ვერ შესძლეს. ამიტომ შემოკლებულ სამუშაო დღეზე გადასვლის საქმეში ზოგჯერ ადგილი ჰქონდა დეფექტებს და მნიშვნელოვან დეფექტებსაც.

ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას შვიდი საათის სამუშაო დღის გატარებაში წარმოადგენდა კვალიფიციურ მუშა-ხელის ნაკლებობა. ჩვენ არაერთხელ გვქონდა შემთხვევა აღგვენიშნა, რომ უმუშევრობა საბჭოთა კავშირში თავისებურ ხასიათს ატარებს. იმ დროს, როცა შრომის მომწესრიგებელ ორგანოებს აღრიცხვაზე ყავს აყვანილი უმუშევართა საკმაოდ დიდი რაოდენობის მასები, ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები განიცდიან კვალიფიციურ მუშა-ხელის მწვავე ნაკლებობას. უმუშევართა დიდ უმრავლესობას წარმოადგენს სწორედ პროფესიონალურად არა-კვალიფიციური მასა. ეს არის ჩვენი უმუშევრობის განმასხვავებელი თვისება და, ამავე დროს, ამაშივე მდგომარეობს უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი სიძნელე. აშკარაა, რომ შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლისა და მუშაობის სამ ცვლად შემოღების შემდეგ მოთხოვნილება კვალიფიციურ მუშა-ხელზე კიდევ უფრო გაიზარდა. რადგან ჩვენი შრომის მომწესრიგებელი ორგანოები არსებულ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდნენ, შემოკლებულ სამუშაო დღეზე გადასული ფაბრიკა-ქარხნები იძულებული გახდენ იმით დაკმაყოფილებულიყვნენ, რაც იყო. კვალიფიციურ მუშა-ხელის სიმცირისაგან გამოწვეულ გართულების რამდენადმე შესუსტება შეიძლებოდა არსებულ კვალიფიციურ მუშათა კადრების რაციონალურად გადანაწილების გზით. მაგრამ ამას ხელი შეუშალა უბინაობამ, რასაც ერთნაირად მწვავედ განიცდის თითქმის ყველა სამრეწველო ცენტრები და პუნქტები.

ამასთან ერთად სამცვლად შემოღებულ მუშაობის შემდეგ, რამაც ბუნებრივად გამოიწვია მრეწველობის პროდუქციის ზრდა, ზოგჯერ ფაბრიკა-ქარხნები აღმოჩნდნენ ნედლი მასალის ნაკლებობის წინაშე. იყო მიღებული ზომები იმისათვის, რომ ნედლეულის სათანადო რაოდენობის მარაგი დროზე ყოფილიყო დამზადებული.

მიუხედავად ამ დაბრკოლებათა, მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში მთელი მრეწველობა გადაიყვანოს შვიდი საათის სამუშაო დღეზე. ამ მიზნით მიმდინარე წლისათვის უკვე შედგენილია ახალი სია მთელ რიგ წარმოებათა, რომლებშიაც მიმდინარე 1928-29 სამეურნეო წელში შემოღებული იქნება შვიდი საათის სამუშაო დღე. სიის მიხედვით მიმდინარე წლის განმავლობაში ეს ღონისძიება გავრცელდება საბჭოთა კავშირის მუშათა საერთო რიცხვის ერთ მეხუთედზე.

ყოველივე ეს ჩვენ გვავალებს გვაცხოველოთ საქმიანობა იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ დაბრკოლებანი, რომელნიც აფერხებენ შვიდი საათის სამუშაო დღის უმტკივნეულოდ გატარებას. ამ მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კვალიფიციურ მუშა-ხელის სათანადო მომზადებას და ნედლეულის მიწოდების გაძლიერებას. ამ გზით ჩვენ შევძლებთ საბჭოთა მთავრობის მანიფესტით დაწესებულ უდიდეს გამარჯვების შემდგომ განმტკიცებას და გაფართოებას.

ფინანსიური ბლოკადის ორგანიზატორები

ჩვენ უკვე მოვათავსეთ „პრავდა“-ში ცნობა იმ მეტად საეჭვო ორგანიზაციის საეჭვო საქმიანობის შესახებ, რომელიც თავის თავს რუსეთის კრედიტორთა ინტერესების დამცველ საერთაშორისო კომიტეტს უწოდებს. ამ კომიტეტის მონაწილეთა შეკრების დროს, ლონდონში წარმოდგენილნი იყვნენ ევროპის ყველაზე უფრო „გავლენიანი“ ქვეყნების ფინანსიური წრეები და ევროპის პლუტოკრატიის „ნაღები“—როტშილდები, მენდელსონები და კომპანია. ამ ყრილობაზე ტონის მიმცემი იყო ნულანსის ხროვა. კომიტეტის ყრილობისათვის დამახასიათებელია ის, რომ მას არ დაესწრნენ ამერიკელი ბანკირები და ამავე დროს დაესწრნენ გერმანელები.

თავისთავად ცხადია, ჩვენ თავიდანვე ვიცოდით, თუ რა აზრი ჰქონდა ლონდონში მოწვეულ ყრილობას. ჩვენთვის თავიდანვე გარკვეული და ნათელი იყო ბანკირთა კომიტეტის ნამდვილი ბუნება და დანიშნულება. შემთხვევითი როდია ის, რომ კომიტეტში მონაწილეობას იღებენ ევროპის კაპიტალიზმის წინანდ წყლის რეაქციონური „მოღვაწენი“, შემთხვევითი არ არის, რომ იქ ვხედავთ შრომის რესპუბლიკის წინააღმდეგ მოწყობილ ინტერვენციის ინიციატორებს. ლონდონის ყრილობაზე ეს ვაჟბატონები, ალბად, გამოვლენ ჩვენი ქვეყნის ფინანსიური ბლოკადის ორგანიზატორებად. სწორედ ამ მიზნით ცდილობენ შექმნან ბანკირების მთლიანი ანტისაბჭოთა ფრონტი და გააერთიანონ ევროპის ფინანსიური კაპიტალის „ცოცხალი“ (უნდა ვავიგოთ ბნელი) ძალები „რუსეთის კრედიტორთა ინტერესების დასაცავად, ე. ი. საბჭოთა კავშირზე გაერთიანებული თავდასხმისათვის არ შეიძლება შემთხვევით ჩაითვალოს ის, რომ ბანკირების ყრილობა მოწვეულია ინგლისში, მას მფარველობას უწევს ინგლისის კონსერვატიული მთავრობა—ყველაზე უფრო აგრესიული და აშკარა ანტი-საბჭოთა პოლიტიკის ინიციატორი და სულის ჩამდგმელი. ლონდონის კაბინეტის ხელში „ბანკირთა კომიტეტი“ არის ერთგვარი დამხმარე იარაღი ინგლისის დიპლომატიის ყველაზე უფრო ბნელ ზრახვათა განსახორციელებლად.

ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოგვატყუებენ დიპლომატიური ნიღაბით (თითქოს კომიტეტი შექმნილია შეზღუდული ფუნქციებით, თითქოს მთავრობას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ამ კერძო საქმესთან და სხვ.) და სხვადასხვა თვალთმაქცური განცხადებით. აქ ჩვენ ვხედავთ საბჭოთა კავშირზე ზეგავლენის მოხდენის ცდას, შანტაჟს და აშკარა ფარულ მუქარას ჩვენს მიმართ. ევროპის კაპიტალიზმის შეილოკები კვლავ აკრაჭუნებენ კბილებს, კვლავ ცდილობენ მევახშური უღელი დაადგან კისერზე თავისუფალ მუშებს, მშრომელებს და გლეხებს და დაიმონონ ისინი. აი რა აზრი აქვს მათ დემონსტრატიულ გამოსვლას ლონდონში. აი რატომ სცდილობს ინგლისის კონსერვატიული გაზეთი „დეილი ტელეგრაფ“-ი დაარწმუნოს ყველა, რომ ბანკირთა კომიტეტი საკმაოდ ძლიერია, რათა ხელი შეუშალოს „რუსეთის მთავრობის მიერ ახალი სესხის მიღებას რუსეთის კრედიტორთა უფლებების სათანადო განხილვის გარეშე“. ჩვენთვის ნათელია საქმის უფრო, ასე ვსთქვათ, „სპეციალური“ მხარე. ძნელი არ არის იმ კავშირის დანახვა, რომელიც არსებობს კომიტეტსა და ნავთის მაგნატს—ანტი-საბჭოთა ხრიკების სულის ჩამდგმელს—დეტერდინგს შორის, რომელმაც, როგორც ვიცით, შეისყიდა „რუსეთის ფასიანი ქაღალდები“ და ეხლა ცდილობს ხელი მოითბოს სხვების შემწეობით. ამრიგად, ჩვენთვის სავსებით ნათელია, თუ როგორი „კერძო“ ხასიათისა კომიტეტის საქმიანობა და რა მიზნებს ისახავს იგი.

უნდა აღვნიშნოთ გერმანიის პრესის მეტად ბუნდოვანი განცხადებები ამ საკითხის გამო. გერმანიის პრესა აცხადებს, რომ გერმანიის მთავრობა მონაწილეობას არ იღებს ლონდონის თათბირში და რომ ბანკირთა კომიტეტის საქმიანობა იმდენად უვნებელია, რომ ის არც კი ეწინააღმდეგება რაპალოს ხელშეკრულებას. ეს განცხადება იმდენად ფარისევლური და ყალბია, რომ არც კი ღირს მისი განხილვა, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ „სოციალისტურ“ „ფორვერტს“-ის ლვარძლიან შენიშვნებს (გერმანიის სოციალ-დემოკრატიის საზიზღარი როლი ამ საქმეში განსაკუთრებით უნდა იქნეს აღნიშნული) და აგრეთვე, იმას, რომ ინგლისის შუბლმაგართა პრესა ტაშს უკრავს გერმანიას.

თუნდაც დაუშვათ, რომ გერმანიის მონაწილეობა ლონდონის კომიტეტში არის „მანევრები“, ეს მანევრები მაინც მეტად თავისებურად გამოიყურება. ყოველ შემთხვევაში მას არ შეუძლია ხელი შეუწყოს გერმანია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის გაუმჯობესებას. კიდევ უფრო ნაკლებ განამტკიცებს გერმანია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობას, ის, თუ ლონდონის კომიტეტზე აღებული ორიენტაცია ნიშნავს გერმანიის საგარეო პოლიტიკის კურსის შეცვლას.

ჩვენ ვამხილებთ და მომავალშიაც ვამხელთ ლონდონის კამპანიის შანტაჟისტურ ზრახვებს, ფარდას ავხდით მევახშეების, მძარცველების და სპეკულიანტების—ბლოკადის და ინტერვენციის ორგანიზატორების. „ინტერნაციონალ“-ის პროვოკატორულ გამოსვლებს.

ჩვენ მათ შორის ვამხელთ იმ პოლიტიკურ ზუზრესაც, რომელნიც „თავიანთ ქვეყნებში“ ატარებენ აშკარა პოგრომულ ხაზს საკუთარი პროლეტარიატის მიმართ; ამ ვაჟბატონების იდეოლოგია არის კონსერვატიული პარტიის ყაჩაღური იდეოლოგია.

ჩვენ წინდაწინვე ვაფრთხილებთ ამ ვაჟბატონებს და ყველა იმათ, ვინც მათ მფარველობას უწევს, რომ ჩვენი სისუსტის ყოველგვარი იმედი არის სრულიად უვარგისი და უსაფუძვლო იმედი. სოციალისტური მშენებლობის სიძნელეებზე მევახშეები ხელს ვერ მოითბობენ, ჩვენ მათ ამის ნებას არ მივცემთ. ჩვენ მათ სათანადო პასუხი გავეცით მაშინაც, როცა გაცილებით უფრო სუსტნი ვიყავით. დეე, ისინი ჩაუფიქრდნენ ჩვენი ინდუსტრიალიზაციის სესხის უდიდეს გამარჯვებას (403 მილ. მან. 24 ოქტომბრისათვის) და მხედველობაში იქონიონ ჩვენი ძლიერების და სიმტკიცის ეს ღირსშესანიშნავი დემონსტრაცია.

ჩვენ მშვენივრად ვისწავლეთ საქმიანი ურთიერთობის გარჩევა პოლიტიკურ შანტაჟისაგან. ჩვენ ვცდილობდით და ვცდილობთ ყოველმხრივ გავაფართოვოთ ჩვენი საქმიანი და ეკონომიურ-საკრედიტო ურთიერთობა კაპიტალისტურ ქვეყნებთან, მაგრამ ერთი წუთითაც არ გადაგვიხვევია და არც გადავუხვევთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხაზის მტკიცედ გატარებას.

ჩვენ ყველა დაინტერესებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოსთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას ყოველგვარ კონკრეტულ პრაქტიკულ და საქმიან საკითხებზე, მაგრამ ამავე დროს გადაჭრით და დაუზოგავად ვამხელთ ბანკირთა „ინტერნაციონალური“ კომიტეტის მსგავს ორგანიზაციების თავხედურ ხრიკებს. უბადრუკი და სასაცილოა ყოველგვარი ცდა, რომ ჩვენი საქმიანი ურთიერთობა კაპიტალისტურ ქვეყნებთან დაუქვემდებარონ ნულანსის ყაიდის მევახშეთა ლონდონში შეკრებილი ხროვის „კონტროლს“. ჩვენ, რასაკვირველია, მათთან არავითარ მოლაპარაკებას არ ვაწარმოებთ, არამედ ფხიზლად ვადევნებთ თვალ-ყურს მათ ბნელ მახინაციებს და მანევრებს. ჩვენთვის აშკარაა, რომ ფინანსიური ბლოკადის ახლად გამომცხვარი (ზოგიერთი მათგანი ძველი სტაჟითაა“) ორგანიზატორები სამარცხვინოდ მოსტყუვდებიან. მათ უკვე ხელი დაიწვეს „მთლიან ფრონტზე“ ჟენევაში და ჰააგაში. ხელს დაიწვავენ ეხლაც, რამდენიც არ უნდა ინერვიულონ და როგორ ავანტიურებზედაც არ უნდა წავიდნენ.

„პრავდა“, 30 ოქტომბერი.

ინგლისის კონსერვატორების დამარცხება დამატებითი არჩევნებში

კონსერვატორებმა დაჰკარგეს 10 მანდატი.-მუშათა პარტიამ მოიგო 9 მანდატი

ავღანისტან-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობა ფართოვდება

დამატებითი არჩევნები ინგლისში

ლონდონი, 29 ოქტომბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება დამატებითი არჩევნების შედეგების შესახებ ეშტონ ენდერ ლეინში: ამორჩეულია მუშათა პარტიის კანდიდატი **ბელეგი,** რომელმაც 9.567 ხმა მიიღო. კონსერვატორმა **ლოუჩმა** მიიღო 716 ხმა, ლიბერალმა **გრინფუდმა**—874 ხმა. დღევანდლამდე ეშტონ ენდერ ლეინს პარლამენტში წარმომადგენლად ჰყავდა კონსერვატორი. მიმდინარე წელს ეს მეხუთე არჩევნებია, რომელზედაც მთავრობა ადგილს ჰკარგავს. **საყოველთაო არჩევნების შემდეგ 52 დამატებითი არჩევნები მოხდა. ამ დამატებითი არჩევნებში კონსერვატორებმა 10 ადგილი დაჰკარგეს, მუშათა პარტიამ 9 ადგილი შეიძინა და ლიბერალებმა—1 ადგილი.** (ადს).

ავღანისტან-საბჭ. კავშირის სავაჭრო ურთიერთობა

მოსკოვი, 30 ოქტომბერი. აღმოსავლეთ-საკავშირო სავაჭრო პალატის ავღანისტანის ქვესექციამ მოისმინა სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენელთა და ავღანისტანის ვაჭრების მოხსენება ავღანისტანსა და საბჭოთა კავშირის ვაჭრობისა და ავღანისტანის ბაზრის კონიუნქტურის შესახებ, საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის გამო წლითი წლობით იზრდება პროდუქციის გამოტანა ჩრდილოეთ ავღანისტანიდან საბჭოთა ბაზრებზე, ავღანისტანში იზრდება საბჭოთა სამრეწველო საქონლის მოთხოვნილება. გასულ სამეურნეო წელს, საბჭოთა კავშირის ვაჭრობამ ავღანისტანთან ომის წინადროის დონეს მიაღწია და სავსებით უზრუნველჰყო ავღანისტანის ჩრდილოეთ ბაზრების მოთხოვნილება სამრეწველო საქონელზე.

ეკონომიური ურთიერთობის განვითარების შემდგომ ამოცანას წარმოადგენს საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაში ავღანისტანის ახალი რაიონების—გერადის, კანდაგარის და ანხოის ჩაბმა. ამ რაიონებიდან საბჭოთა კავშირში შეიძლება შემოტანილ იქნას მრავალი ნედლეული, კერძოდ კარაკული.

პალატა ავღანისტანის ვაჭრებსა და სამეურნეო ორგანიზაციებთან ერთად არკვევს სამხრეთ ავღანისტანთან ვაჭრობის პირობებს ამ ბაზრების ტევადობას და სამრეწველო საქონლის სათანადო ასორტიმენტს. (ადს).

ბორდოს დოკერების გაფიცვა

პარიჟი, 29 ოქტომბერი. ბორდოში გაიმართა გაფიცული დოკერების მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ უნიტარული და რეფორმისტული პროფკავშირების წარმომადგენლები (ბორდოს დოკერები უკვე მეექვსე კვირაა, რაც გაფიცულნი არიან). მიტინგმა ერთხმად დაადგინა—განგრძობილ იქნას გაფიცვა. ჟირონდის დეპარტამენტის გენერალურმა საბჭომ, მისი თავმჯდომარის და ბორდოს მერის სოციალისტ მარკეს წინადადებით, დაადგინა—სთხოვოს პუანკარეს, ჩაერიოს კონფლიქტში.

შემდეგ გენერალურმა საბჭომ დაადგინა—სთხოვოს ჟირონდის პრეფექტს, რომ ფულით დაეხმაროს დიდ ოჯახიან გაფიცულებს, ხოლო მთავრობასა და პარლამენტს—საჩქაროდ გაატარონ კანონი სავალდებულო მორიგების შესახებ. (ადს).

შრომის ხელფასი ლატვიაში

რიგა, 29 ოქტომბერი. „სოციალ-დემოკრატ“-ი აქვეყნებს ოფიციალურ ცნობებს შრომის ხელფასის შესახებ ლატვიაში. წლის იანვრიდან ავგუსტომდე კვალიფიციური მუშის სამუშაო ხელფასი სულ არ გაზრდილა, ხოლო შავი მუშის სამუშაო ხელფასი 2,5 პროცენტით გადიდდა. სიძვირემ კი ამ დროის განმავლობაში 23 პროცენტით იმატა. განსაკუთრებით მძიმეა იმ მუშა - ქალების მდგომარეობა, რომელნიც საშუალოდ ოჯახის შესანახად საჭირო მინიმუმის მხოლოდ ერთ მესამედს იღებენ. რაც შეეხება პროვინციას, შრომის ხელფასის მდგომარეობა იქ, გაზეთის სიტყვით, კატასტროფიულია. (ადს)

საკოსა და ვანცეტის უდანაშაულობის ახალი საბუთები

ნიუ-იორკი, 29 ოქტომბერი. ბურჟუაზიულმა ჟურნალმა „აუტლუკმა“ გამოაქვეყნა საკოსა და ვანცეტის უდანაშაულობის ახალი საბუთები.

იმ პროცესამდე, რომელზედაც სასამართლოს წინაშე ერთად წარსდგნენ საკო და ვანცეტი, რომელთაც ძარცვა-გლეჯა დააბრალეს, ვანცეტის უკვე მისჯილი ჰქონდა 15 წლის პატიმრობა სხვა მკვლელობის გამო, რომელსაც მას აბრალებდნენ. ამ გარემოებამ ძალიან იმოქმედა სასამართლოს განაჩენზე, რადგან ვანცეტი მეორე სასამართლოს წარუდგა როგორც აშკარა „კაცის მკვლელი“. ამას მით უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ სასამართლოს თავმჯდომარედ იგივე მოსამართლე ტეიერი იყო, რომელმაც ვანცეტი წინათ „გაასამართლა“.

„აუტლუკმა“ გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ ნამდვილი დამნაშავე **ბანდიტები გამოტყდნენ იმ ბოროტმოქმედებაში, რომლისთვისაც პირველად პატიმრობა მიესაჯა ვანცეტის.** ირკვევა, რომ ვანცეტის არავითარი კავშირი არ ჰქონია იმ მკვლელობასთან, რომლისათვისაც სასჯელი მიაკუთვნეს. ჯერ კიდევ საკოსა და ვანცეტის გასამართლების დროს **ნამდვილ მკვლელებს საჯაროდ სურდათ დანაშაულის აღიარება და ბრალდების მოხსნა ვანცეტისაგან, მაგრამ მოსამართლე ტეიერის შოფერი დაემუქრა მათ და ჩააჩუმა. საკოსა და ვანცეტის დასჯის წინ დამნაშავეებმა კიდევ სცადეს სინამდვილის გამორკვევა. მათი წერილობითი ჩვენება გადაეცა მასაჩუზეტის შტატის გუბერნატორს ფულერს, რომელმაც დამალა ეს ჩვენება და მხოლოდ ახლა ელირსა მას გამოქვეყნება.**


WHAT I WISH MORE THAN ALL IN THIS
LAST HOUR OF AGONY IS THAT OUR
CASE AND OUR
FATE MAY BE UNDERSTOOD
IN THEIR REAL BEING AND SERVE
AS A TREMENDOUS LESSON TO
THE FORCES OF FREEDOM
SO THAT OUR SUFFERING AND DEATH
WILL NOT HAVE BEEN IN VAIN

საკოსა და ვანცეტის ბარელიეფი, რომელიც ახლა-ხან დაასრულა ცნობილმა ამერიკელმა მოქანდაკე გუდზონ ბორგლუმმა
დაფაზე გაკეთებულია წარწერა, აღებული ვანცეტის მიერ სიკვდილით დასჯამდე რამდენიმე საათით ადრე დაწერილ წერილიდან

საარჩევნო კამპანია შვეიცარიაში

ბერლინი, 29 ოქტომბერი. 28 ოქტომბერს შვეიცარიაში მოხდა ეროვნული საბჭოს (ქვედა პალატის) არჩევნები. მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 80 პროცენტმა. ამავე დღეს მოხდა წოდებრივი საბჭოს (ზედა პალატის) ნაწილობრივი არჩევნები. არჩევნების შედეგი ჯერ არ არის გამორკვეული. მაგრამ არსებული ცნობების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ პარტიების ძალთა განწყობილება მეტად უმნიშვნელოდ შეიცვლება. წოდებრივი საბჭოს არჩევნები 25 კანტონიდან 14 კანტონში მოხდა.

სოციალ-დემოკრატებმა დაჰკარგეს ორი კანტონის მანდატი, რომელიც მათ წინათ ჰქონდათ. (ადს).

წითელ-ფრონტელთა კავშირის დაშლა ავსტრიაში

ვენა, 29 ოქტომბერი. უზენაესმა სასამართლომ უშედეგოდ დასტოვა ავსტრიის წითელი ფრონტელების კავშირის საჩივარი იმის გამო, რომ კანცლერის სამმართველომ დაადგინა კავშირის დაშლა. სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება იმით დაასაბუთა, რომ წითელი ფრონტელების კავშირის მოქმედება „საფრთხეს უმზადებს საზოგადოებრივ მყუდროებასა და წესრიგს“. **წითელი ფრონტელების კავშირის დაშლის შემდეგ ავსტრიაში დაარსდა მუშათა თავდაცვის კავშირი, რომელმაც თავისი წესდება დასამტკიცებლად წარუდგინა საკავშირო კანცლერის სამმართველოს, მაგრამ დღევანდლამდე პასუხი არ მიუღია.** (ადს).

თურქეთის რესპუბლიკის ხუთი წლის თავი

ანგორა, 30 ოქტომბერი. ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„რესპუბლიკის არსებობის 5 წლის თავი მთელმა თურქეთმა განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნა. კერძო და საზოგადოებრივი წარმოებები და დაწესებულებანი დაკეტილი იყო. რესპუბლიკის პრეზიდენტმა პარლამენტის სასახლეში გამართა საზეიმო დარბაზობა, რომელსაც დაესწრო დიპლომატიური კორპუსი“. (ადს).

საღამო თურქეთის თბილისის საკონსულოში

29 ოქტომბერს თურქეთის გენერალურ საკონსულოში შესდგა საღამო თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადების 5 წლის თავის აღსანიშნავად.

საღამოს დაესწრნენ ამიერ-კავკასიის და საქართველოს მთავრობის წარმომადგენელნი, აგრეთვე თბილისის კონსულთა კორპუსი.

წარმოთქმულ სიტყვაში დამსწრეებმა შემდგომი აყვავება უსურვეს თურქეთის რესპუბლიკას და მის ხალხს.

დღისით, 1 საათიდან 3 საათამდე საკონსულოში შესდგა მილოცვების მიღება. თურქეთის ვიცე-კონსულს მილოცვა გადასცეს ამიერ-კავკასიის და საქართველოს მთავრობებმა.

კონფლიქტი რეინ-ვესტფალიის მძიმე მრეწველობაში

ბერლინი, 30 ოქტომბერი. მელითონეების შემთანხმებელ კავშირთან არსებულმა სახელფასო კომისიამ დაადგინა—მიიღოს სამედიატორო გადაწყვეტილება რეინ-ვესტფალიის მძიმე მრეწველობაში ჩამოვარდნილი კონფლიქტის შესახებ. ეს სამედიატორო გადაწყვეტილება უარჰყვეს თანამდებობის პირთა კონფერენციებმა უმნიშვნელოვანეს რაიონებში: დორტმუნდში, ესენში, ბოხუმში და სხვ. კომისიაში კენჭი არ უყარეს მემარცხენე უმცირესობის რეზოლიუციას იმის შესახებ, რომ მრეწველობის მუქარაზე მუშებს შესაფერი პასუხი გაეცათ. უფრო მეტიც: უარყოფილ იქნა მელითონეთა ყვითელი კავშირის წარმომადგენლების წინადადება, რომ სამედიატორო გადაწყვეტილების საკითხის შესახებ რეფერენდუმი მომხდარიყო. მრეწველები სარგებლობენ იმით, რომ რეფორმისტები ბრძოლას გაურბიან, განზრახული აქვთ გამოაცხადონ ლოკაუტი 31 ოქტომბერს. (ადს).

„რუდე პრავო“-ს დახურვა

პრაღა, 29 ოქტომბერი. ჩეხო-სლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ **შინაგან საქმეთა სამინისტრომ,** რესპუბლიკის დაცვის კანონის თანახმად, **გადასწყვიტა 1 თვით აკრძალოს კომუნისტური ორგანო „რუდე პრავო“-ს გამოცემა.** (ადს).

სიმშილობის საფრთხე

რიგა, 29 ოქტომბერი. როგორც გაზეთი „პედეია — ბრიდი“ იუწყება, ლატგალიას ახლო მომავალში შიმშილი მოელის. პურის მარაგი შობამდეც ვერ გაჰყვებათ. საკვების უქონლობის გამო, საქონელს მასიურად ჰყიდიან. წელს შეუძლებელი იქნება პურის მაგიერება კარტოფილმა გასწიოს, ვინაიდან ეს უკანასკნელი ყინვებმა გააფუჭა.

გაზეთი მოითხოვს, მთავრობამ დახმარება გაუწიოს ლატგალიას. (ადს)

კაპიტალისტების ულტიმატუმი

პარიჟი. 29 ოქტომბერი. რკინის გზის კომპანიის დირექტორმა გამოუცხადა გაფიცულ რკინის გზელებს, რომ ყველა ის მუშა-მოსამსახურე, რომელიც დაუყოვნებლივ არ დაუბრუნდება სამუშაოს, საბოლოოდ დათხოვნილად იქნება გამოცხადებულიო (ადს).

„საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის“

პარიჟი, 29 ოქტომბერი. ესპანეთში გაიხსნა საკანონმდებლო კრება. კრების გახსნის თავმჯდომარემ **ხანგუასმა** განაცხადა, რომ **„ესპანეთი მომწიფებული არ არის ნორმალური კონსტიტუციონური წყობილებისათვისო“** და უახლოეს დროისათვის „საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის“ უნდა დატოვებულ იქნას პრიმა დე რივერას დიქტატურაო (ადს).

„გრაფი ცეპელინი“ ევროპისაკენ გაფრინდა

ნიუ-იორკი, 29 ოქტომბერი. გერმანიის დირიჟაბლი „გრაფ ცეპელინი“ ორშაბათ დილით ლეიკჰერსტიდან ისევ ევროპისაკენ გაფრინდა. „ცეპელინი“ ჩრდილოეთის გზით მიფრინავს. კარგი ამინდისა და ხელის შემწყობ ქარის გამო დირიჟაბლი საათში 150 კილომეტრს გადის. ფიქრობენ, რომ დირიჟაბლი ნიუ-ფაუნდლენდს შემოუვლის და გაემართება ირლანდიისაკენ, სადაც მას ხუთშაბათს მოელიან. დირიჟაბლის უფროსის ეკენერის უკანასკნელი რადიო- ცნობის თანახმად დირიჟაბლზე ყველაფერი რიგზეა. მგზავრები კარგად გრძნობენ თავს. მათ შორის, არის გამოპარული ამერიკელი—17 წლის ყმაწვილი, რომელმაც ყოველგვარი ზომების მიუხედავად მაინც მოახერხა დირიჟაბლის კორპუსში დამალვა. (ადს).

საერთაშორისო ელექტრო-ტრესტი

პარიჟი, 29 ოქტომბერი. „ენდეპანდას ბელჟ“-ში ჩამოთვლილია ის ფირმები, რომლებიც შედიან ბრიუსელში ახლად შემდგარ ელექტრონის საერთაშორისო ტრესტში. გარდა ბელგიის ელექტრონის წარმოებათა უმრავლესობისა, ტრესტში შევიდნენ ნიუ-იორკის ელექტრონის საერთაშორისო კომპანია (ჟენერალ ელექტრიკ), პარიზის— „სოსიეტე ფინანსიერ ელექტრიკ“, ლონდონის— „ელექტრიკ ენდ რეიველ ფინანს კორპორეიშენ“, „ვიკერსის კომპანია, მადრიდის—ესპანეთ-ამერიკის ელექტრონის კომპანია, აგრეთვე ბანკების მთელი რიგი, მათ შორის გერმანიის ბანკების უმრავლესობა, ჰოლანდიის ბანკები, იტალიელთა, ესპანელთა, ამერიკელთა, ფრანგთა და სხვათა ბანკები. (ადს).

მემაღაროეთა კავშირის ცეკას პრეზიდიუმში

მოსკოვი, 30 ოქტომბერი. მემაღაროეთა კავშირის ცეკას პრეზიდიუმმა მოისმინა მოხსენება მიწის ქვეშ მომუშავე მემაღაროეთა ექვსი საათის სამუშაო დღეზე გადაყვანის წინასწარი შედეგების შესახებ. ექვს საათზე გადასვლა სავსებით დასრულდა მხოლოდ დონბასში. გადასვლამ დადებითი ეკონომიური შედეგი მოგვცა: „დონუგოლ“-ში ქვანახშირის საშუალო ამოღება დღე-ღამეში წინა ორ თვესთან შედარებით, სექტემბერში 2 პროცენტით გადიდდა. მემაღაროეთა კავშირის ცეკას პრეზიდიუმმა თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ დირექტივა ექვსი საათის სამუშაო დღეზე გადასვლის შესახებ არ შეუსრულებია „მოსკვუგოლ“-ს და ურალისა და ციმბირის ქვანახშირის ტრესტებს, და გადასწყვიტა, სთხოვოს საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატ, პასუხისგებაში მიეცნენ ხსენებული ტრესტების ხელმძღვანელები. (ადს).

საქ. ლენინურ კომკავშირის 10 წ. თავი

საკ. კომკავშირის ცეკას საზეიმო სხდომა

მოსკოვი, 30 ოქტომბერი. 29 ოქტომბერს საღამოთი მოსკოვის კომკავშირმა იდღესასწაულა კომკავშირის 10 წლის თავი. დიდ თეატრში, სადაც გაიმართა ლენინური კომკავშირის ცეკას საზეიმო პლენუმი, შეიკრიბა 2.000 კაცამდე. დამსწრეთა შორის იყვნენ ამხ. **კალინინი, კრუპსკაია, კაგანოვიჩი, ფელიქს კონი, ლუნაჩარსკი, არტიუხინა, პოკროვსკი, სემაშკო** და კომკავშირის სრულიად რუსეთის ყრილობის პრეზიდიუმის წევრები: ამხ. **ახმანოვი, გერი, რივკინი, სმოროდინი, დუნაევსკი** და სხვები. საზეიმო სხდომა გახსნა საკავშირო ლენინური კომკავშირის ცეკას გენერალურმა მდივანმა ამხ. **მილჩაკოვმა.**

„10 წლის წინად,—განაცხადა ამხ. მილჩაკოვმა,—შესდგა რევოლიუციონური ახალგაზრდობის სრულიად რუსეთის პირველი ყრილობა. ჩვენი კავშირი აღიზარდა და გაკაჟდა სამოქალაქო ომის პირობებში. კავშირის საუკეთესო წევრებმა თავი დასდეს რევოლიუციისათვის ბრძოლაში. ფეხზე ადგომით პატივი ვსცეთ მათ ხსოვნას (ყველა ფეხზე დგება, ორკესტრი სამგლოვიარო მარშს უკრავს). მკერდით დავიცავით ჩვენ ოქტომბრის მონაპოვარი. ჩვენი ქვეყანა შეუდგა მშვიდობიან შრომას და კომკავშირიც გადავიდა შრომის ფრონტზე. მან შექმნა საქარხნო-საფაბრიკო სკოლები, შეუდგა მეცადინეობას, და ამჟამად კომკავშირელები ასი ათასობით მუშაობენ კოოპერაციაში, ქოხ-სამკითხველოებში და კლუბებში. კომკავშირის რიგებში ამჟამად 2 მილიონი კაცია. ჩვენი კავშირი პარტიის ღირსეული მოწაფე და მისი თანაშემწე იქნება. ჩვენ ვმუშაობთ და ვიმუშავებთ ისე, როგორც გვიანდერძა ლენინმა. ჩვენ დაუზოგველი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ ჩამორჩენილობის, ბიუროკრატ. და უკულტურობის წინააღმდეგ, საბოლოოდ უნდა ავლაგმოთ კლასობრივი მტერი. ჩვენი ამოცანაა—შთაუნერგოთ მოზარდ თაობას რევოლიუციონური ცეცხლი და ჩაუნერგოთ მისწრაფება სოციალისტური მშენებლობისა, ბრძოლისა და გამარჯვებისაკენ. ენერგიული კომუნისტური მეცადინეობით, დისციპლინით და კოლექტიური შრომით აღვზრდით ჩვენ ყოველ კომკავშირელს ისე, რომ ის იყოს კომუნიზმის საუკეთესო მშენებელი და ოქტომბრის საიმედო დარაჯი“.

საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ძველი კომკავშირელნი: ამხ. **რივკინი, გერი, სმოროდინი, ცეიტლინი, შაცკინი, ჩაპლინი, მილჩაკოვი, ხითაროვი** და სხვ. და აგრეთვე ძველი გვარდიის წარმომადგენელნი ამხ. **ბუბნოვი, დოგადოვი, კრუპსკაია, კაგანოვიჩი, ზემლიჩკა, ლუნაჩარსკი, მიქოიანი, იაროსლავსკი** და სხვები.

პლენუმმა ხანგრძლივი ტაშით შეხვდა საპატიო პრეზიდიუმში ამხ. **სტალინის, მოლოტოვის, რიკოვის, კალინინის, ბუხარინის, ვოროშილოვის, ტომსკის, კუიბიშევის, რუძუტაკის** და **ორჯონიკიძის** არჩევას.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას სახელით მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ამხ. **კალინინი.**

„კომკავშირს,—განაცხადა ამხ. კალინინმა,—თავის რიგებში ჰყავს 2 მილიონი კაცი. ეს ნიშნავს, რომ კომკავშირის ორგანიზაციას აქვს შესაძლებლობა უშუალო გავლენა იქონიოს ახალგაზრდობის ფართე მასაზე, ეს ნიშნავს, რომ კომკავშირს შეუძლია ამა თუ იმ კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად ორგანიზაციულად გამოიყენოს ორ მილიონიანი არმია. კომკავშირმა ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაივიწყოს. რა აქტუალური ამოცანები სდგას ამჟამად კომკავშირის წინაშე? მე ვფიქრობ, რომ ეხლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე თქვენს წინაშე სდგას ახალი ადამიანის და ხალხთა შორის ახალი ურთიერთობის შექმნის ამოცანა. სოციალისტური წყობილების მშენებელი კომკავშირელი მარტო მარქსისა და ლენინის მოძღვრებას არ უნდა იცნობდეს, მან უნდა დაეუფლოს აგრეთვე ცოდნის სხვა დარგები. კომკავშირმა უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს ყველა იმ დადებითი ცოდნის შეთვისებას, რომელიც აუცილებელია სოციალიზმის აშენებისათვის. კომკავშირმა უნდა მოგვცეს ინჟინერები, ტექნიკოსები, ექიმები და ხუროთმოძღვრები, უნდა გაიზარდოს პატივისცემა ცოდნისა და შრომისადმი. ეს კომკავშირის ერთ-ერთი მორიგი ამოცანაა. პროლეტარული მორალის განმტკიცება და მოზარდი თაობის მასზე აღზრდა, კომკავშირელში კოლექტივიზმის პრინციპების განვითარება,—აი კომკავშირის ორგანიზაციის მეორე არა ნაკლებად მნიშვნელოვანი ამოცანა“.

„მე ვფიქრობ,—განაცხადა დასასრულ ამხ. კალინინმა,—რომ კომკავშირი პარტიის ხელმძღვანელობით ყველა ამ ამოცანას დადებითად გადასჭრის“.

ამხ. **ბელმა** კომკავშირის ცეკას გადასცა სალამი კომინტერნის აღმასკომის სახელით.

„კომკავშირმა,—განაცხადა ამხ. ბელმა,—შეითვისა საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობის საუკეთესო ტრადიციები. კომინტერნს იმედი აქვს, რომ მომავალ გადამწყვეტ კლასობრივ ბრძოლებში კომკავშირი საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობას საიმედო დახმარებას გაუწევს“.

ამხ. ბელის გამოსვლის შემდეგ სცენაზე ავიდა მოსკოვის ახალგაზრდა მუშების დელეგაცია დროშებით. დელეგაციის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა „ამო“-ს ქარხნის მუშა-ქალმა ამხ. **დავიდიუკმა.** ახალგაზრდობის კომინტერნის სახელით საკავშირო ლენინურ კომკავშირს მიესალმა ამხ. **რესტი.** მის შემდეგ ილაპარაკა ათი წლის პიონერმა **ბაპუსშა,** რომელიც კომკავშირს მიესალმა პიონერთა ორგანიზაციის სახელით. წითელი არმიის სახელით კომკავშირს მიესალმა ამხ. **უნშლიხტი.**

„კომკავშირის თავგანწირული ბრძოლის მაგალითებმა 10 წლის განმავლობაში,—განაცხადა მან,—უნდა აღაფრთოვანოს კომკავშირი შემდგომი ბრძოლებისათვის. რკინისებური დისციპლინით, წინსვლით, ყოველგვარი მერყეობის და ქანაობის გარეშე, თქვენ დასძლევთ ყველა დაბრკოლებას და წარმატებით გადაჭრით რთულ ამოცანებს“.

ამხ. **კრუპსკაიამ** თავის სიტყვაში განაცხადა:

„ლენინი ამბობდა, რომ ახალგაზრდობამ მთელი თავისი ძალ-ღონე საერთო საქმეს უნდა შესწიროსო. ჩვენ ამჟამად მოწმენი ვართ იმისა, რომ ახალგაზრდობა თავის ძალ-ღონეს საერთო საქმეს ანდომებს. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია კომკავშირის მიერ მოწყობილი კულტურული ლაშქრობა“.

წითელი ფლოტის სახელით კომკავშირს მიესალმა ამხ. **მუკლევიჩი.** შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. **ლუნაჩარსკი, ბუდიონი, კერჟენცევი, სემაშკო, პოკროვსკი, კონი,** ჩინეთის კომკავშირის წარმომადგენელი **ბუან-ლი,** შვეციის კომკავშირის წარმომადგენელი **ხორბერგი** და უკრაინის მშრომელი ახალგაზრდობის დელეგაცია. ბოლოს, თავისი მოგონებანი გაუზიარეს დამსწრეთ ძველმა კომკავშირელებმა ამხ. **სმოროდინმა, რივკინმა, ბეზიმენსკიმ.** განსაკუთრებული ენტუზიაზმი გამოიწვია ამხ. ბეზიმენსკის გამოსვლამ. ბეზიმენსკიმ თავისი სიტყვა დაამთავრა ლექსით „ამხანაგებო“. საზეიმო პლენუმმა მისალმება გაუგზავნა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას, კომინტერნს, ახალგაზრდობის კომინტერნს, წითელ არმიას და ფლოტს. სხდომა დამთავრდა ინტერნაციონალის სიმღერით. (ადს).

ბაქო.—ახალი ქალაქი

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ბანკირები თავს იმართლებენ.

მოსკოვი, 30 ოქტომბერი. „იზვესტია“-ს კორესპონდენტი იტყობინება, რომ გერმანიის ბანკირები ცდილობენ თავის გამართლებას იმ პოზიციის გამო, რომელიც ბანკირების ერთმა ნაწილმა დაიჭირა მეფის რუსეთის ვალების საკითხში.

ერთ-ერთი ბანკის ხელმძღვანელი მენდელსონი პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ამ საკითხის შესახებ შემდეგს აცხადებს: გერმანელ ბანკირების გამოსვლა მეფის რუსეთის საკითხების ირგვლივ აიხსნება იმ ზეგავლენით, რომელსაც ახდენენ ბანკებზე მათი კლიენტები და უცხოეთის ის ბანკები, რომლებთანაც გერმანიის კომერციულ წრეებს მეგობრული განწყობილება აქვთ.

„ბანკირების გამოსვლა, დასძენს მენდელსონი, არ წარმოადგენს რაპალოს ხელშეკრულების დარღვევას“-ო.

ახალი საბუთი ვანცეტის უდანაშაულობის შესახებ

მოსკოვი, 30 ოქტომბერი. „პრავდა“-ს ამერიკელი კორესპონდენტი გადმოგვცემს შემდეგს:

გაზეთი „აუტლუკ“-ი აქვეყნებს ცნობას იმის შესახებ, რომ საკო და ვანცეტი უდანაშაულო იყო. გაზეთში დაბეჭდილია ბანდიტ სილვას ნოტარიუსის მიერ შემოწმებული განცხადება იმის შესახებ, რომ მან მოაწყო და შეასრულა ის ექსპროპრიაცია, რომელსაც ვანცეტის აბრალებდნენ.

დოკუმენტალურად დამტკიცებულია, რომ იმ მომენტში, როდესაც სილვა ბოროტმოქმედებას სჩადიოდა, ვანცეტი იმყოფებოდა ფოსტაში, სადაც ის ღებულობდა ამანათს. ყოველივე ეს იცოდა ფულერმა, რომელმაც ხელი მოაწერა საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯის განაჩენზე.

„პრავდა“ შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლის შედეგების შესახებ.

მოსკოვი, 30 ოქტომბერი. „პრავდა“ თავის დღევანდელ ნომერში ვრცლად ეხება შვიდი საათის სამუშაო დღის გატარების ერთი წლის შედეგებს და აღნიშნავს:

შვიდი საათის სამუშაო დღემ, რომელიც დაწყებულ იქნა საკავშირო ცაკის ისტორიულ მანიფესტით, სავსებით გაამართლა თავისი თავი. ამის მაჩვენებელია ლენინგრადის მაგალითი: შრომის ნაყოფიერება გაიზარდა, ხელფასმა მოიმატა, პროდუქციის თვითღირებულება კი უცვლელი დარჩა.

ამ მიღწევებთან ერთად გაზეთი აღნიშნავს, იმ დეფექტებსაც, რომელნიც შემჩნეულია შვიდი საათის სამუშაო დღის გატარების დარგში. ეს ის, რომ შემოკლებული სამუშაო დღეზე გადასვლა ბევრგან ხდებოდა ფაბრიკა-ქარხნების მასების აქტიური მონაწილეობის გარეშე, გარდა ამისა საქმეს დიდად აბრკოლებდა კვალიფიციურ მუშა-ხელის სიმცირე.

გაზეთის სიტყვით, მოსკოვის ქარხნები მზად არიან 7 საათის სამუშაო დღეზე გადასასვლელად.

კანონი ლოთობის წინააღმდეგ

მოსკოვი, 30 ოქტომბერი. ლოთობის წინააღმდეგ მიმართულ კანონის პროექტზე, რომელიც ირჩეოდა ფაბრიკა-ქარხნებში, უკვე ხელი მოაწერა 100.000 კაცმა. ამ დღეებში პროექტი განსახილველად გადაეცემა სახკომსაბჭოს.

„კრასინი“-ს გმირები გაემგზავრებიან უცხოეთში.

მოსკოვი, 30 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოებამ ბერლინიდან და პრაღიდან ყინულის მჭრელ „კრასინი“-ს გმირებს გამოუგზავნა მოწვევის ბარათი. კრასინელებმა მიწვევა მიიღეს და თანხმობა განაცხადეს უცხოეთში გამგზავრებაზე.

ამიერ-კავკასიის ცაკის მეორე სესია

სესიის მეორე სხდომა, გუშინ 30 ოქტომბერს გაიხსნა ამხ. მიხა ცხაკაიას თავმჯდომარეობით. სიტყვა თანამოხსენებისათვის ამიერ-კავკასიის მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მიეცა ამიერ-კავკ. ცაკის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს ამხ. ნაზარეტიანს.

ა.-კ. მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტი

(ამხ. ნაზარეტიანის თანამოხსენება)

ამხ. ნაზარეტიანმა აღნიშნა, რომ ამიერ-კავკ. სახალხო მეურნეობის ზრდა და განმტკიცება, სოფლის მეურნეობის საქონლიანობის გადიდება, სახელმწიფო მრეწველობის განვითარება, რასაც ადგილი აქვს ჩვენში, ყველაფერი ეს თავის გამოხატულებას პოულობს სახელმწიფო ბიუჯეტში.

1928—29 წლის ბიუჯეტი ამიერ-კავკ. ცაკის საბიუჯეტო კომისიის მიერ მიღებულია — 143,800.000 მანეთის რაოდენობით. უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში ჩვენი ბიუჯეტი გაიზარდა 48,7 პროცენტით (1926—27 წ. ბიუჯეტი უდრიდა 96.700.000 მანეთს). ბიუჯეტის ზრდასთან ერთად გაიზარდა ხარჯები სახალხო მეურნეობაზე 22.500.000 მანეთიდან 48,100 000 მანეთამდე, ე. ი. ზრდა გამოიხატება 113,7 პროცენტში

წელს სახელმწიფო მრეწველობაში დაბანდებული იქნება 29 მილიონი მანეთი; აქედან სახელმწიფო ბიუჯეტიდან 19.800.000 მანეთი, ე. ი. 68,3 პროცენტი. ელექტროფიკაციის დარგში სულ დახარჯული იქნება — 17.618,000 მანეთი, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტზე მოდის 14.135.000 მანეთი, ე. ი. 80,1 პროცენტი.

სოფლის მეურნეობაში დახარჯული იქნება 64.586,000 მანეთი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 25. 156,000 მანეთი, ე. ი. 38,9 პროცენტი.

აქედან აშკარაა თუ რა უდიდეს როლს თამაშობს ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის საქმეში.

მიუხედავათ სახალხო მეურნეობის ზრდისა, ჩვენ წელსაც ვერ შევსძელით ბიუჯეტის უდეფიციტოთ შედგენა. წელს დეფიციტი ბიუჯეტში უდრის 42.300.000 მან., ე. ი. 27—28 წელთან შედარებით დეფიციტი გაიზარდა—47,8 პროც. ეს გამოწვეულია ხარჯების ზრდით: სახალხო მეურნეობაზე—46,4 პროც., სოციალურ-კულტურულ საჭიროებებზე—23,5 პროც., სახელმწიფო აპარატზე—5,5 პროც., დახმარება ადგილობრივ ღარიბ გლეხობას 28 პროც., ფონდები 39,8 პროცენტით, საერთოდ კი ხარჯები გაიზარდა 29,7 პროცენტით.

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი წელს გაიზარდა 101.500.000 მანეთამდე, ე. ი. 23,8 პროცენტით, მაგრამ ეს ზრდა საგრძნობლად ჩამორჩება ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის ზრდას, რაც გამოიხატება 29,7 პროცენტში. ასეთი მდგომარეობა აიხსნება იმით, რომ არასაგადასახადო შემოსავლის ზრდა 28—29 წ. ბიუჯეტში არ არის დამაკმაყოფილებელი.

ამხ. ნაზარეტიანის მოხსენების შემდეგ სიტყვა ეძლევა საკავშირო ცაკის მდივანს ამხ. **აბელ ენუქიძეს.**

ამხ. ა. ენუქიძის სიტყვა

მე აზრად არ მქონია შემოვჭრილიყავი თქვენ საქმიან სხდომაზე, მაგრამ უარი ვეღარ უთხარი ამხ. **ცხაკაიას,** რომელმაც მთხოვა წარმომეთქვა სიტყვა.

ნება მიბოძეთ, რამდენიმე სიტყვა ვთქვა თქვენი მუშაობის გამო. თქვენი სესიის დღის წესრიგი სავსებით შეფარდებულია იმ საკითხებთან, რომლებსაც არჩევენ მოკავშირე რესპუბლიკები და რომლებსაც დეკემბერში განიხილავს საკავშირო ცაკი. ეს ამტკიცებს, რომ იმ სამეურნეო და საბიუჯეტო საკითხებს, რომლებსაც თქვენ ეხლა არჩევთ, უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ყველა ჩვენ საკანონმდებლო ორგანოში, ვინაიდან ჩვენი საბჭოთა კავშირი ამჟამად პირისპირ მიუდგა სახ. მეურნ. უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრას და საბჭოთა კავშირის ფინანსების აგებას. თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი სხდომა არ ტარდება ისე, რომ ამ საკითხებს არ შეეხონ.

თუმცა საბჭოთა კავშირის ბიუჯეტი ძალზე დატვირთულია, რაც, რა თქმა უნდა, მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებზედაც გავლენას ახდენს, მაგრამ ჩვენ მაინც შეუჩერებლად მივიწევთ წინ და დრო და დრო მწვავე კრიზისს განვიცდით, როგორც ფინანსების მხრივ, ისე სახალხო მეურნეობის ცალკე დარგების შეფარდებაში, ეს აიხსნება იმ ამოცანების განსაკუთრებული სირთულით, რომლებსაც ჩვენ ვწყვეტთ. აქ, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა აქვს ჩვენი მრეწველობის ზრდასაც და მის დამოკიდებულებას სოფლის მეურნეობასთან; მნიშვნელობა აქვს ჩვენს პოლიტიკასაც, როგორც მუშათა კლასის, ისე განსაკუთრებით გლეხობის მიმართ; აქ თვალსაჩინო როლს თამაშობს ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობაც. ყველა ეს საკითხი ჩვენთვის, რა თქმა უნდა ახალი არ არის, მაგრამ მე მინდა შევეხო ერთ საკითხს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს და რომლის სწორად გადაჭრის გარეშე ვერ შევსძლებთ სათანადო დონეზე ავიყვანოთ სახალხო მეურნეობა. აქ გამოაშკარავებულ იქნა მრავალი არასასიამოვნო მოვლენა: კრედიტის არასწორად გამოყენება, მისი ცუდი განაწილება, ღარიბი გლეხისათვის დახმარების არ გაწევა და მრავალი სხვა, ჩვენს სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული მოვლენა. მართალია ყველა ასეთ მოვლენას ადგილი აქვს ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში ამა თუ იმ ზომით, სახალხო მეურნეობის, კერძოდ სოფლის მეურნეობის მდგომარეობის მიხედვით

ყველა ეს დეფექტი, რომელიც გავლენას ახდენს ჩვენს სახალხო მეურნეობაზე, აიხსნება, უმთავრესად, ჩვენი საკანონმდებლო ორგანოების და განსაკუთრებით ხელისუფლების ქვედა საფეხურის ორგანოების სისუსტით მე მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო ამ საკითხს, იმიტომ, რომ საბჭოთა მშენებლობის საკითხებს ამჟამად მთელი საბჭოთა კავშირისათვის, და, რა თქმა უნდა, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვისაც, უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. შეუძლებელია იმ რთული საკითხების გადაჭრა, რომლებიც ისმებიან ჩვენს წინაშე, რომელზედაც შეჩერდი მე და შეჩერდებიან სხვა ამხანაგებიც, თუ განსაკუთრებული ყურადღება არ მიექცა ჩვენი ხელისუფლების ორგანოების მოწყობას: დღემდე ჩვენ საშუალება არ გვქონდა მეტი ყურადღება დაგვეთმო ამ საკითხისათვის, ამაში ხელს გვიშლიდნენ სხვა გადაუდებელი ამოცანები. ეხლა კი, როგორც უკვე ვთქვი, საბჭოთა მშენებლობა ანუ ხელისუფლების ორგანოების მოწყობა, განსაკუთრებით ადგილებზე, პირველხარისხოვან ამოცანას წარმოადგენს. ჩვენი მეურნეობის მთელი სისტემა და ჩვენი საბჭოთა კავშირის პოლიტიკური როლი მოითხოვს, რომ ეს ორგანოები ადგილებზე მჭიდროდ დაკავშირებულნი იყვნენ მეურნეობის ხელმძღვანელობასთან. არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ადმინისტრატიული ღონისძიებებით, როდესაც ეს საკითხი უფრო მკვიდრი გვექნება, როდესაც ადგილობრივი საბჭოები მხოლოდ მექანიკურად კი არ გაატარებენ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებებს, არამედ ორგანიულად დაკავშირებულნი იქნებიან სახალხო მეურნეობასთან, ადგილობრივი მნიშვნელობის მრეწველობასთან, და სწორად გამოიყენებენ ფინანსებს,—როდესაც ისინი სწორად შეიგნებენ კოოპერატიული შეკავშირებისა და ღარიბი გლეხობისათვის დახმარების გაწევის ამოცანებს,—მაშინ რესპუბლიკებსაც და მთელ საბჭოთა კავშირსაც საშუალება ექნებათ უფრო ადვილად გადასჭრან სახალხო მეურნეობასთან დაკავშირებული საკითხები.

მე მინდა ყურადღება მივაქციო იმ საკითხს, რომელიც სდგას სესიის დღის წესრიგში—მომავალი არჩევნების საკითხს. საბჭოთა კავშირის არსებობაში ეს საკითხი პირველად ისმება საკავშირო ცაკის სესიაზე. სანამ ეს საკითხი სესიაზე დაისმებოდა, ის სპეციალურად განხილულ იქნა ყველა ინსტანციაში და გადაწყდა, რომ ეს საკითხი, მისი უდიდესი მნიშვნელობის გამო, გადატანილიყო უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. თქვენც სწორედ ასე მოიქეცით. საბჭოების მომავალ გადარჩევის ამოცანაა არა მარტო მოსახლეობის აქტივობის გაძლიერება, არამედ უმთავრესად ის, რომ უაღრესად სერიოზული ყურადღება მიექცეს ხელისუფლების ამორჩეული ორგანოების შერჩევას ადგილებზე. რა თქმა უნდა მოსახლეობის აქტივობა საუკეთესო საფუძველია იმისათვის, რომ იმ ხელმძღვანელმა ორგანოებმა და ამხანაგებმა, რომლებიც ადგილებზე დაიწყებენ მუშაობას, შესძლონ უკეთ შეარჩიონ ის პირები და მუშაკთა ჯგუფები,რომლებიც უშუალოდ შევლენ საბჭოებში, ან გარედან გაუწიონ ხელმძღვანელობა ჩვენს საბჭოებს და გამოაცოცხლონ მათი მუშაობა, რათა საბჭოებს შეეძლოთ ხელმძღვანელობა გაუწიონ არა მარტო ადმინისტრატიულ საკითხებს, არამედ, უმთავრესად, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ საკითხებსაც.

ის დრო, რომელიც ჩვენს განკარგულებაშია გადარჩევის მოსამზადებელი მუშაობის დაწყებამდე, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, ჯერ—ერთი, იმას, რომ საბჭოთა ხელისუფლება ამოცანად ისახავს უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღოს საარჩევნო კამპანიაში, ეს ამოცანა მარტო საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს როდი ეკისრება, ვინაიდან საარჩევნო კამპანია თქვენშიაც და მთელ საბჭოთა კავშირშიაც ჩატარდება უფრო რთულ პირობებში კლასობრივი ბრძოლის გამწვავების მხრივ როგორც სოფლად, ისე ქალაქად, ხოლო კლასობრივი ბრძოლის გამწვავება არის შედეგი ჩვენი სამეურნეო მიღწევებისა და უფრო მკაფიო და გარკვეული პოლიტიკისა, რომელსაც ვაწარმოებთ, როგორც სოფლის, ისე ქალაქის მოსახლეობის გარკვეულ ფენებისა და კატეგორიების მიმართ. კლასობრივი ბრძოლის გამწვავება მოითხოვს ჩვენგან უფრო ენერგიულ, უფრო მკაფიო, უფრო გარკვეულ მუშაობას და მთელი ჩვენი ძალღონის მოკრებას. რას უნდა მივაღწიოთ ამ საარჩევნო კამპანიით? ჯერ-ერთი უფრო უნდა გავაძლიეროთ მოსახლეობის აქტივობა, ვიდრე ამას დღემდე ჰქონდა ადგილი. ამ აქტივობის გაძლიერება ჩვენ შევვიძლია ყველგან, მთელს საბჭოთა კავშირში, უმთავრესად ქალების და ღარიბი გლეხობისა და მოჯამაგირეების ჩაბმით. წარსული საარჩევნო კამპანიების დროს ისინი სუსტად იყვნენ ჩაბმულნი კამპანიაში, მეორე—ჩვენ მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ მთელ რიგ საორგანიზაციო საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან საარჩევნო კამპანიასთან, ხოლო ამასთან მჭიდრო კავშირი აქვს თვით საარჩევნო კამპანიის შედგენას.

მესამე საყურადღებო საკითხი ამომრჩეველთათვის ანგარიშის ჩაბარების საკითხია. ჩვენ უნდა მოვთხოვოთ საბჭოს ყველა წევრს, განსაკუთრებით თქვენი, როგორც ავტონომიურ ისე ცალკე დამოუკიდებელ რესპუბლიკების ცაკების წევრებს, აგრეთვე ამიერ-კავკასიის ცაკის წევრებს, რომ მათ თავიანთ მოვალეობად ჩესთვალონ ამომრჩევლებისათვის ანგარიშის ჩაბარება. თითქოს ეს ფორმალური ანგარიშისგება არაფერს არ იძლევა, მაგრამ ეს საჭიროა იმისათვის, რომ ამომრჩევლები მივაჩვიოთ თავიანთი მოქალაქეობრივი უფლების შესრულებას, რომ მათ არჩევნების დროს არა მარტო განახორციელონ თავიანთი უფლებები, არამედ მოითხოვონ კიდეც ამორჩეულთაგან ანგარიში მათი მოქმედების შესახებ. ეს შექმნის საბჭოებისადმი უფრო გარკვეულ დამოკიდებულებას, ხოლო ეს დამოკიდებულება საშუალებას მოგვცემს გამოვნახოთ ის ძალები, რომლებიც ,ექვს გარეშე, ამჟამად ყველგან მოიპოვებიან და რომელთაც შეუძლიათ დახმარება გაგვიწიონ საბჭოების გამოცოცხლების და მთელი მათი მუშაობის სათანადო დონეზე დაყენების საქმეში.

მეოთხე საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ საბჭოს მორიგ კრებებზე დაწვრილებით უნდა შევეხოთ სამეურნეო ცხოვრების ყველა საკითხებს ადგილებზე, არაფერი არ დავუმალოთ მოსახლეობას, გავაცნოთ იგი როგორც ჩვენს დეფექტებს, ისე მიღწევებს და ჩვენი შეცდომებისა და ნაკლების მთელ რიგ მიზეზებს .ამას აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისათვის, და ჩვენს ინტერესებს შადგენს, რომ მოსახლეობამ მიგვითითოს იმ დეფექტებზე და ნაკლებზე, რომლებიც ჩვენ გვაქვს და რომლებსაც ხშირად ვერ ვამჩნევთ, რადგან საშუალება არა გვაქვს თვალყური ვადევნოთ ყველაფერს იმას, რასაც ვაკეთებთ, საშუალება არა გვაქვს თვალყური ვადევნოთ იმას, თუ რა გავლენას ახდენს ეს ადგილობრივ.

ერთის სიტყვით, ჩვენ ისეთს პერიოდში შევდგით ფეხი, როცა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებულ საკითხს. მინდა დავუმატო, თუ რა გავაკეთეთ ჩვენ ქალაქის საბჭოების მიმართ. საკავშირო მასშტაბით ჩვენ გარკვეული ნაბიჯი გადავსდგით და ქალაქის საბჭოებს განსაზღვრული მატერიალური უფლებები, განსაკუთრებული ადმინისტრატიული უფლებები, მივაკუთვნეთ. ჩვენ უფრო დიდი ნაბიჯი უნდა გადავდგათ და გადავდგამთ მას სულ ახლო მომავალში სოფლის საბჭოების მიმართ, როდესაც ჩვენ ამ სოფლის საბჭოებს მოვაწყობთ განსაზღვრულის პრინციპით, გავადიდებთ მათს უფლებას და მატერიალურ ბაზას, გადავცემთ სოფლის საბჭოებს, განსაკუთრებით მსხვილი სოფლის საბჭოებს, მცირეოდენ ქონებას და გავაძლიერებთ მათს საბიუჯეტო შესაძლებლობას. ამ გზით სოფლის საბჭოებს გავხდით უფრო საქმიან ორგანოებად, როგორც იმ მხრივ, რომ ისინი დაინტერესებულნი იქნებიან და ყველა სამეურნეო საკითხში ჩაერევიან, ისე იმ მხრივაც, რომ მათ შეეძლებათ განახორციელონ დაკისრებული ამოცანები.

მთელი ჩვენი ცხოვრება მთელს საბჭოთა კავშირშიაც და ავტონომიურ რესპუბლიკებშიაც ისე მიმდინარეობს, რომ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს უხდებათ მოგვარება არა მარტო კულტურულ - საგანმანათლებლო და სოციალური ხასიათის საკითხებისა, არამედ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მშენებლობის ფრიად მნიშვნელოვანი საკითხებისაც.

ეს ამოცანები აღწევენ ხელისუფლების დაბალ ორგანოებამდე. და, აი, სოფლის საბჭოების უფლებათა გაფართოვების გზით ჩვენ საშუალებას ვაძლევთ მათ განახორციელონ ეს ამოცანები. ამნაირად შევვძლებთ უზრუნველვყოთ სოფლის საბჭოები.

სოფლის საბჭოები უშუალოდ შეუდგებიან როგორც კულტურულ - საგმანათლებლო და საგზაო, ისე სახალხო მეურნეობასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას.

მე ვიმეორებ, რომ ეს საკითხი მომწიფდა ჩვენს საერთო სამეურნეო მდგომარეობასთან დაკავშირებით. რასაკვირველია, ჩვენ ეს შევვძლო მოგვეფიქრა 1928-29 წლამდეც, სოფლის საბჭოების განსაზღვრული უფლებების შესახებ დადგენილებამდეც, მაგრამ რაკი ჩვენ ეხლა ვაყენებთ ამ საკითხებს, რომლებიც ჩვენი საერთო მდგომარეობითაა ნაკარნახევი, აშკარაა ამჟამად ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა განვახორციელოთ ეს, მე ვიტყოდი, რეფორმები, რომლების გატარებასაც ჩვენ ვაპირებთ ხელისუფლების ორგანოთა მიმართ. ჩემი გამოსვლა, თუმცა არა ჩემის ნებით, მე მინდოდა გამომეყენებინა ამ მიმართულებით.

მე მინდა შევეხო ერთ საკითხს, რომელსაც კავშირი აქვს სოფლის საბჭოთა უფლებების საკითხთან. თქვენ გამოგეგზავნათ საბჭოთა კავშირის კანონი მიწათ - სარგებლობისა და მიწათ-მოწყობის საფუძვლების შესახებ. ამ საკითხებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. თუ ამჟამად სოფლის მეურნეობის დარგში გვეძლევა დირექტივა იმის შესახებ, რომ, ინდივიდუალი მეურნეობისათვის ხელის შეწყობასთან ერთად, უპირატესობა მივსცეთ კოლექტიურ მეურნეობას, კოოპერაციაში ჩაბმულ მეურნეობას, ე. ი. მოკლეთ, თუ ჩვენ მთელი სიგრძე - სიგანით ვაყენებთ საკითხს სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის შესახებ, ამ შემთხვევაში ყველა ამ ღონისძიების გატარება შეუძლებელი იქნება, თუ ჩვენს კავშირში მიწათ სარგებლობის საქმეს არ მოვაწყობთ იმ საფუძვლებზე, რომლებიც გამომუშავებულია მთელი ჩვენი სამეურნეო წყობასთან შეგუებით და მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ურთიერთობის საფუძვლებზე.

მე ვსარგებლობ ამ კათედრით, რომ ცოტა რამ შემოგჩივლოთ. უდიდესის სინანულით უნდა აღვნიშნო, რომ თუმცა ყველა კითხვაზე, რომელსაც საკავშირო ცაკი აყენებდა, ამ.-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის წინაშე, ჩვენ თავის დროზე ვიღებდით პასუხს თქვენგან, მაგრამ თქვენ არ განგიხილავთ ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც სდგას საბჭოთა კავშირის ცაკის მომავალ სესიაზე. ჩვენ ვერ გაგვიგია ასეთი გულგრილობის მიზეზი, იმ მეტად საყურადღებო საკითხისადმი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამ.-კავკასიისათვის, სადაც მიწის დიდი ნაკლებობაა.

ამიტომ წინადადებას გაძლევთ, სანამ დრო არის, შეეხოთ ამ საკითხს, თუ მისი პირდაპირი დაყენების მხრივ არა, მისი განხილვის მხრივ მაინც. თქვენი აზრი მიწათ - სარგებლობისა და მიწათ - მოწყობის პროექტის საფუძვლების შესახებ ჩვენ მეტის-მეტად გვაინტერესებს და თქვენი აზრები მომავალ სესიას მოხსენდება.

აი, რა უნდა მეთქვა თქვენთვის. ნება მომეცით, გისურვოთ ნაყოფიერი მუშაობა. (ტაში).

კამათი ა.-კ. ბიუჯეტის შესახებ

ამხ. ენუქიძის სიტყვის შემდეგ დაიწყო კამათი მოსმენილ მოხსენებათა გარშემო.

კამათში გამოსული ორატორები აღნიშნავდნენ, რომ აუცილებელია ბიუჯეტის შედგენა დაიწყოს ადრე, რომ ცენტრში მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების განხილვის დროს ჩვენ საძებარი არ გვქენეს მასალები, როგორც ამას ადგილი ჰქონდა შარშან; აუცილებელია აგრეთვე, რომ ბიუჯეტის შედგენაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ ადგილებმა.

ზოგიერთი ორატორები უსაყვედურებდნენ ფინსახკომს, რომ ბიუჯეტში ცოტა თანხებია გათვალისწინებული მიწების მორწყვაზე; გამოურკვეველია შეტანილია თუ არა ბიუჯეტში თანხები ტირიფონის არხის დასამთავრებლად, მუღანლოს ველის მოსარწყავად, რიონის სამუშაოების საწარმოებლად და სხვა. გადიდებული უნდა იქნეს ხარჯები კულტურულ - განმანათლებელ საჭიროებებზე.

აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ საქოფლოსამეურნეო კრედიტის ნაწილი არ მიდის დანიშნულებისამებრ და ხელში უვარდება სოფლის შეძლებულ ნაწილს — კულაკებს. ამას საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ამიერ - კავკასიის მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის გარშემო. სხვა ორატორებთან ერთად კამათში მონაწილეობა მიიღო ა.-კ. ცაკის თავმჯდომარემ ამხ. **ალამალი-ოღლიმ** რომელიც შეჩერდა ღარიბთათვის კრედიტების მიწოდების საქმის მოუწესრიგებლობაზე.

ამხ. ალამალი - ოღლის აზრით, აუცილებელია განსაზღვრული იქნეს ის მინიმუმი, რომელზე ნაკლებიც არ შეიძლება მიეცეს ღარიბ გლეხს, რომ მან შესძლოს მიცემული კრედიტის გამოყენება საწარმოო მიზნებისათვის.

ჩვენ ხშირად გლეხებს ვაძლევთ უმნიშვნელო კრედიტს, რომელიც საკმარისი არ არის გლეხის სამეურნეო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამიტომ ეს კრედიტი იხარჯება არა დანიშნულებისამებრ და იგი მიზანს ვერ აღწევს.

ღარიბ გლეხს უნდა მიეცეს იმდენი, რომ მან შესძლოს საჭირო ინვენტარის შეძენა, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ კრედიტს ეკარგება ყოველგვარი მნიშვნელობა.

ამბობენ, რომ ღარიბი გლეხები ვერ აბრუნებენ სესხსო. ღარიბ გლეხს უფრო მეტი აქვს სესხის დაბრუნების სურვილი, ვიდრე საშუალო და შეძლებულ გლეხს, მაგრამ მას არ აქვს ამის საშუალება. ამიტომ საჭიროა ამ საქმეშიაც დავეხმაროთ მას და შევუქმნათ ისეთი პირობები, რომ მან შესძლოს სესხის დაბრუნება.

კამათის დასრულების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა მომხსენებელი ამხ. **მუსაბეკოვი,** რომელმაც პასუხი გასცა ორატორებს და დაწვრილებით გაშუქა ის საკითხები, რომლებიც არ იყო ხაზგასმული მოხსენებაში.

დღეს დილის სხდომაზე მოსმენილი იქნება ამხ. შ. ელიავას მოხსენება ა.-კ. ს. ფ. ს. რ. და მასში შემავალ რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებების შესახებ.

განათლების მუშაკთა მეშვიდე ყრილობა

მესამე დღე

კამათი ცენტრ. გამგეობის მუშაობის გარშემო

ამხ. პალიცინი

(ბორჩალოს მაზრა)

ორატორი აღნიშნავს, რომ მასწავლებლების ხელფასის ზრდასთან ერთად იზრდებოდა ურთიერთდამხმარე სალაროების წევრთა რიცხვი და სახსარიც. დღეს მაზრაში რამოდენიმე დამხმარე სალარო არსებობს. საჭიროა სალაროების კიდევ გამრავლება.

ეხება რა პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობისა და ანტირელიგიური პროპაგანდის წარმოებას, ორატორი ამბობს, რომ ლიტერატურის ნაკლებობა განსაკუთრებით, ეროვნულ უმცირესობათა ენებზე მასწავლებლობას ხელს უშლის გააფართოვოს თავისი მუშაობა ამ დარგებში.

შემდეგ ორატორი ამბობს, რომ ძველი მასწავლებლებს სკოლებში თანდათან სცვლიან ახალი კვალიფიციური ძალები. ეს ძალიან კარგი მოვლენაა, მაგრამ ამავე დროს ყურადღება უნდა მიექცეს ამჟამად სკოლებში მომუშავე იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც სათანადო კვალიფიკაცია არა აქვს და ამის გამო მასწავლებლის დატოვება მოუხდებათ. ასეთ ნამსახურ ახალგაზრდა მასწავლებლებს საშუალება უნდა მიეცეს, რომ დაამთავრონ პედაგოგიური ტეხნიკუმები.

შემდეგ იგი საჭიროთ სცნობს მასწავლებელთა შრომის ნორმების მოწესრიგებას.

ამხ. ლამბაშიძე

(ოზურგეთის მაზრა)

თუ რამდენად სუსტია ცენტრალური გამგეობის ცოცხალი კავშირი ადგილებთან ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ განათლების მუშაკთა ადგილობრივ ორგანოებს წელს გამგეობის წარმომადგენელი არ უნახავს. მიუხედავათ დაპირებისა, განათლების მუშაკთა სამაზრო კონფერენციას გამგეობის ერთი წევრიც არ დასწრებია. შემცდარია ც. გ., როცა იგი თავის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნავს, თითქოს ოზურგეთის მაზრის მასწავლებლები ხელფასს დაგვიანებით ღებულობდენ.

ამხ. არჩილ მიქაძე

(პროფსაბჭოს კულტგანყოფილების გამგე)

კავშირის ერთ მთავარ საზრუნავ საგნად რჩება ხელფასის შემდგომი გადიდება, რომელიც უნდა გაზორდეს ომის წინანდელ დონეს და გაუთანასწორდეს რუსეთში ამჟამად არსებულ ხელფასს. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ხელფასის გაცემის საკითხის მოგვარებას, ჯამაგირები უნდა რიგდებოდეს ადგილზე, რომ მასწავლებლებს მის მისაღებად ათეული ვერსის მანძილზე არ სჭირდებოდეს მისვლა-მოსვლა. ბოლო უნდა მოეღოს აგრეთვე მასწავლებელთა ხელფასის ფონდის გამოყენებას სხვა დანიშნულებისათვის, რასაც ალაგალაგ აქვს ადგილი. სკოლის დარაჯთა მდგომარეობის გაუმჯობესება, როგორც ხელფასის გადიდების და მათი შრომის პირობების დაცვის მხრით, ისე მათ შორის კულტურულ-საგანმანათლებ. მუშაობის გაშლების მხრით, უნდა წარმოადგენდეს ძირითად პროფკავშირის ერთ მთავარ საზრუნავ საგანს. სკოლის დარაჯი მასწავლებლის დამხმარე ძალაა, რომლის როლი სკოლის ცხოვრებაში მნიშვნელოვანია. ამიტომ კავშირს მართებს მეტი ყურადღება მოექცეს მათ. ქალთა შორის მუშაობის საკითხი განსაკუთრებული სიმწვავით უნდა იდგეს გან. მუშაკთა კავშირის წინაშე, რადგან მას წევრთა მნიშვნელოვან პროცენტს ისინი წარმოადგენენ. უმთავრესად გან. კავშირს ევალება გაწვრთნას თავისი წევრი ქალები არა მარტო პროფმუშაობისათვის, არამედ ფართო კულტურულ საზოგადოებრივ საქმიანობისათვის. ეხება რა ეკონომიურ საწარმოო მუშაობას, ამხ. მიქაძე აღნიშნავს, რომ დღემდე ცენტრალური გამგეობა სათანადო მონაწილეობას ვერ ღებულობდა განათლების სახკომის განყოფილებათა მუშაობაში, რადგან უკანასკნელ დრომდე ამ განყოფილებებში კოლეგიალური მუშაობა არ სწარმოებდა. ამიერიდან ეს საკითხიც უნდა მოგვარდეს და ჩვენი განათლების არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არ უნდა გადაწყდეს კავშირის მონაწილეობის გარეშე. დასასრულ იგი ეხება მასწავლებლების საზოგადოებრივ მუშაობას და მოითხოვს მასწავლებლობის მეტ თვითმოქმედებას ჩვენი სოფლის ყველა საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაში.

ამხ. გოდაბაშიანი

(აფხაზეთი)

ამხ. გოდაბაშიანი აღნიშნავს, რომ ცენტრალურ გამგეობას აფხაზეთის ძირითად პროფქსელთან არა აქვს არა თუ ცოცხალი კავშირი, არამედ არც წერილობითი, დღემდე ადგილობრივ პროფორგანოებს არ მიუღიათ ც. გ. სხდომების არც ერთი ოქმი. კონფერენციაც მათი წარმომადგენლის დაუსწრებლად ჩატარდა. მოისუსტებს წევრთა ინტერესების დაცვაც. ხელფასის დარიგებას აგვიანებენ. გალის მაზრაში შვიდ წლედის მასწავლებლები იმდენს იღებენ, რამდენსაც ოთხ წლედის მასწავლებლები. ხელფასი გაუდიდდათ მეორე საფეხურის სკოლის მასწავლებლებს, ტეხნიკუმის პედაგოგიურ პერსონალს კი არა. საჭიროა ყველა ამ საკითხების სასწრაფო მოწესრიგება.

ამხ. ჭუმბურიძე

(განათლების კომისარიატი)

უარჰყოფს ზოგიერთ ორატორის ბრალდებას, თითქოს განსახკომის ინსტრუქტორები მხოლოდ სკოლის რევიზიებით კმაყოფილდებოდენ, თითქოს ინსტრუქტორების მხრით ადგილი ჰქონდეს მასწავლებელთა უფლებების შელახვას და იმ წესების დარღვევას, რომლიც ინსტრუქტორის მოვალეობას განსაზღვრავს.

ამხ. პირტახია

(ზუგდიდის მაზრა)

ორატორი ჩერდება მასწავლებლის როლზე კულტურულ რევოლუციის პრობლემებთან დაკავშირებით და მოითხოვს, რომ მოხდეს მასწავლებელთა გადამზადება იმ მოთხოვნილებების მიხედვით, რომლებსაც აყენებს ჩვენი სოფლის სამეურნეო კულტურული განვითარება, მაგრამ ეს კიდევ არ კმარა. საჭიროა გამომუშავებულ იქნეს სათანადო პროგრამა და გეგმა. რომელიც გაითვალისწინებს იმ მოვალეობებს, რომელთა შესრულება უნდა დაეკისროს სოფლის მასწავლებლებს, როგორც საზოგადოებრივ მუშაკებს.

ამხ. საგუთიძე

(სახ. უნივერსიტეტის პროფბიურო)

სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე სწავლობს კავშირის 900-მდე წევრი. აქედან ერთი მესამედი მასწავლებლებია. მათი ქონებრივი მდგომარეობა აუტანელია. კავშირი მოვალეა დაეხმაროს მათ უმუშევართა ფონდიდან დახმარების გაცემით, სტიპენდიების დანიშვნით და აგრეთვე იმ სტუდენტების ადგილებზე მოწყობით, რომელნიც მესამე და მეოთხე კურსზე იმყოფებიან.

ამხ. ნიორაძე

(გორის მაზრა)

თუ როგორ იცავენ განსახკომის ინსტრუქტორები მასწავლებელთა უფლებრივ მდგომარეობას, სჩანს იქიდან, რომ წელს მიზეზების დაუსახელებლად ხაშურში სამსახურიდან მოხსნილი იქნა 5 მასწავლებელი.

სარევიზიო კომისიებმა არ იციან თავისი ფუნქციები და ამიტომ ვერც მუშაობენ. უსახსრობა ხელს უშლის აგრეთვე კულტკომისიებს, გან. მუშაკთა სახლს გააფართოვონ თავიანთი საქმიანობა.

ამხ. ჯიბლაძე

(ფოთი)

ჩვენი საკავშირო მასა არ იცნობს კავშირის ბევრ ამოცანებს; ამ საქმეში კი დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ჩვენს ჟურნალს, რომელიც ამჟამად ისე ნაკლებად არის გავრცელებული, რომ იგი სამკითხველოებსა და სკოლებშიაც არ მოიპოვება.

ამხ. ბიბინეიშვილი

(აჭარისტანი)

შეუძლებელია აჭარისტანის მასწავლებლობის დატოვება იმ ჯამაგირზე, რომელიც მათ დღეს აქვთ, რადგან მათ განსაკუთრებულ პირობებში უხდებათ მუშაობა. იქვე ჯამაგირი უნდა გაუდიდდეს აგრეთვე დარაჯებსაც.

ამხ. შანიძე

(ოზურგეთის მაზრა)

საზოგადოებრივი საკითხებისადმი მასწავლებლობის პასივობის მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ხშირად თვით საბჭოთა-საზოგადოებრივი ორგანოები არ იწვევენ მათ საზოგადოებრივი საკითხების განხილვა-გადაჭრაში მონაწილეობის მისაღებათ.

ამხ. ახალკაცი

(ბორჯომი)

ადგილკომის მუშაკთა ნაკლები პასუხისმგებლობის მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ხშირად თვით კავშირის წევრები ღირსეულად ვერ აფასებენ პროფუჯრედების მუშაობას, რომელიც ხშირად ძალზე სუსტია, მაგრამ წევრთა საერთო კრების მიერ დამაკმაყოფილებლად არის ცნობილი. კოლხელშეკრულებები ადგილებზე არ ტარდება, არის შემთხვევები, როცა ადმინისტრაცია მასწავლებელს ხსნის სამოსწავლო წლის დაწყების შემდეგ. ადმასკომი მასწავლებელს ზოგ შემთხვევაში ითხოვს ისე, რომ წარმოდგენაც არა აქვს მის ღირსებაზე.

ამხ. ალიმადადოვი

(ბორჩალოს მაზრა)

თუ სადმე კულტურული რევოლუცია საჭირო, ყველაზე უფრო ბორჩალოს მაზრაში, სადაც სკოლები სრულიად მოუწყობელია და ხშირად საჯინიბოებს მოგაგონებს. მასწავლებლებს არა აქვთ ბინა, მოწაფეებს—სახელმძღვანელოები, ასეთ პირობებში მასწავლებლობას ვერ მოვსთხოვთ მათზე დაკისრებულ ამოცანების შესრულებას.

საზოგადოებრივი მუშაობის წარმოება თურქ გლეხობაში ერთობ ძნელია, რადგან იქ კულტურული ძალების წინააღმდეგ დარაზმულია კულაკობა და სასულიერო წოდების პირთა გაერთიანებული კავშირი, რომელიც ძირშივე კლავს ყოველგვარ საზოგადოებრივ საქმიანობას. მათ წინააღმდეგ ბრძოლას მასწავლებელი შესძლებს მაშინ, თუ მას გარანტია ექნება, რომ მას ასეთი მუშაობისათვის არ მოხსნიან

ამხ. კობახიძე

(თბილისი)

პოლიტგანათლების მუშაკთა ინტერესები კავშირის მიერ სათანადოთ ვერ არის დაცული. განსაკუთრებით ეს ითქმის სოფლის სამკითხველოს გამგეებზე, რომლებისათვისაც არც განსაზღვრული შრომის ნორმა არსებობს და არც გამოსასვლელი დღე. წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების მუშაკნიც უკეთეს მდგომარეობაში არ იმყოფებიან, მათი ხელფასი სამკითხველოების გამგეთა ხელფასზე ნაკლებია. თუ აზერბეიჯანში ერთ ლიკპუნქტზე იხარჯება 314 მან., სომხეთში 180 მანეთი, საქართველოში მხოლოდ 95 მან. აუცილებელია ამ დარგის მუშაკთა ხელფასი გაუთანასწორდეს პირველი საფეხურის მასწავლებელთა ხელფასს.

ამხ. ცაგურია

(თბილისის მაზრა)

ჯამაგირების დაგვიანება იშვიათი არ არის, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს, გარდა ამისა, მასწავლებელთა შემადგენლობის გადასინჯვა უნდა ხდებოდეს სამოსწავლო წლის დასაწყისში.

ამხ. ყაზახიშვილი

(ბორჩალოს მაზრა)

ც. გ. ქალთა შრომის მუშაობის დარგში არაფერი გაუკეთებია, არც კამათის დროს უთქვამთ ბევრი რამე ამ საკითხის გარშემო. საერთო მუშაობას კი ქალებიც ეწევიან, რასაც სათანადო შეფასება სჭირია, რომ ქალთა შორის ფეხი არ მოიკიდოს გულგრილობამ საზოგადოებრივი მუშაობისადმი.

ამხ. სოლომონია

(თბილისი)

თუ მასწავლებელთა უფლებრივი მდგომარეობა ხშირათ ილახება, ეს იმიტომ, რომ ადგილობრივი პროფორგანოები სათანადო სიმაღლეზე ვერ დგანან. მაგ. მის მაგიერ, რომ ადგილობრივმა პროფორგანომ დაიცვას უკანონოთ მოხსნილი მასწავლებელი, იგი მიწერ-მოწერას მართავს ცენტ. გამგეობასთან იმის შესახებ, თუ როგორ მოიქცეს. საჭიროა ხელმძღვანელობის გაწევა ადგილობრივ პროფორგანოებზე და მათთვის დახმარების გაწევა პრაქტიკულ მუშაობაში.

—:—

ამხ. სოლომონიას სიტყვით დამთავრდა კამათი ცენტრალურ გამგეობის მუშაობის გარშემო. თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. **გეგენავამ** აღნიშნა, რომ მოკამათეებს არ წამოუყენებიათ პრინციპიალურათ სადავო საკითხები და მათ თავიანთი სიტყვები უფრო შეავსებს და ხაზი გაუსვეს იმ მიღწევებსა და ნაკლოვანებებს, რომელსაც ცენტრალური გამგეობის მუშაობაში ქონდა ადგილი.

რეზოლუცია ცენტრალურ გამგეობის მუშაობის შესახებ

აფხაზეთის დელეგაციის წინადადებით ყრილობამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც ცენტრალურ გამგეობის მიერ აღებულ ხაზს სცნობს სწორათ, ხოლო მუშაობას დამაკმაყოფილებლად.

ვრცელი რეზოლუციის დასამუშავებლად არჩეულ იქნა კომისია 16 დელეგატის შემადგენლობით.

მეოთხე დღე

მეოთხე დღის დილისსხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. მარიამ ორახელაშვილის მოხსენება სახალხო განათლების მდგომარეობის შესახებ საქართველოში.

სახალხო განათლების საკითხები

(მომხსენებელი ამხ. მარიამ ორახელაშვილი)

მომხსენებელი მოკლე მიმოხილვას უკეთებს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ მიმდინარე სამოსწავლო წლისათვის მიღებულ ღონისძიებებს პროფტეხნიკური, უმაღლეს განათლების და სოციალური აღზრდის დარგებში.

მიმდინარე პერიოდში,—ამბობს მომხსენებელი,—როდესაც მთავრობის სამეურნეო პოლიტიკის დღის წესრიგში სდგას ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, მისი რეკონსტრუქცია, სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია და ინტენსიფიკაცია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა პროფტეხნიკურ განათლებას. მართალია, განათლების ამ დარგს საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშივე მიექცა ყურადღება, მაგრამ პროფტეხნიკურ სასწავლებელთა ქსელის გაფართოებას ახასიათებდა უსისტემობა და უგეგმობა. ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ჩამორჩენილობა არ იძლეოდა ნიადაგს, რომ განათლების ამ დარგის განვითარებას თავიდანვე გეგმიანი ხასიათი მისცემოდა. ამით აიხსნება, რომ პროფტეხნიკურ განათლების დარგში ადგილი ქონდა ზოგიერთ შეუსაბამობას. დღეს, როცა ჩვენი მეურნეობა განვითარების გარკვეულ კალაპოტში ჩაყენებული, პროფტეხნიკური განათლებაც ეგუება და უფარდდება ჩვენს მეურნეობაში მომხდარ ან მოსალოდნელ ცვლილებებს. განათლების ორგანოებთან დღეს უკვე შეთანხმებულნი არიან სამეურნეო დაწესებულებები, რომელთა მითითების თანახმად ხდება ამა თუ იმ ტეხნიკურ სასწავლებლების გახსნა, ან ზოგიერთ სასწავლებლების გადაკეთება ისეთ ტეხნიკურ სასწავლებლებად, რომელსაც მოითხოვს ჩვენი მეურნეობის განვითარების პერსპექტივები.

იგივე პრინციპი დაედვა საფუძვლად უმაღლეს პოლიტეხნიკურ განათლებაში შეტანილ ცვლილებას. უმაღლეს პოლიტეხნიკ. განათლებაშიდაც გაძლიერებულ იქნა ის დარგები, რომლებმაც უნდა მოამზადონ უმაღლესი კვალიფიკაციის პირები ჩვენი ახალგაზრდა ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობისათვის. ამ მიზნით ჩატარდა სათანადო ფაკულტეტების რაციონალიზაცია: სახ. უნივერსიტეტის პოლიტეხნიკური ფაკულტეტი შეუერთდა პოლიტეხნიკური ინსტიტუტის ამავე ფაკულტეტს, ხოლო ამ უკანასკნელის აგრონომიული ფაკულტეტი სახ. უნივერსიტეტის აგრ. ფაკულტეტს.

რაც შეეხება სახ. უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტს, წელს, მას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა: ფაკულტეტი შევსებულია ახალი პედაგოგიური ძალებით და შემოღებულია მეცადინეობის ლაბორატორიული მეთოდი. საერთოდ, სწავლების საქმე ყველა დარგებზე გაუმჯობესებულია. სტუდენტობას უკვე წაყენებული აქვს გარკვეული მოთხოვნები, რომელთა შესრულება მათ მიერ აუცილებელ პირობას წარმოადგენს კურსიდან კურსზე გადასასვლელად.

რაც შეეხება დაბალი საფეხურის პროფტეხნიკურ განათლებას, განათლების სახკომმა აქაც გადადგა გარკვეული ნაბიჯები, იმ მიზნით, რომ ჩვენი მეურნეობა უზრუნველყოფილ იქნეს დაბალი კვალიფიკაციის მუშა ხელით.

სამეცნიერო დაწესებულებათა ცხოვრებაში აღსანიშნავი მოვლენაა მუზეუმის შენობის დამთავრება, რაც ჩვენ სამეცნიერო დაწესებულებებს საშუალებას მისცემს მტკიცე ნიადაგზე დააყენონ და გააფართოვონ თავიანთი მუშაობა.

რაც შეეხება სხვა ღონისძიებებს ამ დარგში, სამეცნიერო მივლინებებს, სავალუტო და სხვა მოსაზრებათა გამო, წელს ადგილი არ ჰქონია, თუმცა რაიმე მნიშვნელოვანი სამეცნიერო კონგრესი საბჭოთა კავშირში და მის გარედ არ ჩატარებულა ჩვენი მეცნიერების მონაწილეობის გარეშე.

განათლების კომისარიატის მთავარ საზრუნავ საგანს წარმოადგენდა და წარმოადგენს პირველდაწყებითი განათლება. ჩვენი მიზანი იყო, რომ ამ უახლოეს წლებში შემოგვეღო საყოველთაო სწავლა. მაგრამ უსახსრობამ ამის საშუალება არ მოგვცა. მართალია, ჩვენი ბიუჯეტი წელს ორი მილიონი მანეთით გადიდდა, მაგრამ ეს თანხა მოხმარდა ხელფასის მომატებას, და იმდენი აღარ დაგვრჩა, რომ გაგვეფართოვებია პირველდაწყებითი სკოლების ქსელი. ადგილობრივი ბიუჯეტიც ჯერჯერობით იმდენად სუსტია, რომ მისი იმედით ჩვენ ვერ გავბედეთ გამოგვეცხადებია საყოველთაო-სავალდებულო სწავლა.

მიუხედავად ამისა, შესაძლებელია მთელ რიგ ღონისძიებათა გატარება, იმ პირობებშიაც, რომელშიც ეხლა ჩვენი დაბალი საფეხურის სკოლა იმყოფება, რომ სკოლაში ჩავაბათ სასკოლო ასაკის ახალგაზრდობის, რაც შეიძლება, მეტი რიცხვი. ამისათვის საჭირო იქნება სკოლების სამოქმედო რადიუსის გაფართოვება, ზოგიერთ სკოლების გაერთიანება და სხვ.

რაც შეეხება ოთხწლედის ცხოვრებაში მომხდარ შინაგან ცვლილებებს, სწავლების ახალი, კომპლექსური მეთოდი, მასწავლებლების მიერ უკვე შეთვისებულია, და იგი თანდათანობით ტარდება. 4 წლედის პროგრამას თითქმის არავითარი ცვლილება არ განუცდია, და მასწავლებლობას შეუძლია იხელმძღვანელოს ამ პროგრამით.

სოფლის ახალგაზრდობის სკოლების ცხოვრებაში მოხდა მცირეოდენი ცვლილება იმ მხრივ, რომ მათი მუშაობა შეუთანხმდა და შეუფარდა კოლექტიურ მეურნეობათა განვითარების საჭიროებას. ამ სკოლების რიცხვი არ გაგვიდიდებია. მომავალი წლიდან კი განზრახულია ორმოცი შვიდწლედი გადავაკეთოთ ასეთი ტიპის სკოლებად და გავხსნათ კიდევ რამდენიმე ახალი სოფლის ახალგაზრდობის სკოლა.

ქალაქებში ამ მხრივ უფრო არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. ჩვენმა შვიდწლედებმა სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მიიღეს ისეთი განხრა, რომელსაც მოითხოვს ქალაქის კომუნალური მეურნეობა და წარმოების სხვადასხვა დარგები.

ამ უკანასკნელ წლების პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ ცხრაწლედები ვერ ამზადებენ ახალგაზრდობას ჩვენი უმაღლესი სასწავლებლებისათვის. ამის ერთ-ერთი მიზეზი სამეცადინო წელთა სიმცირე არის, ამიტომ ჩვენ გადავსწყვიტეთ, რომ ცხრაწლედებს ერთი წლისწადიც მოუმატოთ. პროგრამა გადიდებული არ იქნება, მაგრამ სამი წლის კურსი საშუალებას მოგვცემს, რომ სამაცადინო პროგრამა ჯგუფებს შორის რაციონალურად გავანაწილოთ. მეორე ახალი მოვლენა ამ ტიპის სასწავლებლებში ის არის, რომ გადაწყვეტილი გვაქვს შემოვიღოთ ერთ-ერთი უცხო ენის სწავლება.

განხრები, რომელიც მიცემული ჰქონდათ ცხრაწლედებს—რჩება, გარდა ადმინისტრატიულ სამეურნეო განხრისა, რომელმაც სასურველი შედეგები ვერ მოგვცა. ცხრაწლედების განხრა უფარდდება ჩვენი სამეურნეო ცხოვრების განვითარებას: იმის და მიხედვით თუ რა კვალიფიკაციის მუშაკები იქნება საჭირო ჩვენი მეურნეობისათვის, შეიცვლება ცხრაწლედების განხრაც.

შემდეგ მომხსენებელი გადადის სახელმძღვანელო გეგმების და პროგრამების საკითხზე და ამბობს, რომ წელს შვიდწლედის პროგრამების შედგენას დაგვიანდა, იმის გამო, რომ ის პედაგოგები, რომელნიც მონაწილეობას ღებულობდნენ პროგრამების დამუშავებაში, მთელი წლის განმავლობაში დატვირთული იყვნენ თავის პირდაპირი საქმეებით და საკმაო მოცალეობა არ ჰქონდათ პროგრამების დამუშავებაში მონაწილეობის მისაღებად. მიუხედავათ ამისა, წელს პროგრამები სამი-ოთხი თვით ადრე ურიგდებათ სკოლებს, ვიდრე წინა წლებში. პროგრამები შედგენილია ჩვენ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებთან შეფარდებით.

შემდეგ, მომხსენებელი ეხება მეთოდ ბიუროს მუშაობას, და გადაჭრით უარჰყოფს ზოგიერთ ორატორის მტკიცებას,—თითქოს მეთოდბიუროს სისტემატ ჰქონდეს შემოღებული რიგ სახელმძღვანელოების დაწუნება და უვარგისის მოწონება; მეთოდბიურო ამა თუ იმ სახელმძღვანელოს განხილვის დროს ხელმძღვანელობს არა მარტო თავის თანამშრომლებით, არამედ იმ პირთა რეცენზიებით და დასკვნებით, რომელნიც ასეთ საკითხში კომპეტენტურნი არიან.

დასასრულ მომხსენებელი ეხება რა მასწავლებელთა უფლებრივ მდგომარეობას, დაუშვებლად მიაჩნია მასწავლებელთა უფლებების დაცვის საქმეში განათლების სახ. კომისარიატის და განათლების მუშაკთა კავშირის ერთმანეთთან დაპირდაპირება, განათლების სახალხო კომისარიატი მასწავლებლობის ნივთიერ უზრუნველყოფის და უფლებრივ მდგომარეობის დაცვის საქმეში არავის არ ჩამორჩება, და თუ ამ მხრივ მის მოღვაწეობაში ადგილი აქვს უნებურ შეცდომებს და შეუსაბამობას, ეს არ მიეწერება იმას, რომ განათლების კომისარიატი მეფის დროინდელი სამეურნეო დაწესებულებასავით ბიუროკრატიული დაწესებულება იყოს, რომელსაც არაფრად უღირს მასწავლებელთა ნივთიერი და უფლებრივი მდგომარეობა. შეცდომების გამოსასწორებლად საჭიროა განსახკომის და პროფკავშირის შეთანხმებული მუშაობა და არა ამ ორგანიზაციების ერთი მეორესთან დაპირდაპირება.

ამხ. მარიამ ორახელაშვილის მოხსენებას დამთავრების შემდეგ ყრილობას ესტუმრენ საბჭოთა კავშირის ცაკის მდივანი ამხ. **აბელ ენუქიძე** და საქ. კომპარტიის ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტის მდივანი ამხ. **მამია ორახელაშვილი,** რომლებსაც დელეგატები მქუხარე ტაშის ცემით შეხვდნენ.

ამხ. აბელ ენუქიძის სიტყვა

ამხანაგებო, მიმართავს ამხ. ენუქიძე ყრილობას,—საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით მე სიამოვნებით მივესალმები სოფლისა და ქალაქის კულტურულ მუშაკებს. მე მოულოდნელად ვეწვიე თქვენს ყრილობას და არ ვიცი, თუ რა პრაქტიკული საკითხები სდგას თქვენი მუშაობის დღის წესრიგში. მაგრამ მე ვიცნობ სახალხო განათლების მიმდინარე საჭირბოროტო საკითხებს და თავს ნებას მივსცემ რამდენიმე სიტყვით შევეხო მათ.

საბჭოთა ხელისუფლებას, თავის არსებობის პირველ წლებში, სამწუხაროდ, არ ჰქონდა არც სახსარი და არც დრო სათანადო ყურადღება მიექცია სახალხო განათლებისა და ამ დარგში მომუშავე პირთა მდგომარეობისათვის. მთავრობის ასეთი ყურადღება განათლებისადმი, რასაკვირველია, არ აიხსნება იმით, რომ მას გათვალისწინებული არა ჰქონდეს მისი მნიშვნელობა.

ჩვენ საბჭოთა რესპუბლიკებს ოდნავათაც ვერ წავსწევთ წინ, თუ არ ავამაღლებთ მასების კულტურული დონე. ამის შეგნება მთავრობას იმ თავითვე ჰქონდა, და თუ სახალხო განათლების საქმე თავიდანვე ჯეროვან სიმაღლეზე ვერ დააყენა, ეს აიხსნება იმ პირობით, რომელშიაც ჩვენ რესპუბლიკებს უხდებოდათ და უხდებათ განვითარება.

პირველ ყოვლისა, საბჭოთა ხელისუფლება იძულებული იყო მთელი თავისი ძალ-ღონე მოეხმარებია ჩვენი მეურნეობისა და მეურნეობის იმ დარგების გაძლიერებისათვის, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ შევინარჩუნოთ ჩვენი მდგომარეობა, რომ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო განვითარება, ჩვენი სახელმწიფოს სიმტკიცე არ შეარყიონ ჩვენმა მრავალრიცხოვანმა მტრებმა, რომელნიც მუდამ მზად არიან ყოველი ჩვენი წაფორხილების დროს ხელი გვკრან და უფსკრულისაკენ გადაგვიძახონ. რამდენიმე წლიწადი მთავრობამ ჩვენი სამეურნეო მდგომარეობის განმტკიცებას, მისი განვითარების სწორ კალაპოტში ჩაყენებას მოახმარა. დღეს მდგომარეობა იმდენად შეცვლილია, ჩვენი ქვეყნის ნივთიერი მდგომარეობა იმდენად განმტკიცებულია, რომ საშუალება გვაქვს დღის წესრიგში დავსვათ კულტურისა და განათლების საკითხები.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ დღეს კომუნისტური პარტია და მასთან ერთად მთავრობა, კულტურული რევოლუციის საკითხებს ისეთ დიდ მნიშვნელობას აძლევს, რომ არც ერთი თათბირი, არც ერთი კრება, რომელიც იმართება ჩვენი საბიუჯეტო, თუ სამეურნეო საკითხების გადასაჭრელად, არ ტარდება ისე, რომ ამ კრებებზე და თათბირებზე განათლებისა და კულტურის საკითხებიც არ დაისვას. ეს სრულიად ბუნებრივი და გასაგები მოვლენაა: არა თუ სოციალიზმის დამყარება, არამედ უბრალო ღონისძიებების გატარება ჩვენი მეურნეობის ახალოარძინებლად, არ შეიძლება, თუ არ ამაღლდა კულტურული მომზადების საერთო დონე ჩვენს მოსახლეობაში, რაიმე მნიშვნელოვან ღონისძიებების გატარება, სოფლის მეურნეობაში თუ მრეწველობის ამა თუ დარგში,—წინასწარ გულისხმობს გლეხობისა და მუშების შეგნების, მათი ცოდნის ამაღლებას. ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა საბჭოთა ხელისუფლება, როცა დღის წესრიგში დასვა კულტურული რევოლიუციის საკითხები და ამ ამოცანებთან დაკავშირებით გადასდგა პატარა ნაბიჯი კულტურის მუშაკთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. რასაკვირველია, ის, რაც თქვენი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად არის გაკეთებული, საკმაო არ არის, მთავრობა მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ წლიდან წლამდე, უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს კულტურისა და განათლების მუშაკებს, შეუქმნას მათ მუშაობის შესაფერი პირობები, რადგან ამას მოითხოვს ის პერიოდი, რომელშიდაც ჩვენი ქვეყნის განვითარება იმყოფება.

ეს არის საკითხი, რომელიც უშუალოდ შეეხება განათლების მუშაკთ, ამასთან ერთად არის ზოგიერთი საკითხები, რომლებიც მასწავლებლობას უშუალოდ არ შეეხება, მაგრამ რომლებთა მოგვარებაში მასწავლებლების როლი მნიშვნელოვანია.

რა წარმოადგენს ამჟამად ხელისუფლების საზრუნავ საგანს სოფლად? ეს არის ჩვენი ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოების სისუსტე. თქვენ სოფლად გიხდებათ მუშაობა და ჩვენზე უკეთ იცით, თუ როგორია საბჭოთა ორგანოები ადგილებზე, იცით მათი უარყოფითი მხარეები, იცით, რომ ხშირად ხელისუფლების ორგანოები ისეთ შეცდომებს სჩადიან, რომ სახოწარკვეთილებაში აგდებენ ისეთ პირებსაც კი, რომელნიც თავდადებულად იბრძოდენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ვიმეორებ, რომ ეს საქმე, ფორმალურად თქვენს საქმეს არ შეადგენს, მაგრამ მასწავლებლები, რომლებიც მიზნად ისახავენ არა მარტო ახალი თაობის აღზრდას, არამედ მთელი მოსახლეობის კულტურულ-პოლიტიკურ გათვითცნობიერებას; მასწავლებლები, რომლებმაც კარგად იციან ჩვენი ადგილობრივ ორგანოების სისუსტე და მათი შეცდომები, ამ საკითხს გვერდს ვერ აუხვევენ.

დღეს მასწავლებლებს არ ეპატიება, რომ თავისი მუშაობა რამდენიმე გაკვეთილის მიცემით შეზღუდოს და ყურადღება არ მიაქციოს იმ საკითხებს, რასაც დღეს ჩვენი ცხოვრება აყენებს, თუ წინათ ჩვენ უფლება არ გვქონდა მასწავლებლებისათვის მოგვეთხოვა გასცილებოდა თავის სკოლის ფარგლებს (არ გვქონდა,რადგან იგი მივიწყებული გვყავდა), ეხლა როცა იგი ასე თუ ისე უზრუნველყოფილია და მეტის გაკეთების საშუალება აქვს, მასწავლებლობა ვალდებულია გააფართოვოს თავისი სამოქმედო ასპარეზი და გახდეს საბჭოთა საზოგადოებრივ მუშაობის აქტიური მონაწილე.

ამჟამად ჩვენს წინაშე სდგას საბჭოთა არჩევნები, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ მხრით, რომ მან უნდა მოგვცეს საშუალება სოფლად მოვაწყოთ უკეთესი ორგანოები, რომ ამ ორგანოებისათვის შევარჩიოთ ისეთი პირები, რომელნიც სისწორით და უნაკლოდ გაატარებენ ცხოვრებაში მთავრობის მიერ ჩვენი სოფლის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გამოცემულ კანონებს.

თუ თქვენ ეცდებით, რომ ამ არჩევნებით დააინტერესოთ გლეხობის ფართო მასები, თუ თქვენ საარჩევნო კამპანიაში ჩააბამთ მთელ მშრომელ მოსახლეობას, თუ თქვენ კანდიდატებათ წამოაყენებთ ისეთ პირებს, რომლებიც უკეთეს საბჭოთა ორგანოებს მოაწყობენ, ამით თქვენ საქმესაც ხელს შეუწყობთ. იქ, სადაც კარგად არის დაყენებული საბჭოების მუშაობა; იქ სადაც საბჭოებმა იციან სწავლა-განათლების მნიშვნელობა; იქ, სადაც საბჭოები გულისყურით ეკიდებიან სწავლა-განათლების მტკივნეულ მხარეებს, მასწავლებლების მუშაობა ერთიორათ გაადვილებულია. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ კარგად მოწყობილი საბჭოთა ორგანოები თქვენს მუშაობასაც გაუკაფავს გზას.

როგორც მოქალაქეებს თქვენ არჩევნებში მიიღებთ მონაწილეობას, მაგრამ ეს არ კმარა, თქვენი მოვალეობაა ამომრჩეველთა ფართო მასებს განუმარტოთ საარჩევნო კითხვები, დააინტერესოთ ისინი არჩევნების დროს წამოჭრილი საკითხებით, ხელი შეუწყოთ ადგილობრივ ორგანოებს არჩევნების ჩატარებაში და სხ. ცენტრალური მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმას, თუ რა მონაწილეობას მიიღებს სოფლის ინტელიგენცია ამ არჩევნებში.

მთავრობას ინტელიგენციის დახმარებით იმედი აქვს არა მარტო საარჩევნო კამპანიის ჩატარებაში, არამედ ჩვენი სოფლის სხვა მტკივნეულ საკითხების მოგვარებაში. მთავრობას იმედი აქვს, რომ მასწავლებლობა დაივიწყებს თავის გაჭირვებას, რომელიც ჩვენი საერთო სიღარიბის შედეგია, და ენერგიულად მოეკიდებს ხელს საზოგადო საქმიანობას: დაეხმარება მთავრობას ჩვენი სასოფლო მეურნეობის გარდაქმნაში, გლეხობის გათვითცნობიერებაში და იმ ცრუ შეხედულებების აღმოფხვრაში, რომელიც ჩვენს გლეხობას საშუალებას არ აძლევს დაიჯეროს, თუ რა სარგებლობა მოაქვს მისთვის მეურნეობის ახალ ფორმებს და მთავრობის მიერ მისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მიღებულ ღონისძიებებს.

მე აღარ შემიძლია მეტი დრო წავართვა ყრილობას, ვუსურვებ მას, რომ ისე წარმართოს თავისი მუშაობა, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული აღორძინება. (მქუხარე ტაში).

ამხ. მამია ორახელაშვილის სიტყვა

ამხ. ენუქიძემ,—ამბობს ამხ. მამია,—გადმოგცათ ის სულიერი ქენჯნა, რომელსაც განიცდის საბჭოთა ხელისუფლება იმის გამო, რომ მან ვერ შესძლო სავსებით შეესრულებია ამხ. ლენინის ანდერძი, რომელიც ჩვენ გვავალებს, რომ სახალხო მასწავლებელი ჩავაყენოთ ისეთ მდგომარეობაში, როგორშიაც არ ყოფილა იგი არც ერთი წესწყობილების დროს. ეს დირექტივა ჯერ დღემდე განუხორციელებელია, მაგრამ დღითი-დღე ჩვენ ვუახლოვდებით იმ დროს, როცა იგი ხორცს შეისხამს. ყოველ წელს, ყოველ დღე ჩვენი ზრუნვა, ჩვენი ღონისძიება იქითკენ რის დ იქნება მიმართული რომ სახალხო განათლებას მატერიალური საფუძველი განუმტკიცოთ. ეს არ არის სიტყვა სამიტინგოთ წარმოთქმული, არამედ ჩვენი მთავრობის მტკიცე გადაწყვეტილება. ჩვენ უკვე შევედით განვითარების იმ პერიოდში, როდესაც მასწავლებლობა წარმოადგენს იმ იარაღს, რომელმაც უნდა გაკაფოს გზა კულტურული რევოლიუციისათვის.

როცა პარტიის მე-15 ყრილობამ დღის წესრიგში დასვა სოფლის მეურნეობის გადაყვანა სოციალისტურ ნიადაგზე, იგი ითვალისწინებდა, რომ ლაშქრობაში ჩვენი სახ. მეურნეობის გარდასაქმნელად საპატიო ადგილს დაიჭერდა ჩვენი მასწავლებლობა.

სოციალიზმის ზრდა სოფლად გულისხმობს მოსახლეობის შეგნების ზრდას, სოციალისტური მიზნებით გამსჭვალულ მოქალაქეთა გამრავლებას, ახალი კადრების მომზადებას. ეს დიდი საქმე კი მასწავლებლის მოვალეობას შეადგენს. მან უნდა მისცეს ჩვენს სოფელს ახალი ადამიანი, გათვითცნობიერებული და სოციალისტურად მოაზროვნე შეგნებული მოქალაქე.

ამიერ-კავკასიის პარტიულ ორგანიზაციების სახელით შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენი მასწავლებლობა, რომელსაც აქვს კულტურული მოღვაწის ტრადიციები, არ ჩამორჩება კულტურის მუშაკთა იმ რაზმებს, რომლებიც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში სოფლის გარდასაქმნელად იბრძვიან.

თუ წინად, როცა ვილჰელმმა გერმანიამ თავის მოწინააღმდეგეზე გაიმარჯვა, ამბობდენ, რომ გერმანიის გამარჯვება სახალხო მასწავლებლების გამარჯვება იყოთ, ჩვენმა მასწავლებლობამ მთელ ქვეყანას უნდა მისცეს საშუალება ეს თქმულება ასე შესცვალოს: მასწავლებლობის სახით პროლეტარიატს ჰყავს ისეთი მოკავშირე, რომლის დახმარებით პროლეტარიატს შესწევს ძალა გაიმარჯვოს თავის კლასიურ მოწინააღმდეგეზე—საერთაშორისო ბურჟუაზიაზე.

გაუმარჯოს შრომისა და ცოდნის კავშირს ლენინურ პარტიის ხელმძღვანელობით! (მქუხარე ტაში).

ღამის ცნობები

რუანის გაფიცვა ფართოვდება.

პარიზი, 30 ოქტომბერი. ფეიქართა მიტინგის შემდეგ, რომელიც რუანში რევოლიუციონურმა პროფკავშირებმა მოაწყვეს, გაფიცულთა რიცხვმა 5,000 მიაღწია. ამჟამად რუანის რაიონში გაფიცულია სულ 7,000 ფეიქარი.

საჯარო დისპუტი: „ადამიანის უფლებანი საბჭოთა კავშირში“.

ბერლინი, 30 ოქტომბერი. გუშინ „ადამიანის უფლებათა ლიგამ“ მოაწყო დისპუტი: „ადამიანის უფლებანი საბჭოთა კავშირში“. მომხსენებლად გამოვიდნენ, ერთის მხრით, ემიგრანტი—მენშევიკი აბრამოვიჩი, მეორეს მხრით, კომუნისტი მიუნცენბერგი. აბრამოვიჩის სიტყვაში ჩვეულებრივი ცილისწამება იყო საბჭოთა კავშირის მიმართ. მიუნცენბერგმა მთლიანად დაარღვია აბრამოვიჩის მტკიცებანი, ამან გააბოროტა აბრამოვიჩი და დისპუტის დასრულებამდე მან გააფთრებული პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ მიუნცენბერგს საბოლოო სიტყვა მისცეს თუმცა მიუნცენბერგს საბოლოო სიტყვის სრული უფლება ჰქონდა როგორც ერთ-ერთ მომხსენებელს. დამსწრეებმა ილაპარაკეს აბრამოვიჩის წინააღმდეგ, გაიმართა აურ-ზაური. კრება დისპუტის დამთავრებამდე დაიხურა. (ადს).

საპარლამენტო არჩევნები შვეიცარიაში

ბერლინი, 30 ოქტომბერი. წინასწარი გამოანგარიშებით, საპარლამენტო არჩევნების შედეგი შვეიცარიაში ასეთია: კომუნისტებმა მიიღეს 2 მანდატი (ჰქონდათ 3); სოც.-დემოკრატებმა—50 (ჰქონდათ 49); გლეხ-ხელოსანთა სამოქალაქო პარტიამ (კულაკების რეაქციონური პარტია)—31 (ჰქონდათ 31); კათოლიკურმა პარტიამ (რეაქციონური)— 46 (ჰქონდათ 42); თავისუფლად მოაზროვნე დემოკრატებმა—58 (ჰქონდათ 89); ლიბერალ-დემოკრატებმა—6 (ჰქონდათ 7); სოციალური პოლიტიკის პარტიამ—3 (ჰქონდათ 5). ციურიხის გარდა, ყველგან, სადაც კი კომუნისტებმა კანდიდატები წამოაყენეს გაიზარდა კომუნისტების სასარგებლოდ მიცემული ხმების რიცხვი. მაგ.: ბაზელში კომუნისტებმა—1,400 ხმით მეტი მიიღეს, ვიდრე 1925 წელში.

შეტაკება მუნიციპალურ საბჭოში

პარიზი, 29 ოქტომბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება ლონდონიდან, რომ მუნიციპალური საბჭოს სხდომაზე ერთერთმა ორატორმა, რომელიც შეეხო ყოფილ პრემიერ კომბის ძეგლის გახსნის დროს პონში მომხდარ ინციდენტს, შეურაცხყოფა მიაყენა ერიოს, რომელიც სხდომას თავმჯდომარეობდა. ამან გამოიწვია შეტაკება. შეტაკების სამი მონაწილე დაპატიმრებულია. (ადს)

„შეთქმულთა“ დასჯა

ბერლინი, 29 ოქტომბერი. ჰოლანდიის პრესის ცნობით, სასამართლომ სხვადასხვა ვადის პატიმრობა მიუსაჯა დასავლეთი სუმატრის 6 მკვიდრს. მათ 1927 წელს მონაწილეობა მიიღეს ჰოლანდიის ბატონობის წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებაში. (ადს).

მიწისძვრა ლენინაკანში

ლენინაკანი, 30 ოქტომბერი. დღეს დილის 9 ნახ. საათზე ქალაქში ნიადაგი იძრა. ერთმანეთს მოჰყვა ორი მეტად სუსტი ბიძგი. ქალაქში არაფერი დაზიანებულა.

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი

მოსკოვი, 30 ოქტომბერი. 29 ოქტომბერს საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმმა მოისმინა ამხ. შმიდტის მოხსენება შვიდი საათის სამუშაო დღის განხორციელების შესახებ სამრეწველო დაწესებულებებში.

„შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლამ,—სთქვა ამხ. შმიდტმა,—ეჭვს გარეშე რამდენიმე დადებითი შედეგი მოიტანა: პროდუქცია თვალსაჩინოდ გაიზარდა, ნაწილობრივ იმის წყალობით, რომ შემოღებულ იქნა მესამე წყება; წარმოებაში ჩაებენ მუშების ახალი კადრები; არსებული მოწყობილება შემოკლებული სამუშაო დღის დროს უფრო სრულად და მიზანშეწონილად არის დაყენებული.

შვიდი საათის სამუშაო დღის განხორციელების მთავარი დეფექტები, პირველ ყოვლისა, შემდეგია: არ სწარმოებდა საკმაო წინასწარი სამზადისი, მუშათა მასებს არ განემარტათ დედა-აზრი შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლისა, რასაც აუცილებლად თან სდევდა მესამე (ღამის) წყების შემოღება. შრომის ნაყოფიერებასა და ხელფასზე ცუდათ იმოქმედა გამოუცდელი მუშების დენამ, უმთავრესად სოფლიდან. კვალიფიციური მუშების გადაყვანას კი აძნელებდა ის გარემოება, რომ შეუძლებელი იყო მათი უზრუნველყოფა ბინებით. საკმაოდ მომზადებულნი არ აღმოჩნდნენ ის პირები, რომლებიც ვადამდე იქნენ გამოშვებულნი საქარხნო-საფაბრიკო სკოლებიდან. ტეხნიკური პერსონალი ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას არ იღებდა შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა განხორციელებაში. თუ ამას დაუმატებთ, რომ ნედლეული ყოველთვის სათანადო ღირსებისა არ იყო და თვით სამეურნეო ორგანიზაციებიც საკმაოდ მომზადებულნი არ იყვნენ შემოკლებულ სამუშაო დღეზე გადასასვლელად, მაშინ გასაგები გახდება ის შეცდომები, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლის დროს.

მთავრობამ გადასწყვიტა შვიდი საათის სამუშაო დღის განხორციელება მთელს მრეწველობაში უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში. წელს შვიდი საათის დღეზე გადაყვანილ იქნება მუშების საერთო რიცხვის (დაახლოებით) 20 პროცენტი. უკვე გამოქვეყნებულია იმ საწარმოთა სია, რომელთა გადაყვანა 7 საათის სამუშაო დღეზე განზრახულია 1928—29 წელს. ამ სიაში სჭარბობენ მსუბუქი ინდუსტრიის წარმოებები. ეს ნაკლი გამოსწორებულ უნდა იქნას. საჭიროა წელსვე გაძლიერდეს მეტალურგიისა, და ქვანახშირის საწარმოთა გადაყვანა, თუმცა ამ საწარმოთა გადაყვანა თვალსაჩინო ხარჯებთან არის დაკავშირებული.

შვიდი საათის სამუშაო დღის განხორციელების დროს საჭიროა დაისვას სხვადასხვა საკითხი, რომელიც დაკავშირებულია შრომის კანონმდებლობასთან, კერძოდ ღამის შრომასთან წარმოებაში, აგრეთვე უნდა დაისვას საკითხი სამუშაო დროის წარმოების შესახებ ჯანის დამაზიანებელ წარმოებაში. შვიდი საათის სამუშაო დღე მოითხოვს უფრო მეტ ყურადღებას მუშების საყოფა-ცხოვრების მოთხოვნილებებისადმი. შემოკლებული სამუშაო დღის წარმატებით განხორციელების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს მუშა ხელის ფართოდ მომზადება მრეწველობისათვის.

პლენუმის დახურვა

მოსკოვი, 30 ოქტომბერი. დაიხურა საკავშირო პროფსაბჭოს მე-5 პლენუმი. პლენუმმა შეიმუშავა შემდეგი დღის წესრიგი საბჭოთა კავშირის პროფკავშირების მე-8 ყრილობისათვის რომელიც დაიწყება 1928 წლის 10 დეკემბერს: საკავშირო პროფსაბჭოს ანგარიში, სარევიზიო კომისიის ანგარიში (მომხსენებლები: ამხ ტომსკი, დოგადოვი და ლევოვი),საბჭოთა კავშირის პროფინტერნში დაგზავნილი დელეგაციის მოხსენება (მომხსენებელი ამხ. ლოზოვსკი), საბჭოთა კავშირის შრომის კომისარიატის ანგარიში, მოხსენება სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთ წლიანი გეგმისა და სახ. მეურნეობის მორიგი ამოცანების შესახებ, კავშირების სატარიფო-ეკონომიური მუშაობა (ამხ. გინზბურგის მოხსენება), კავშირების საორგანიზაციო მშენებლობა (ამხ. მელნიჩანსკის მოხსენება), კავშირების კულტურულ-საგანმანათლებლო ამოცანები (მომხსენებელი ამხ. ევრეინოვი), პროფკავშირები და კოოპერაცია (მომხსენებელი ამხ. ლიუბიმოვი და პოზდნიშევი), მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობა ადმინისტრატიულ-სამეურნეო და სავაჭრო აპარატის გაჯანსაღებისა და გაუმჯობესებისათვის და პროფკავშირების მონაწილეობა ამ მუშაობაში (მომხსენებელი ამხ. ორჯონიკიძე), საკავშირო პროფსაბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევა.

დასასრულ, პლენუმმა დაადგინა—გამორიცხოს თავის შემადგენლობიდან საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმის კანდიდატი, გემოკვების მუშაკთა ჩრდილოეთ-კავკასიის ყოფილი თავმჯდომარე არტემოვი, რომელსაც ფულის გაფლანგვისათვის მისჯილი აქვს ორი წლის პატიმრობა. (ადს).

გერმანელი მოგზაური სოხუმში

სოხუმი, 30 ოქტომბერი. სოხუმში ჩამოვიდა გერმანელი მოგზაური, წითელი ფრონტელი, იოსებ ზაქსი, რომელსაც განზრახვა აქვს დედამიწას შემოუაროს რვა წლის განმავლობაში. ზაქსი გერმანიიდან გამოვიდა 2 წლის წინეთ და უკვე იყო ჰოლანდიაში, ბელგიაში, ინგლისში, საფრანგეთში, ესპანეთში, ალჟირში, ტუნისში და სხვა ქვეყნებში. ინახულა სულ ევროპისა, აზიისა და აფრიკის 18 სახელმწიფო. ჩვენში მოვიდა სპარსეთიდან, აქედან იგი გაემგზავრება ციმბირში, კამჩატკაში, კორეაში, მერე იაპონიაში, ჩინეთში, ინდოეთში, ავსტრალიაში, სამხრეთ და ჩრდ.-ამერიკაში და სკანდინავიაში. მოგზაურობის მიზანია მუშათა და გლეხთა ყოფა-ცხოვრების გაცნობა. იოსებ ზაქსი ფილოლოგია, იცის 12 ენა. იმპერიალისტური ომის დროს გერმანიის სამხედრო ტყვეების ბანაკებში მან გააფართოვა თავისი ცოდნა. მოგზაურობის დასრულების შემდეგ ზაქს განზრახვა აქვს გამოსცეს სპეციალური წიგნი. (ადს)

ამხ. ფრუნზეს გარდაცვალების სამი წლის თავი

მოსკოვი, 30 ოქტომბერი. 31 ოქტომბერს, ფრუნზეს გარდაცვალების სამი წლის თავზე წითელი არმიის ცენტრალურ სახლში გაიხსნება გამოფენა. გამოფენა მიეძღვნება ამხ. ფრუნზეს ცხოვრებასა და მოღვაწეობას, (ადს).

ამბურგის მუშების წერილი

კიევი, 30 ოქტომბერი. კიეველმა მუშებმა მიიღეს წერილი ჰამბურგის გემთსაშენის მუშათა ჯგუფისაგან, რომელნიც საბჭოთა კავშირში იყვნენ ოქტომბრის დღესასწაულების დროს. ჰამბურგელი მუშები თავიანთ წერილში, სხვათა შორის, სწერენ:

„ოქტომბრის ბრწყინვალე დღესასწაულების მოახლოების გამო ვესალმებით საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს. მჭიდროთ შევაკავშიროთ რიგები. მხარ და მხარ ვიბრძოლებთ ბარიკადებზე მსოფლიო რევოლიუციისათვის“

საკ. სახკომსაბჭოს წინადადება

მოსკოვი, 30 ოქტომბერი. საკავშირო სახკომსაბჭომ წინადადება მისცა კავშ. ყველა უწყებას მიიღონ ზომები, რომ როგორც მათ ისე მათი ხელქვეით მყოფმა სამეურნეო ორგანოებმა გადაიხადონ სოციალური დაზღვევის დავალიანება. ეს დავალიანება აუცილებლად გადახდილ უნდა იქნას სამი თვის განმავლობაში (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიაში

ვემზადოთ კომკავშირის შაბათობისათვის

ცირკულიარულად

საქ. კ. პ. (ბ) სამ. კომიტეტს, ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

საქ. ა. ლ. კ. კ. ათი წლის იუბილეთან და ოქტომბრის რევოლიუციის თერთმეტი წლის თავთან დაკავშირებით—საქ. კომკავშირის ორგანიზაციები ერთ-ერთ დღეს 4-დან 15 ნოემბრამდე ატარებენ კომკავშირის შაბათობას სკოლის დასახმარებლად.

კომკავშირის შაბათობის მიზანია—მიიზიდოს მშრომელი ახალგაზრდობის და მთელი მოზრდილი მოსახლეობის ფართო მასები სასკოლო აღმშენებლობის საქმეში აქტიურ მონაწილეობის მისაღებათ. სკოლის საჭიროება—მოთხოვნილებებისადმი საზოგადოებრივ ყურადღების გასაძლიერებლად და სკოლისადმი მატერიალურ დახმარებისათვის საჭირო საშუალებათა აღმოსაჩენათ.

ასეთ შაბათობის ჩატარება, განსაკუთრებით საქართველოს პირობებში, მის უაღრეს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ-აღმზრდელობითი მნიშვნელობასთან ერთად, უეჭველია, ხელს შეუწყობს აგრეთვე საბჭოთა სკოლების მატერიალურ ბაზის გაძლიერებით ამ სკოლების ნამდვილ შრომის სკოლებათ გადაქცევას.

ზემოაღნიშნულის გამო საქ. კ. პ. (ბ) ც. კ წინადადებას იძლევა აღმოუჩინოს ყოველმხრივი დახმარება ა. ლ. კ. კ. რათა უზრუნველყოფილ იქნეს შაბათობის წარმატებით ჩატარება, რისთვისაც უნდა იხელმძღვანელოთ შემდეგი ძირითადი მითითებებით:

1. ჩატარებულ იქნეს სპეციალური მოხსენებები მუშა-მოსამსახურეთა მასიურ კრებებზე წარმოება-დაწესებულებებში, მუშათა კლუბებში, სკოლებში და სხვ. შაბათობის მიზნებისა და მნიშვნელობის და მასში ახალგაზრდობის და მოზრდილ მოსახლეობის მონაწილეობის შესახებ.

2. მოწვეულ იქნეს პარტკომთან ა. ლ. კ. კ-თან ერთად სამეურნეო, კოოპერატიულ, პროფესიონალურ და სხვ. საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი, რომლის მიზანიც იქნება ყველა ძალთა გაერთიანება და ც. კ. დირექტივების საფუძველზე შაბათობის მოწყობის კონკრეტიულ გეგმის დამუშავება.

3. კომკავშირის კომისიების მუშაობის მოწყობის დარგში უზრუნველყოფილ იქნას საჭირო ხელმძღვანელობით მათდამი პარტკომების პასუხისმგებელ წარმომადგენელთა მიმაგრებით.

4. მოსამზადებელ მუშაობის მსვლელობა, შაბათობის ჩატარება და მისი შედეგები გაშუქებულ იქნას პრესაში.

5. საქ. პროფკავშირთა საბჭოს ფრაქციამ, საქართველოს ს. მ. უ. ს., განსახკომმა, კოოპერატიულმა და სხვ. ორგანიზაციებმა უნდა მისცენ ადგილებს თავის ხაზით საჭირო მითითებანი შაბათობის წარმატებით ჩატარების საქმეში კომკავშირის ხელის შეწყობის შესახებ.

6. ა. ლ. კ. კ. ც. კ: არა უგვიანეს პირველ დეკემბრისა უნდა შეაჯამოს შაბათობის ჩატარების შედეგები და წარმოადგინოს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ში.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. მდივანი:
მ. კახიანი.

ც. კ. აგიტპროპბეჭდვითი განყ. გამგე: **ს. მამულია.**

ბრძოლა მემარჯვენე გადახრასთან

მოსკოვი, 30 ოქტომბერი. ჩრდილოეთ-კავკასიის საოლქო კომიტეტი, პიატიგორსკის პარტაქტივი, საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტი სიმფეროპოლში (პარტაქტივთან ერთად), სმოლენსკის ზედა-ქალაქის ორგანიზაციის საერთო კრება, ქალაქის პარტაქტივი პოკროვსკში და კლინცოვის ორგანიზაციის კრება თავიანთ რეზოლიუციებში მოუწოდებენ წევრებს—ებრძოლონ მემარჯვენე გადახრას და მასთან შემარიგებელ დამოკიდებულებას, აგრეთვე იმათ, ვინც ცდილობს ტროცკისტული იდეოლოგიის აღდგენას (ადს).

სვერდლოვსკი, 30 ოქტომბერი. საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის მორიგმა პლენუმმა ამხ. შვერნიკის მოხსენების გამო მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია:

„სოციალისტური იერიში აძლიერებს კონტრ-რევოლიუციონური ძალების, მათ შორის, ტროცკიზმის ნაშთების წინააღმდეგობას. სოციალისტური მშენებლობის სიძნელენი იწვევენ რყევას და ქანაობას პროლეტარიატის ნაკლებად მტკიცე ფენებში და ჩვენი პარტიის ცალკე ჯგუფებში, რომელნიც ემორჩილებიან წვრილ-ბურჟუაზიული კლასების ზეგავლენას. ეს მერყეობა გამოიხატება მემარჯვენე გადახრაში და იმაში, რომ სცდილობენ გადათვალიერონ მე-15 პარტყრილობის მიერ ნიშნული ძირითადი კურსი ჩვენი პარტიისა. საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელსაც საჭიროდ მიაჩნია გადამწყვეტი ბრძოლა ამ გადახრების წინააღმდეგ, უერთდება ც. კ.-ის მიმართვას მოსკოვის ორგანიზაციისადმი და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დღევანდელ მომენტში განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ამოცანას შეადგენს ბრძოლა მემარჯვენე საფრთხესთან, რომელიც მასების წინაშე ჯერ კიდევ არ არის ისე აშკარად გამომჟღავნებული და მხილებული, როგორც ტროცკიზმი“.

პრეზიდიუმი მოუწოდებს ორგანიზაციებს—მთელი ძალ-ღონით მიიტანონ იერიში სწორედ ამ მემარჯვენე გადახრისა და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ, თანაც არ შეანელონ ბრძოლა ცრუ-მემარცხენე ტროცკისტული ელემენტების წინააღმდეგ (ადს).

ოდესა, 30 ოქტომბერი. გარნიზონის პარტყრილობა მთლიანად და სავსებით უერთდება საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის მიმართვას მოსკოვის ორგანიზაციისადმი (ადს).

ბაქო, 30 ოქტომბერი. მოხდა ლენინის რაიონის პარტაქტივის კრება. მემარჯვენე საფრთხის შესახებ მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლიუცია; რეზოლიუცია სავსებით იწონებს საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას პოლიტიკას, რომელმაც თავის დროზე დასვა საკითხი მემარჯვენე საფრთხის შესახებ და გადაჭრით ალკვეცა მემარჯვენე ელემენტებისა და შემარიგებელთა უშედეგო ცდა, მიმართული იქითკენ, რომ სწორი გზიდან გადაეხვევინებია პარტიის მოწინავე რაზმისათვის, მოსკოვის ორგანიზაციისათვის. აქტივი მთლიანად და სავსებით ეთანხმება საკავშირო კ. პ. (ბ) მიმართვას მოსკოვის ორგანიზაციისადმი. რეზოლიუცია მოუწოდებს ყველა ორგანიზაციას, მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიონ მემარჯვენე გადახრის ყოველ ცდას, იმ გადახრის, რომელშიაც გამოხატულებას ჰპოვებს ქვეყნის წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტებისა და ჩვენი სახელმწიფო და პარტიული აპარატის ბიუროკრატიული ელემენტების სულისკვეთება და რომელსაც მივყევართ რევოლიუციონური პერსპექტივების დაკარგვისა და პროლეტარული რევოლიუციის ძირითად მონაპოვართა უარყოფისაკენ. „ეჭვით შეპყრობილთა, პანიკის მთესველთა და ლიკვიდატორთა წინააღმდეგ, პარტიის ხაზისთვის, ლენინიზმისთვის, მემარცხენე ფრაზებისა და მემარჯვენე ოპორტუნისტული გადახრის წინააღმდეგ“,—ნათქვამია დასასრულ რეზოლიუციაში. (ადს).

ბაქო, 30 ოქტომბერი. ბინაგადის სარაიონო კომიტეტის გაფართოებული პლენუმი პარტიულ და კომკავშირულ აქტივთან ერთად რეზოლიუციაში აღნიშნავს მე-15 ყრილობის მიერ დასახული სამეურნეო განვითარების გზის სისწორეს და სცნობს, რომ პარტიისათვის ძირითად საფრთხის ამჟამად წარმოადგენს მემარჯვენე გადახრა და მისდამი შემარიგებელი დამოკიდებულება. ამავე დროს რეზოლიუცია მოითხოვს—არ შენელდეს ბრძოლა ტროცკისტული ოპოზიციის ნამსხვრევებთან, რომელნიც ამ ბოლო დროს, სცდილობენ გამოაცოცხლონ თავიანთი მუშაობა. (ადს).

ქალთა შორის მუშაობის 10 წლის თავი

მოსკოვი, 30 ოქტომბერი. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის მუშა და გლეხ-ქალთა შორის მომუშავე განყოფილებამ დაგზავნა ადგილებზე წერილი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩატარდეს პრესაში ათი წლის თავი პარტიის მუშაობისა ქალთა შორის.

თათბირებზე ყურადღება უნდა მიექცეს უმთავრესად ამა თუ იმ ადგილის მუშა და გლეხ-ქალთა მდგომარეობას, პირველ რიგში კი გაშუქებულ უნდა იქნას შემდეგი საკითხები: ქალთა შეყვანა პარტიაში, ქალთა ჩაბმა საბჭოებში და მათი მუშაობა სექციებში, მუშა-ქალი წარმოებაში, ქალთა სწავლება და კადრების მომზადება, ყოფა-ცხოვ. ჯანმრთელობის საკითხები. ციფრები და ფაქტები უნდა ეხებოდენ უმთავრესად ადგილობრივ და არა მარტო სრულიად საკავშირო ცხოვრებას. საჭიროა, რომ ამა თუ იმ ადგილის მუშა და გლეხ-ქალთა ეხლანდელი მდგომარეობა დაუპირისპირონ იმ მდგომარეობას, რომელშიაც ისინი ათის წლის წინად იმყოფებოდნენ (ადს).

სტალინის სახელობის ქარხნის უჯრედები

პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ

სტალინის სახ. ქარხნის საცეხო უჯრედების ჯგუფურმა კრებამ, 26 ოქტომბერს მოისმინა ამხ. იმედაძისა და მირზოიანის მოხსენებები საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მორიგი ამოცანების შესახებ უჯრედების ბიუროების გადარჩევის კამპანიასთან დაკავშირებით.

კრებამ ერთხმად (ერთმა თავი შეიკავა) მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია: „სტალინის სახელობის ქარხნის ჯგუფური კრება მთლიანად და სავსებით იწონებს საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მიმართვას. ამასთანავე უჯრედების ჯგუფური კრება აღნიშნავს, რომ სოციალისტური მშენებლობის ეხლანდელ საფეხურზე, როდესაც ქვეყნის შიგნით კლასთა ბრძოლა გამწვავებულია და ამ ნიადაგზე სოციალისტურ მშენებლობას წინ ეღობება სერიოზული დაბრკოლებები, ჩვენი პარტიის შიგნით მთავარ საშიშროებას წარმოადგენს მემარჯვენე საფრთხე.

ოპორტუნისტული ელემენტების აღმოჩენა პარტიის რიგებში, რომლებიც მოითხოვენ ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენელებას, სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციაზე უარის თქმას, უარყოფენ ქვეყნის შიგნით კლასიურ ბრძოლის წარმოებას და გადამწყვეტ შეტევას კულაკურ-კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ და თვითკრიტიკის საჭიროებას, წარმოადგენს მავნე ლიკვიდატორობას და აშკარა გადახვევას ლენინიზმისაგან.

პარტიის უმთავრეს ამოცანას შეადგენს მემარჯვენე გადახრის და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლა. ამასთან ერთად კრებას აუცილებელ საჭიროდ მიაჩნია გადამჭრელი ბრძოლის წარმოება კონტრ-რევოლიუციონურ—ტროცკისტული ოპოზიციის ნაშთების და მისი გამოცოცხლების ცდის წინააღმდეგ.

კრება მთლიანად იწონებს საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკას მიმართვას მოსკოვის ორგანიზაციისადმი და კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მოსკოვის კომიტეტი საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკას და მოსკოვის მთელი ორგანიზაციის აქტივის დახმარებით მალე გამოასწორებს სექტემბრის პლენუმზე დაშვებულ შეცდომებს, რომელიც გამოიხატა მემარჯვენე საფრთხის სწორად შეუფასებლობაში.

კრება აცხადებს, რომ არსებობს ყველა აუცილებელი პირობები სოციალისტური მშენებლობის შემდგომი წარმატებისათვის, მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ამ მშენებლობის ძირითადი პირობაა ჩვენი პარტიის მთლიანობა. სოციალისტური მშენებლობის ყველა სიძნელეთა დასაძლევად აუცილებელია პირველ რიგში [illegible] და აღმოფხვრათ ყოველგვარი წვრილ-ბურჟუაზიული მერყეობა და გადახრა, ხოლო პირველ რიგში კი მემარჯვენე გადახრა“.

უჯრედების ბიუროების გადარჩევა

რკინის გზის დამცველ რაზმში

ა.-კ. რკინისგზის მე-2 უბნის დაცვის რაზმის მუშათა კლუბი სავსეა უჯრედის წევრებით. კრების დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება პარტუჯრედის ბიუროს მუშაობაზე, 2. სარევიზიო კომისიის თანამოხსენება, 3. ბიუროს და სარევ. კომისიის არჩევნები და 4. რაიონულ პარტკონფერენციაზედ დელეგატების გაგზავნა. პირველი საკითხის ირგვლივ მოხსენებას აკეთებს უჯრედის მდივანი ამხ. კობაევი. მომხსენებლის სიტყვით, აღნიშნული უჯრედი ამჟამად [illegible]თებულია სამხედრო უჯრედად. აქ პარტდისციპლინას კომუნისტები მტკიცედ იცავენ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პოლიტკოლების საქმიანობა, სადაც ფართოდ არიან ჩაბმული დაცვის რაზმის თანამშრომლები. შემდეგ მომხსენებელი ეხება პარტმუშაობის ცალკე დარგებში არსებულ მიღწევებს და დასასრულ, ჩერდება ზოგიერთ დეფექტებზედაც.

მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვები, რაზედაც მათ ამომწურავი პასუხი მიიღეს; მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოვიდა ამხ. ლომიძე, ლობჟანიძე, ზაგინოვი, ჯაფარიძე, კიკნაძე, გუგუშვილი, ახვლედიანი და კოპლიაშვილი. ორატორები შეეხნენ, როგორც ნაკლს, ისე მიღწევებს პარტუჯრედის საქმიანობაში.

ბიუროს მუშაობა კრებამ დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა. რის შემდეგ ბიუროს ახალ შემადგენლობაში არჩეულ იქნა ამხ. კოპლიაშვილი, კოზაევი, ხუციშვილი, მელაძე, ძაძამია, ზაალიშვილი, ლეჟავა, ახვლედიანი, კილაძე, ხოლო კანდიდატებად—ამხ. ჭიპალაშვილი და რებნიავი.

დასასრულ. კრებამ აირჩია დელეგატები სარაიონო პარტიულ კონფერენციისათვის.

რ—ლი.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

საქართველოში გასაღებულია 7.096.125 მანეთის ობლიგაცია

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის სავალიუტო სამმართველოს ცნობით 30 ოქტომბრისათვის საქართველოში გასაღებულია 7.096.125 მანეთის ობლიგაცია. საკონტროლო ციფრთან (5 მილიონი მან.) შედარებით გასაღებულია 2.096.125 მანეთით მეტი ობლიგაცია.

აქედან: აფხაზეთში გასაღებულია—278.335 მანეთის ობლიგაცია, აჭარისტანში—655.920 მანეთის, სამხრეთ-ოსეთში—51.565 მანეთის, ახალქალაქის მაზრაში—60.620 მან., ახალციხის—139.400 მან., ბორჩალოს—55.660 მ., გორის—430.560 მან., თბილისის (ქ. თბილისის გარდა)—69.120 მან., კახეთის—134.560 მ., ქუთაისის—512.525 მან., რაჭა-ლეჩხუმის—67.175 მან., სიღნაღის—101.035 მან., შორაპნის—263.955 მან. და ოზურგეთის მაზრაში—114.520 მანეთის.

გასაღებულ ობლიგაციების საერთო რაოდენობიდან ა.-კ. რკინის გზებზე სესხი გასაღებულია 1.613.795 მანეთის რაოდენობით.

გასაღებულ ობლიგაციებიდან სალაროში შესული რეალური თანხა უდრის—4.235.955 მანეთს.

სესხის რეალიზაციის კამპანია გრძელდება.

სესხის გავრცელება გლეხებს შორის

გლეხებს შორის ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის გავრცელების შესახებ საქართველოში ფინანსთა სახ. კომისარიატის სავალიუტო განყოფილების გამგემ ამხ. ნ. ქობიაშვილმა ჩვენი გაზეთის თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის გავრცელება მუშა-მოსამსახურეებს შორის წარმატებით მიმდინარეობს.

რაც შეეხება სესხის გავრცელებას გლეხებს შორის, ამ მხრივ მდგომარეობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი. ამის მთავარი მიზეზია გლეხობაში სუსტი აგიტაცია-პროპაგანდა სესხის მნიშვნელობის შესახებ.

გლეხობას შორის სესხის კამპანიის წარმატებით ჩატარების მიზნით, უმაღლეს ორგანოების დადგენილებით, კამპანიის ვადა გაგრძელებული იქნა ერთი თვით, ასე, რომ სოფლად სესხზე ხელის მოწერა იწარმოებს 1 დეკემბრამდე, ქალაქებში კი კამპანია დამთავრდება 1 ნოემბრამდე.

მთელ საქართველოში საორიენტაციო ციფრების მიხედვით უნდა გავრცელებულიყო 7 მილიონ მანეთის ობლიგაციები, დღემდე გავრცელებულია 5 მილიონზე მეტი ობლიგაცია, სესხი უმთავრესად გავრცელებულია მთავარ ქალაქებში.

საერთო საორგანიზაციო ციფრიდან სოფლად სულ უნდა გასაღებულიყო 885.000 მანეთის ობლიგაცია. ჯერ-ჯერობით კი გასაღებულია მხოლოდ 502.000 მანეთის.

1-ლ ნოემბრიდან სოფლად გაიგზავნებიან ინსტრუქტორები, რომლებიც უშუალოდ უხელმძღვანელებენ სესხის კამპანიის წარმატებით ჩატარების საქმეს.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რიალიზაცია ქ. ფოთში

ფოთის და მის რაიონში ინდუსტრიალიზაციის სესხის კამპანია წარმატებით იქნა ჩატარებული. 26 ოქტომბრისათვის ხელის მოწერის საშუალებით გავრცელებული იყო 121355 მანეთის ობლიგაცია. საკონტროლო ციფრების მიხედვით კი ფოთსა და მის რაიონში უნდა გავრცელებულიყო 60.000 მანეთის ობლიგაციები.

1 ნოემბრამდე კიდევ გავრცელებული იქნება 40.000 მანეთის ობლიგაცია. ასე, რომ 1 ნოემბრისათვის ფოთსა და მის რაიონში ნამდვილად გავრცელებული იქნება 161.355 მანეთის ობლიგაცია.

პროფტეხნიკური განათლება საბჭოთა კავშირში

საბჭ. კავშირის სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს სახალხო განათლების სტატისტიკის განყოფილებამ დაასრულა დამუშავება საკავშირო სასკოლო აღწერის მასალების, რომლებიც ახასიათებენ პროფესიონალურ-ტეხნიკური განათლების მდგომარეობას საბჭ. კავშირში 1928 წ. პირველი იანვრისათვის.

ყოველგვარი ტიპის პროფესიონალურ-ტეხნიკური განათლების სასწავლო დაწესებულებები მთელი საბჭოთა კავშირში აღრიცხულია 6.304—91,5 ათას მასწავლებელ-ხელმძღვანელითა და 832.000 მოწაფით.

ტიპების მიხედვით სასწავლო დაწესებულებები შემდეგნაირად ნაწილდება: უმაღლესი სასწავლებელი—129, მუშფაკი—122, ტეხნიკუმი—1036, პროფსკოლა—1417, საქარხნო-საფაბრიკო შეგირდობის სკოლა—903, ტეხნიკური განათლების გრძელვადიანი კურსები—1074, მოკლევადიანი კურსები—1303 და სამოსწავლო სახელოსნო—320.

მოსწავლეთა საერთო რაოდენობა სასწავლებლების ცალკე ტიპების მიხედვით ასე ნაწილდება: უმაღლეს სასწავლებლებში—1576 ათასი მოსწავლე, მუშფაკებში—48,8 ათასი, ტეხნიკუმებში—190,6 ათასი, პროფსკოლებში—139 ათასი, საქარხნო-საფაბრიკო შეგირდობის სკოლებში—99.000, გრძელვადიან კურსებზე—120.000, მოკლევადიან კურსებზე—71.000-ზე მეტი, სამოსწავლო სახელოსნოებში—21,5 ათასი.

კრედიტი ოზურგეთის მაზრის სასოფლო მეურნეობას

ოზურგეთის მაზრის სოფლის მეურნეობისათვის გეგმის გარეშე გადადებული სესხის ნაწილი—100.000 მან., სახკომსაბჭოს დადგენილებით განაწილებულ იქნა შემდეგნაირად: ლანჩხუთის სას.-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობასთან სანიმუშო გამქირავებელი პუნქტის მოსაწყობად—10.700 მან., სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შესაძენად—15300 მან., მუშა-საქონლის შესაძენად—30.000 მან.; ჩაის კოლმეურნეობებს—10.000 მან., სუბტროპიკულ მცენარეების პლანტაციების გასაშენებლად—19.000 მან. აქედან მანდარინის კულტურისათვის—13.000 მან. და ბამბუკის კულტურისათვის—3.000 მან.; ოზურგეთის სას.-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობასთან ჯიშიან ღორების სამომშენებლოს მოსაწყობად 10.000 მან., მეფუტკრეობის საჭიროებისათვის ინვენტარის სახით—5000 მან.

ყველა სესხები გაცემულ იქნება სას.-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა საშუალებით. სესხების ვადები და პროცენტები განისაზღვრება სას.-სამეურნეო საკრედიტო სისტემაში არსებულ პირობების მიხედვით.

ოზურგეთის სამაზრო აღმასკომს დაევალა წარმოუდგინოს სახკომსაბჭოს კრედიტის მიღების ორი თვის შემდეგ, საქართველოს სას.-სამეურნეო ბანკის მეშვეობით, მოხსენება კრედიტების გამოყენების შესახებ.

კოოპერატიული პაის გადიდების გარშემო

8 თვის წინად „ცენტროსოიუზმა“ (სამომხმარებლო კოოპერაციის საკავშირო ცენტრმა) და მუშათა კოოპერაციის ცენტრალურმა სექციამ კოოპერაციის საბრუნავი თანხების გადიდების მიზნით საჭიროდ აღიარეს ე. წ. დიფერენციალური პაის შემოღება—ე. ი. პაის რაოდენობა დამოკიდებული იქნება ჯამაგირის რაოდენობაზე. განზრახული იყო განსაზღვრული ანარიცხების შემოღება ჯამაგირზე იმ ანგარიშით, რომ 8 წლის შემდეგ კოოპერატივის თითეული წევრის პაი უდრიდეს თვიურ ჯამაგირს.

23 ოქტომბერს ეს საკითხი კოოპერაციისა და პროფკავშირების წარმომადგენლების მონაწილეობით გაირჩა საკავშირო პროფსაბჭოში.

სხდომაზე, როგორც საკავშირო პროფსაბჭოს ისე ცალკე პროფკავშირების წარმომადგენლებმა გაილაშქრეს ცენტროსოიუზის გეგმის წინააღმდეგ და აღნიშნეს, რომ მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი ისედაც დატვირთულია სხვადასხვა ანარიცხებით და დიფერენციალური პაის შემოღება უფრო გაართულებდა მდგომარეობას. საკავშირო პროფსაბჭოს წარმომადგენელმა ამხ. გინზბურგმა საჭიროდ სცნო კოოპერატიული კაპიტალის გადიდება, მაგრამ განაცხადა, რომ საკავშირო პროფსაბჭო პაის გადიდებას მხარს დაუჭერს მაქსიმუმი—სამმაგი რაოდენობის ფარგლებში.

დასასრულ თათბირმა საჭიროდ აღიარა რა პაის ერთგვარი გადიდება. პაის გადიდების ფორმებისა და მეთოდების საკითხი განხილული იქნება პროფკავშირების ც. კ. და ადგილობრივი დიდი პროფორგანიზაციების მიერ.

საქ. სახკომსაბჭო

შვეიცარულ ყველის წარმოების გაძლიერება

სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულ სხდომის დადგენილებით 75.000 მან., რომელიც გამოყოფილია საქართველოსათვის ა.-კ.-ის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ ერბოს ექსპორტის გაძლიერების ფონდიდან, უნდა მოხმარდეს შვეიცარულ ყველის წარმოების გაფართოებას.

სახკომსაბჭოს განმწესრიგებელ სხდომას დაევალა განაწილოს აღნიშნული თანხა საქართველოში შვეიცარული ყველის დამამზადებელ ორგანიზაციათა შორის.

მანგლის-ახალქალაქის გზის გამოკვლევა

წინადადება მიეცა საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს წარმოუდგინოს სახკომსაბჭოს მანგლის-ახალქალაქის გზის გამოკვლევის საწარმოებლად საჭირო ხარჯთაღრიცხვა და აგრეთვე თავისი მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ რამდენ ხანში შეიძლება დამთავრებულ იქნეს აღნიშნული გზის გამოკვლევა.

საქართველოს მილიციის გამოკვლევა

სახკომსაბჭოსთან მოეწყო კომისია ამხ. ბერიას (თავმჯდომარე), მათიკაშვილის, სტურუას, ფანცხავას, ათოევის და ხმალაძის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა შეიმუშაოს და წარმოუდგინოს სახკომსაბჭოს ღონისძიებანი, რაც დაკავშირებული იქნება მილიციის და სისხლის სამართლის მილიციის გამოკვლევასთან.

საქართველოს ადგილობრივი ბიუჯეტი

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დამტკიცა საქართველოს (აფხაზეთის გამოკლებით) ადგილობრივი ბიუჯეტი 1928-29 წლისათვის.

ბიუჯეტი დამტკიცებულია — 56.843.809 მანეთის რაოდენობით. ამ თანხიდან შემოსავალზე და სესხებზე მოდის — 47.133.308 მანეთი. დოტაცია შეადგენს — 9.710.501 მან.

დოტაცია გამოყენებული იქნება კულტურულ განმანათლებელ მიზნებისათვის. დოტაციიდან პირველი და მეორე საფეხურის სკოლების მასწავლებლების ხელფასზე დაიხარჯება — 5.339.815 მანეთი, პოლიტგანმანათლებელ მუშაობაზე — 385.000 მანეთი და სკოლების აღმშენებლობაზე — 245.000 მანეთი.

ქალაქ ფოთისა და ჭიათურისათვის გათვალისწინებულია — 500.000 მანეთის მიცემა და დეფიციტის დასაფარავად გამოყოფილია — 3.587.686 მანეთი.

თბილისის მაზრა გამოყოფილია ცალკე. მისი ბიუჯეტი შეადგენს — 29.668.139 მანეთს. აქედან შემოსავალი უდრის 26.668.139 მანეთს და დოტაცია — 3.012.123 მანეთს.

გასულ წელთან შედარებით საკუთარ შემოსავლის ზრდა ბიუჯეტით გათვალისწინებულია 17,6 პროცენტის ფარგლებში. კერძოდ გადასახადების ხაზით შემოსავლის ზრდა უნდა გამოიხატოს — 21,6 პროცენტში და არასაგადასახადო შემოსავლისა — 15,6 პროცენტში.

თბილისისა და მისი მაზრის მძიმე ფინანსიური მდგომარეობის გამო გამოტანილია დადგენილება ეთხოვოს ამ.-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს და ცაკს აღძრან შუამდგომლობა საკავშირო ორგანოების წინაშე თბილისისა და მისი მაზრისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ საკავშირო საშუალებებიდან.

ბიუჯეტის განხილვის დროს საქ. სახ. კომისართა საბჭომ აღნიშნა, რომ ზოგიერთმა ავტონომიურმა რესპუბლიკებმა და მაზრებმა ვერ შეასრულეს სავსებით დირექტივა მიმდინარე წლიდან ყველა ადგილებში დამოუკიდებელი სათემო ბიუჯეტის გადასვლის შესახებ. ამის გამო სახკომსაბჭო კვლავ ადასტურებს თავის 1927 წლის 10 ნოემბრის დადგენილებას დამოუკიდებელ სათემო ბიუჯეტზე გადასვლის შესახებ 1929 წლის პირველ ოქტომბრიდან.

ვინაიდან საგზაო მშენებლობისათვის საჭირო ხარჯები განსაზღვრულია, საქ. სახ. კომისართა საბჭო აუცილებლად სცნობს რესპუბლიკანურ საგზაო ფონდის შექმნას.

ეს ფონდი დაიხარჯება მხოლოდ და მხოლოდ [illegible]რივი მნიშვნელობის გზების [illegible]ნებლობაზე.

შირაქის ნავთი

შირაქიდან დაბრუნდა ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმის წევრი ამხ. პეტროვი და რესპუბლიკის სამთო ზედამხედველობის უფროსი ინჟ. ჟუფშიძე, რომლებმაც „აზნეფტის“ სპეციალურ კომისიასთან ერთად დაათვალიერეს მომქმედი ჭაბურღილი.

ჩამოსულ ამხანაგების სიტყვით, ჭაბურღილიდან უკანასკნელად დენა დაიწყო სრულიად სუფთა ნავთმა, კვირას ნავთის ნიმუში გაგზავნეს მახლობელ წისქვილის მატორზე გამოსაცდელათ. მოტორმა შირაქის ნავთით შესანიშნავად დაიწყო მუშაობა, მიუხედავათ იმისა, რომ ნავთი სრულიად გაუწმენდავი იყო.

ჭაბურღილიდან ამოღებული ნავთის ანალიზიდან გამოირკვა, რომ შირაქის ნავთი იძლევა ბენზინის უფრო მეტ რაოდენობას, ვიდრე ბაქოს ზოგიერთი უბნების ნავთი.

შირაქის ნავთის ნიმუში ჩამოტანილია თბილისში ზოგიერთი დამატებითი ანალიზების მოსახდენათ.

მეტეოროლოგიური ექსპედიცია ყვი- და მყინვარ-წვერზე

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ყაზბეგი, 30 ოქტომბერი

29 ოქტომბერს მშვენიერ პირობებში ავედით მყინვარ-წვერზე. დავდგით მეტეოროლოგიური ბუდრუგუნა ხელსაწყოებით. დაწვრილებით—ხვალ.

ს. ჯაფარიძე.

ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაული სკოლებში

სკოლებში ოქტომბრის რევოლიუციის 11 წლის თავის დღესასწაულის ჩატარების შესახებ განათლების სახალხო კომისარიატმა შემდეგი შინაარსის ცირკულიარული მიწერილობა დაუგზავნა განათლების განყოფილებებს:

სკოლებში ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულის ჩატარებისას გაშუქებული უნდა იქნეს შემდეგი საკითხები: სოციალისტურ მშენებლობის მიღწევები ოქტომბრის რევოლიუციის 11 წლის თავზე, ოქტომბრის რევოლიუციის 11 წლის თავი და პროლეტარულ რევოლიუციის პრობლემები, საბჭოთა დემოკრატია და სოციალისტური მშენებლობა, კულტურული რევოლიუცია და სხვ.

დღესასწაულის ჩატარების დროს მაზრებში უნდა მოეწყოს მაზრის განათლების განყოფილებებში მოხსენება მაზრაში კულტურულ მიღწევების შესახებ; მე-2 საფეხურის სკოლების მოსწავლეთა თაოსნობით უნდა მოეწყოს გამოფენები პლაკატებით, დიაგრამებით და სტატისტიკური ცნობებით იმის შესახებ, თუ რა მიღწევები გვაქვს კულტურულ ფრონტზე მთელ საქართველოში და კერძოდ ამა თუ იმ მაზრაში. ამასთანავე სამაზრო ცენტრებში უნდა მოეწყოს ერთი დიდი გამოფენა, რომელზედაც გამოფენილი უნდა იქნეს მოწაფეთა ნამუშევრები.

აგრეთვე გამოფენებზე წარმოდგენილი უნდა იქნეს შედარებითი დიაგრამები განათლების მდგომარეობის შესახებ მაზრაში და საქართველოში რევოლიუციამდე, მენშევიკების დროს და გასაბჭოების შემდეგ.

სკოლებში უნდა მოეწყოს ისეთი კინო-სურათების ჩვენება, რომლებიც გამოხატავენ სოციალისტურ მშენებლობის მიღწევებს, ან ასახავენ რევოლიუციონურ პერიოდის ეპიზოდებს.

სასწავლო პროგრამების ფარგლებში მოსწავლეებთან ერთად დამუშავებული უნდა იქნეს შემდეგი საკითხები: რა საფეხურები გაიარა კლასთა ბრძოლამ თებერვლიდან ოქტომბრამდე, როგორი იყო ლენინისა და ბოლშევიკურ პარტიის როლი ოქტომბრის რევოლიუციაში, პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვების მიზეზები, საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტები.

ამრიგად, სასწავლო პროგრამებზე ნორმალური მუშაობის გზით მოწაფეები უნდა გაეცნონ ოქტომბრის რევოლიუციას და დღესასწაულის ჩატარებაში მიიღონ აქტიური მონაწილეობა.

ამავე ცირკულიარს დართული აქვს სკოლებში დღესასწაულის ტეხნიკურად ჩატარების გეგმა, რომლის მიხედვით 5—7 ნოემბრამდე ყველა სკოლებში უნდა მოეწყოს მოხსენებები ოქტომბრის რევოლიუციის შესახებ. რევოლიუც. შინაარსის წარმოდგენები, საღამოები, პიონერების გამოსვლა და სხვ.

ქალაქის სკოლის მოწაფეები, რომლებიც საშეფო მუშაობას აწარმოებენ სოფლად, დღესასწაულის დღეს გადიან თავის შეფობის ქვეშ აყვანილ სკოლაში და ადგილობრივ ძალებთან ერთად ატარებენ დღესასწაულს, აწყობენ დილას, საღამოს და სხვ.

ადგილობრივ ორგანოების ხელმძღვანელობით იქ, სადაც ეს მოსახერხებელია, სკოლის მოწაფეები 5—7 ნოემბრამდე აწარმოებენ სასარგებლო მუშაობას, როგორიცაა საზოგადო ბაღის, ან მოედნის მოწყობა, გზების შეკეთება და სხვ.

7 ნოემბერს სკოლები მონაწილეობას ღებულობენ მასიურ დემონსტრაციაში.

მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრებისა და შრომის პირობების გასაუმჯობესებლად

საქართველოს ცაკთან არსებულ მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრებისა და შრომის პირობების გასაუმჯობესებელმა კომისიამ შეიმუშავა თავის მუშაობის გეგმა, რომლის მიხედვით 1928—29 წლის პირველ 3 თვის განმავლობაში კომისია ჩაატარებს შემდეგ მუშაობას: ცაკის საორგანიზაციო განყოფილებასთან ერთად კომისია გამოიმუშავებს პრაქტიკულ ღონისძიებებს მუშა და გლეხ-ქალების საბჭოთა არჩევნებში აქტიურ მონაწილეობის მისაღებად.

ნოემბერში შესდგება კომისიის გაფართოებული პლენუმი, რომელზედაც მოსმენილი იქნება საქართველოს საგეგმო კომისიის მოხსენება იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებებია გათვალისწინებული საქართველოს სახ. მეურნეობის 5 წლიან პერსპექტიულ გეგმაში მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად და შრომითი დახმარების გასაწევად.

გარდა ამისა კომისიამ გამოიმუშავა გეგმა, რომლის მიხედვით ყველა კოოპერატიული ორგანიზაციები უახლოეს მონაწილეობას მიიღებენ მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრ. და შრომის პირობების გაუმჯობესების საქმეში. ამასთანავე საბინაო კავშირს მიეცა დირექტივები, რათა კომისიას გაუწიოს დახმარება უბინაო ქალების ბინებში მოწყობის მხრივ.

კომისია ნოემბრის პირველ რიცხვებში ხსნის ახალ სამკერვალოს, რომელშიაც იმუშავებენ უმუშევარი ქალები. ნოემბერშივე კომისიას გადაწყვეტილი აქვს დაარსოს კონფექტების და ბულკების დამამზადებელი არტელი.

გლეხ-ქალებს შორის კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის გასაძლიერებლად კომისია პოლიტგანათლების მთავარსამმართველოსთან ერთად იმუშავებს პრაქტიკულ ღონისძიებებს.

კომისიამ გადასწყვიტა გააფართოვოს უბინაო ქალთა დროებითი თავშესაფარი და ამ უკანასკნელთან მოაწყოს სხვადასხვა სახელოსნოები და თავშესაფარში გააძლიეროს კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა.

კომისიამ დაადგინა შრომის კომისარიატთან ერთად შეისწავლოს ქალთა შრომის პირობები და გამოიმუშაოს პრაქტიკული ღონისძიებები ქალების წარმოებებში ჩასაბმელად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

კომისიამ წინადადება მისცა სამაზრო კომისიებს მოაწყონ ადგილებზე ქალთა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივები, არტელები, კომუნები და ამავე დროს გააცხოველონ კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა გლეხ-ქალებს შორის.

ახლო ხანში განზრახულია მოწვეული იქნეს რესპუბლიკანური თათბირი მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრებისა და შრომის პირობებას გაუმჯობესების საკითხების დასამუშავებლად.

მშენებელ მუშათა მეშვიდე ყრილობა

გუშინ, საღამოს პროფსაბჭოს მცირე დარბაზში გაიხსნა მშენებელ მუშათა მეშვიდე ყრილობა. ყრილობის საქმიან პრეზიდიუმში არჩეულ იქნა 17 კაცი, სამდივნოში—5 და სამანდატო კომისიაში—5.

ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად აირჩიეს ამხ. **სტალინი, ბუხარინი, რიკოვი, ტომსკი, ვოროშილოვი, ორჯონიკიძე, ციხონი** (მშენებ. მუშათა კავშ. თავმჯდომარე), **მაქსიმ გორკი, მამია ორახელაშვილი, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, მ. კახიანი და ლ. სუხიშვილი.**

დღის წესრიგის მიღებისა და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ ყრილობაზე წაკითხულ იქნა მეზობელ რესპუბლიკების მშენებელ მუშათა პროფკავშირების მისასალმებელი დეპეშები.

ყრილობაზე პირველი მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. სტეპანჩიკოვი.

— წელს აღმშენებლობაზე,—სთქვა ამხ. სტეპანჩიკოვმა,—უნდა დაიხარჯოს 3 მილიარდი 200 მილიონი მანეთი. ეს თანხა უნდა დაიხარჯოს დიდი დაკვირვებით და ეკონომიით. დღემდე ჩვენი აღმშენებლობა ძვირდებოდა და საჭირო ხდებოდა მეტი თანხების დახარჯვა, ვიდრე გათვალისწინებული იყო. განსაკუთრებით უნდა გააძლიერონ თავისი ყურადღება მომჭირნეობის საკითხისადმი აღმშენებლობაში უშუალოდ ჩაბმულმა მუშებმა.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვით გამოდის საქართველოს საინჟინერო-სატეხნიკო ძალთა ბიუროს წარმომადგენელი ინჟ. **ვ. კაკაბაძე,** რომელიც აღნიშნავს ინჟინერ-ტეხნიკოსთა და მშენებელ მუშათა უფრო დაახლოების საჭიროებას, რომ ამით უზრუნველყოფილი იქნეს შემდეგი გამარჯვებები სოციალისტურ აღმშენებლობაში.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სახელით ყრილობას ესალმება ამხ. **ვ. ანთიძე,** აჭარისტანიდან—ამხ. **სალტიკოვსკი** და ამიერ-კავკ. ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოდან ამხ. **აზარნოი.**

მისალმებების შემდეგ სხდომა დაიხურა და ყრილობის წევრები მიიწვიეს რუსთაველის თეატრში პიესა „ანზორ“-ზე დასასწრებათ.

ა.-კ. პროფსაბჭოში

ა.-კ. პროფსაბჭოს შუამდგომლობა

ა.-კ. პროფსაბჭომ შუამდგომლობა აღძრა საკ. პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს წინაშე, რათა თბილისი, ბაქოში, ფოთი, ჭიათურა და [illegible] საქონლით მომარაგების მხრივ ჩარიცხული იქნეს მუშათა ცენტრების სიაში.

ამასთანავე საჭიროდ იქნა ცნობილი აღიძრას შუამდგომლობა ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის წინაშე, რათა კვერცხების ნაკლებობის წინააღმდეგ მიღებული იქნეს საჭირო ზომები. სასურველად იქნა ცნობილი თბილისისათვის კვერცხები საჭიროდ დამზადდეს სხვა რაიონებში.

გარდა ამისა ა.-კ. პროფსაბჭომ დაადგინა მიაქციოს ა.-კ. ვაჭრობის სახკომსარიატის ყურადღება „მოსპროდუქტ“-ის დაუშვებელ მოქმედებაზე, რადგან ეს უკანასკნელი სისტემატიურად არღვევს თავის-თავზე აღებულ ვალდებულებებს.

დუბლიკატის გაცემა დაკარგულ საწევრო ბილეთის მაგიერ

ა.-კ. პროფსაბჭომ ანგარიში გაუწია საწევრო წიგნაკების ბოროტად გამოყენების შემთხვევებს და დაადგინა, ეთხოვოს საკ. პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს დააწესოს დაკარგულ წიგნაკის ნაცვლად დუბლიკატის გაცემის ახალი წესი. ახალი წესით დუბლიკატი უნდა მიეცეს კავშირის წევრს მხოლოდ ერთი თვის გასვლის შემდეგ დღიდან გაზეთში განცხადების მოთავსებისა.

სტაჟიორობისა და პრაქტიკანტობის საქმის გასაუმჯობესებლად

(ს. მ. უ. საბჭოს დადგენილება)

სტაჟიორობისა და პრაქტიკანტობის საქმის გაუმჯობესების მიზნით ს.მ.უ. საბჭომ გამოიმუშავა ღონისძიებები, რომლებიც ცხოვრებაში უნდა გაატარონ დაინტერესებულმა დაწესებულებებმა და წარმოებებმა.

ს.მ.უ. საბჭო საჭიროდ სცნობს, რომ იმ უმაღლესმა სასწავლებლებმა, რომლებიც პრაქტიკანტებს აგზავნიან წარმოებებში, შეიმუშაონ მათთვის სახელმძღვანელო პროგრამები და თვალყური ადევნონ, რომ პრაქტიკანტები გადაუხვევლად ასრულებდნენ მიცემულ დავალებებს.

ცალკე წარმოებებმა და ტრესტებმა პრაქტიკაზე არ უნდა მიიღონ ისინი, ვისაც არ ექნება განათლების კომისარიატიდან მიცემული შესაფერი დოკუმენტები. წარმოებებმა პრაქტიკაზე უნდა მოიწვიონ (განათლების კომისარიატის საშუალებით) მხოლოდ ისეთი სპეციალობის პრაქტიკანტები, რომლებიც სასარგებლო საქმეზე იქნებიან გამოყენებული წარმოებაში. თვითეულმა ტრესტმა და წარმოებამ, სადაც მუშაობას დაიწყებენ პრაქტიკანტები, უნდა გამოყოს მათი ხელმძღვანელი სპეციალისტები, რომ პრაქტიკანტებს გაუადვილონ შესაფერი გამოცდილების მიღება.

პრაქტიკანტისადმი უყურადღებოთ მოპყრობისათვის პასუხისმგებელი იქნებიან წარმოებათა ხელმძღვანელები.

პრაქტიკანტობის საქმის მდგომარეობას წარმოებებში თვალყური უნდა ადევნოს ს.მ.უ.ს. შრომის ეკონომიკის განყოფილებამ.

„მომჭირნეობა“ თბილისის დეპოში

თბ. დეპოს კანტორის ზოგიერთი მოსამსახურე მთელი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ აწარმოებს ზედმეტ საათებში მუშაობას. შრომის ინსპექტორმა ამხ. ზაზროევმა არა ერთხელ გააფრთხილა დეპოს ადმინისტრაცია და არა ერთხელ მისცა მას წინადადება მოესპო ზედმეტი მუშაობა კანტორაში, მაგრამ ადმინისტრაცია არავითარ ანგარიშს არ უწევს შრომის ინსპექტორის წინადადებას და განაგრძობს ზედმეტ საათებში საქმის წარმოებას. ეს ხდება განსაკუთრებით სტატისტიკის დარგში.

ადმინისტრაციის განკარგულებით საორთქლმავალო და სამატარებლო გუნდების ნამუშევარის გამოანგარიშებაზე ზედმეტ საათებში მუშაობდა 17 სტატისტიკოსი. ამ მუშაობას მოუნდენ დაახლოებით ერთი თვე, რაშიც გამოუწერეს:

ლიდია მარკოვიჩს—194 მ. 56 კ., ანასტასია კოვალსკაიას—224 მ. 56 კ., ვერა მალკოვას—224 მ. 56 კ., შურა ზიზროვას—224 მ. 56 კ., ბერიაშვილს—224 მ. 56 კ., კსავერიევს—224 მან. 56 კ., პრასკურინს—194 მ. 56 კ., ბატიაჟინსკის—194 მ. 56 მ., კაზნეცს—194 მ. 56 კ., ცაგარეიშვილს—194 მ. 56 კ., ზანეტოვს—246 მ. 62 კ., ჩუხროვს—156 მ. 75 კ., ელენა ბელსკაიას—178 მ. 35 კ., სოფიო ავაზაზოვას—113 მ. 20 კ., აბულაძეს—306 მ. 62 კ., მოხონელიძეს—276 მ., 63 კ., ჩიტაძეს—246 მან. 63 კაპ., სულ—3.620 მ. 40 კაპ.

ეს ხდება იმ დროს, როდესაც ყოველგვარ ზომებს ვხმარობთ ზედმეტი ხარჯების შესამცირებლად. ამ საქმეში ადმინისტრაციის გარდა, ადგილობრივ პროფორგანიზაციასაც მიუძღვის დანაშაული.

როდემდე უნდა გაგრძელდეს ასეთი უთავბოლო და ხელოვნურად გამოწვეული ზედმეტი მუშაობა.

მ—ახ.

ოთხშაბათს, 31 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგება თბილისის ყველა გაზეთების მუშკორებისა და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების საქალაქო კრება.

დღის წესრიგში სდგას მოხსენება თბილისის კედლის გაზეთების გამოკვლევის შედეგების შესახებ. მუშკორებისა და კედ. გაზეთების სარედაქციო კოლეგიების წევრთა დასწრება აუცილებელია.

მუშაობა მხატვრულ ლიტერატურის დარგში*)

ამხ. ვ. სუტირინის მოხსენება

საკ. კომპ. ამ.-კავ. საოლქო კომიტეტის პლენუმზე

„ცისფერი ყანწების“ დამცველი არსენიშვილი განაგრძობს იმის მტკიცებას, რომ „ცისფერი ყანწელები“ მუდამ რევოლიუციის თანამგზავრნი იყვნენ და დასასრულ, პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ მას ბრალი დასდეს ნაციონალისტობაში. მან განაცხადა, რომ ნაციონალისტობაში ბრალის დადება ველიკოდერჟავნიკობაა, აქ არსენიშვილი განსაკუთრებით ახირებულია, ვინაიდან ის ცდილობს თავი დაიცვას არა მარტო იმით, რომ ველიკოდერჟავნიკობის ბრალდებას გვიყენებს, არამედ ნაციონალური კულტურის ლოზუნგიდაც. ამხანაგებო, ასეთ ხალხს განსაკუთრებით მაგრად უნდა მოვცხოთ, ვინაიდან ჩვენ იმიტომ კი არ ვაყენებთ ნაციონალური კულტურის ლოზუნგს, რომ ჩვენდამი მტრულად განწყობილმა ძალებმა გამოიყენონ იგი. რომ ნაციონალური ფორმის მქონე და ინტერნაციონალური შინაარსის შემცველი კულტურის ლოზუნგით ჩვენდამი მტრულად განწყობილმა ძალებმა თავიანთი ნაციონალისტური ტენდენციები შემოგვაპარონ. ხოლო არსენიშვილი რომ სწორედ ასეთი ტენდენციების შემოპარებას სცდილობს, ეს ჩანს მისი უკანასკნელი წერილის თუნდაც შემდეგი სტრიქონებიდან:

„ჩვენი ქართული ლიტერატურა სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს **ყველაზე ნაკლებ ნაციონალისტურ ლიტერატურად მსოფლიოში.** მისი საშუალო საუკუნეთა პერიოდის დამამშვენებელი რუსთაველი აღორძინების ხანის ადამიანის მსოფლმხედველობის მწვერვალამდე ამაღლდა და მასში ნაკლებს ბარბაროსობაა, ვიდრე საქვეყნოდ განთქმულ შექსპირში“.

ასე შეუძლია ილაპარაკოს მხოლოდ უკიდურეს ნაციონალისტს, რომელსაც სურს დაიცვას ის, რაც უძვირფასესია მისთვის და მეტად მავნე ჩვენთვის. ქართულ ლიტერატურას მრავალი ბრწყინვალე სახელოვანი ფურცელი აქვს, საკმაოა გავიხსენოთ თუნდაც ისეთი სახელი, როგორიცაა ნინოშვილი, მაგრამ მხოლოდ თანამედროვე ქართული ლიტერატურის მტერს შეუძლია შექოს **მთელი** ლიტერატურა, მისი **ყველა** ხანა, მისი **ყველა** წარმომადგენელი. ამ შექებას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი მიზანი—საქართველოს დღევანდელ ლიტერატურაში კანონიერი, თავისუფალი ადგილის მოპოვება ნაციონალიზმისათვის.

არსენიშვილს და მის წრეს დიდი მადა აქვთ. ის არ სჯერდება თანამგზავრის უდავო წოდებას. ის, რაც მას ძალი და ღონე აქვს, სცდილობს დაამტკიცოს თავისი და მთელი ჯგუფის ძველი და ჭეშმარიტი რევოლიუციონერობა. ამისათვის ის იგონებს „თეორიას“, რომლითაც სცდილობს ცხადჰყოს, რომ კლასის იდეოლოგები ყოველთვის გამოდიან მეორე კლასისგან განდგომილნი. ამის დასამტკიცებლად ის თითქოს იშველიებს კომუნიზმის საფუძვლების ჩამოყალიბებისაკენ (ცნობილია, რომ, მაგალითად, ენგელსი ბურჟუაზიული შთამომავლობის იყო). არსენიშვილი დაუსრულებლად მოითხოვს, რომ მას მიენიჭოს „პროლეტარიატის იდეოლოგის“ წოდება და ამისათვის არ ზოგავს მთელ თავის „მარქსისტულ“ ძალღონეს; ის ახალ ტერმინსაც კი იგონებს, სახელდობრ „ინტელიგენტურ პროლეტარიატს“-ს! ამხანაგებო, როდესაც ასეთ რამეს კითხულობს, ძალაუნებურად ეკითხები თავს: „სადა ვარ?“ კითხულობ და „გულში“ ეჭვი გეპარება: ყოფილა ხომ არ არის, რომ საქართველოს კომპარტია, საქართველოს მშრომელი საბჭოთა საქართველოს თავის ქმნილებად სთვლიან „ცისფერ ყანწელებს“ ხომ არ შეუქმნიათ ყოველივე ეს?

რისთვის ესაჭიროება არსენიშვილს თავისი რევოლიუციონური უმწიკვლობის მტკიცება? იმისათვის, რომ ჩირი ფარად გამოიყენოს იგი, რომ **თავისი** განზრახვებით მოუჯდეს მაგიდას და თანაც ისე მოუჯდეს, რომ იდაყვებიც ფართოდ გაიდგას.

რა აღრმავებს მემარჯვენე საფრთხეს ლიტერატურაში

ამხანაგებო, საფრთხე მარტო მემარჯვენე რეაქციონური ტენდენციების ზრდაში როდი მდგომარეობს. საფრთხე ბევრად უფრო ნაკლებს იქნებოდა, რომ ჩვენ ყველას კარგად გვქონდეს ის წარმოდგენილი, რომ ყოველთვის შეგვეძლოს მისი გამოცნობა და ყოველთვის მზად ვიყოთ მის მოსაგერიებლად.

ეს ასე არ არის. არიან, სამწუხაროდ, ისეთი კომუნისტები, რომლებსაც შეგნებული არა აქვთ მემარჯვენე საფრთხის მნიშვნელობა. ლიბერალობენ, ან პირდაპირ ურიგდებიან ამ საფრთხეს. ბრძოლა შემარიგებელი პოზიციის წინააღმდეგ კომუნისტებს შორის ჩვენი ლიტერატურული პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა.

ეხლა „მოდაშია“ შემარიგებლობაზე ლაპარაკი. შეიძლება ამას „ლამაზი სიტყვებისათვის“ ვამბობ, შეიძლება ლიტერატურაში შემარიგებლობას ადგილი არა აქვს? სამწუხაროდ, აქვს ადგილი. აი რამდენიმე მაგალითი (აღებული მრავალი მაგალითებიდან):

გრომოვი, ის განსაკუთრებით დამახასიათებელი მაგალითია. ვინ არის გორბოვი? კომუნისტი, კრიტიკოსი, რომელსაც არა ერთი წიგნი გამოუშვია. გრომოვი ყოველთვის კაპიტულიანტი იყო ლიტერატურაში, ვინაიდან ვორონსკის ეპიგონს არც შეუძლია სხვა პოზიცია დაიჭიროს. გორბოვმა განსაკუთრებით „ისახელა“ თავი ერთ-ერთი თავის უკანასკნელ წიგნში—„ჩვენში და საზღვარგარეთ“. აქ ის სწერს:

„თავისი არსებობის მოკლე ხანში ოქტომბრის შემდგომი ლიტერატურა არაჩვეულებრივად გაიზარდა რაოდენობით. ამასთანავე ის, რაც უწინ დაქსაქსულად არსებობდა, ეხლა განუწყვეტელ ჯაჭვად შეერთდა. **ამ ჯაჭვის ყოველი რგოლი საჭიროა** თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ის წარმოადგენს განსაზღვრული საზოგადოებრივი ფენის გამოხატულებას სოციალიზმის მშენებლობის ქვეყანაში“.

თურმე ნუ იტყვით ჩვენი ლიტერატურა ერთ განუწყვეტელ ჯაჭვად შეერთებულა ეს ცოტაა, თურმე ამ ჯაჭვის ყოველი რგოლი საჭიროა. მაგრამ ჩვენში არსებობს შიგაემიგრანტული ლიტერატურა. მაშასადამე, ისიც საჭიროა სოციალიზმის მშენებლობის ქვეყანაში, და თუ საჭიროა, არც ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ მასთან, რომ ეს ლიტერატურა, რომ ჩვენს ლიტერატურაში ადგილი არ აქვს კლასობრივ ბრძოლას, რომ ჩვენში არსებობს „მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“—ამას ამტკიცებს გრომოვის შემდეგი ფრაზა: „ცალკე დაქსაქსული წყაროები საერთო მდინარედ შეერთდნენ, რომელსაც ერთი მიმართულება აქვს. ამ მდინარის **ყოველი** ნაკადი საერთო მიზნისკენ მიილტვის“.

რა არის ჩვენი საერთო მიზანი? სოციალიზმის დამყარება. და აი, თურმე ნუ იტყვით, ლიტერატურის **ყველა** ნაკადი, რომელიც კი არსებობს საბჭოთა კავშირში, შეერთდა ერთ მდინარედ, რომელიც ერთი მიზნისაკენ მიილტვის. ეს იმას ნიშნავს, რომ ისეთი შინაემიგრანტული მწერლები, როგორიც ზამიატინი, როგორიც „თეთრი გვარდიის“ ავტორი ბულგაკოვი და მთელი რიგი სხვა, აშკარა მემარჯვენე, ჩვენდამი მტრულად განწყობილი მწერლები, მშვიდობიანად „უერთდებიან“ ფადეევს, ლიბედინსკის, სერაფიმოვიჩს, და სხვა ჩვენს პროლეტარულ მწერლებს და საერთო გზით მიდიან სოციალიზმისაკენ. ჭეშმარიტად წარმტაცი და საზეიმო სანახაობაა! რაღა სჯობია ასეთ ლიტერატურას! ძნელი გასაგები არ არის, რომ გორბოვის არა თუ შემარიგებელ დამოკიდებულებას იჩენს მემარჯვენე საფრთხისადმი, არამედ პირდაპირ კაპიტალიზმის ლიკვიდატორობასაც.

მეორე მაგალითი—პოლემიკა ავერბახსა და ასტროვს შორის. ეხლა, როდესაც დისკუსია დამთავრდა, განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩნდა ასტროვის პოზიციის შემარიგებლობა. იმის ნაცვლად, რომ დახმარებოდა იმათ, ვინც გაილაშქრა მოლჩანოვის გადაგვარების გამომხატველი ლექსის წინააღმდეგ, ასტროვმა გამართა უადგილო პოლემიკა, გამოიგონა ამ შემთხვევაში არ არსებული „მემარცხენე“ საფრთხეები და მათთან ბრძოლის დროს გამოსთქვა მრავალი შემცდარი და მავნე აზრი.

მესამე მაგალითი. პროექტის ირგვლივ გამართულ პოლემიკაში ამხ. დუდუჩავა შეეცადა „ცისფერ ყანწელების“ დაცვას. ის სცდილობდა დაემტკიცებინა, რომ **მთელი** ეს ჯგუფი ჩვენი თანამგზავრია. თუ გავიხსენებთ იმას, რაც ვთქვი მე აქ „ცისფერ ყანწელების“ შესახებ, ძნელი გასაგები არაა, რომ ასეთი პოზიცია მავნებელია. ყველა „ცისფერ ყანწელების“ დაცვის ნაცვლად ამხ. დუდუჩავას ყურადღება უნდა მიექცია მემარჯვენე ტენდენციისათვის, ამ ტენდენციის შეგუების უნარისათვის. ნათქვამიდან ასეთი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ: მემარჯვენე საფრთხესთან და მისდამი შემარიგებელ დამოკიდებულებასთან ბრძოლა უნდა გადაიქცეს პარტიული პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად მხატვრული ლიტერატურის დარგში. ამასთან დაკავშირებით საჭირო ხდება გაძლიერებული ბრძოლის წარმოება თანამგზავრების და იმ მწერლების დასაპყრობად, რომლებიც სურთ ჩვენთან დაახლოვება, მაგრამ მემარჯვენე საფრთხის ზრდის გავლენით ჩვენი მტრის მხარეზე გადადიან.

ყოველმხრივი დახმარება პროლეტარულ მწერლებს

ეხლა გადავალ ჩემი მოხსენების უკანასკნელ ნაწილზე — პროლეტარული ლიტერატურის საკითხზე. მე არ დავიწყებ საბუთების მოყვანას იმის დასამტკიცებლად, რომ პროლეტარული ლიტერატურა გაიზარდა. ეს დამტკიცებულია მრავალი პარტიული დოკუმენტით (ჩვენი ყრილობის რეზოლიუციები).

მაგრამ პროლეტარული ლიტერატურის ზრდა კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ პროლეტარულმა მწერლებმა უკვე მოიპოვეს ჰეგემონიის ისტორიული უფლება. არც ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროლეტარულმა ლიტერატურულმა მოძრაობამ უკვე გადალახა თავისი განვითარების ყველა ძირითადი სიძნელე. ჩვენ უნდა ვუთხრათ ჩვენს პროლეტარულ მწერლებს, რომ ის სიძნელენი, რომელნიც მათ უნდა გადალახონ ჰეგემონიისაკენ მსვლელობის პროცესში, **მხოლოდ ეხლა ჩნდებიან მათ წინაშე.** ჩვენი პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ორგანიზაცია ამჟამად განიცდის უძნელეს და ურთულეს ეტაპს, ის განიცდის გარდატეხის ეტაპს, რომელიც დაკავშირებულია მრავალ მტკივნეულ მოვლენებთან, ნაწილობრივ კრიზისებთან, ნაწილობრივ მარცხებთან და შესაძლებელი დროებითი უკან დახევის შემთხვევებთანაც.

ახალი ეტაპის სიძნელენი

რაშია ახალი ეტაპის სიახლე და რაშია მისი ძირითადი სიძნელენი? იმაში, რომ პროლეტარული ლიტერატურის წინაშე, მისი შემოქმედებითი მიღწევების ზრდასთან ერთად, მრავალი ახალი წარმოების გამოჩენასთან ერთად, ისმება ისეთი საკითხები, რომელთა გადაჭრას დიდი მეცნიერული ბარგი ესაჭიროება. ეხლა პროლეტარული ლიტერატურის შემდგომი ზრდა შეუძლებელია მარქსისტული ლიტერატურის ძირითადი საკითხების ცოდნის გარეშე, თეორეტიული მუშაობის გარეშე ეგრედ წოდებული „შემოქმედების ფსიქოლოგიის“ დარგში. ამისათვის საჭიროა დიდი ერუდიცია. ეს კი ჩვენ ჯერ არა გვაქვს, ისე, როგორც არა გვაქვს რამდენადმე მაინც სისტემაში მოყვანილი მემკვიდრეობა. ასეთ მუშაობაში ჩვენ ჩვეულებრივად პლეხანოვს ვეყრდნობით, მაგრამ პლეხანოვმა—მხოლოდ ზოგად, სრულიად არა საკმაო ხაზებში გვიჩვენა მარქსისტული ხელოვნების მცოდნეობის საფუძვლები. ამიტომაც ჩვენს ცდებში, იმ ამხანაგების ცდებში, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ ლიტერატურის საკითხებზე, ათასობით აქვს ადგილი ყოველგვარ შეცდომებს.

მაგრამ სირთულე მარტო იმაში კი არაა, რომ ჩვენ სუსტნი ვართ, არამედ იმაშიაც, რომ ლიტერატურის თეორიის დარგში, ისე, როგორც შემოქმედებაშიაც, ჩვენ კლასობრივი მტრები გვყავს. გვყავს იდეალისტები, რომლებიც გამოდიან როგორც აშკარად, ისე ფარულად, უფრო ხშირად ფარულად, გვყავს ეკლექტიკოსები, ვულგარიზატორები, მარქსიზმის გამამარტივებელნი და სხვ.

„მარქსისტულ ალღოს“ წყალობით ჩვენ საშუალება გვაქვს თითქმის ყოველთვის გამოვააშკარაოთ ჩვენი მტერი და გავაკრიტიკოთ იგი უარყოფითად, მაგრამ ჯერ კიდევ ყოველთვის არ ძალგვიძს გავაკრიტიკოთ იგი პოზიტიურად, მის პოზიციას დავუპირისპიროთ ჩვენი საკუთარი პოზიცია, ამისათვის ძალღონე არ გვყოფნის და არც გვეყოფა, სანამ პარტია თავისი საუკეთესო მარქსისტულ კვალიფიციური ძალებით არ დაეხმარება პროლეტარულ ლიტერატურას. თავის დროზე ამხ. მახარაძე მუშაობდა ლიტერატურის საკითხებზე. სამწუხაროდ, ამჟამად ამხ. ფილიპე და მთელი რიგი სხვა ამხანაგები, რომლებიც შეიძლოთ დახმარება გაეწიათ ჩვენთვის ლიტერატურის მცოდნეობის მეთოდოლოგიური საფუძვლების გამომუშავებაში, ამ საკითხზე სრულებით არ მუშაობენ. პარტია ისე უნდა მოიქცეს, რომ საუკეთესო მარქსისტული ძალების ნაწილმა თავისი ენერგია ამ მუშაობას მოახმაროს. უამისოდ ჩვენ ვერ დავამარცხებთ ჩვენს კლასობრივ მტერს, ვერ ჩავაყენებთ პროლეტარულ ლიტერატურას მისი წარმატებითი განვითარებისათვის საჭირო პირობებში.

ჰეგემონიის საკითხები

მე უკვე აღვნიშნე, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას რეზოლიუციაში ჰეგემონიის ცნება განმარტებული არ არის. ამიტომაც, იმასთან დაკავშირებით, რომ ამ საკითხზე არ არის გაცემული პირდაპირი პასუხი, ადგილი აქვს მრავალ გადამახინჯებას, მრავალ შემცდარ განმარტებას. ამას წინად გამოვიდა ერთი წიგნი—ლენინგრადის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში მომუშავე ჩვენი ამხანაგების—გორბაჩევის, მუსტანგოვის და სხვათა წერილების კრებული. გორბაჩევის წერილში ასეთი აზრებია გამოთქმული ჰეგემონიის შესახებ: „სოციალისტური ელემენტების ზრდა ჩვენს სამეურნეო ცხოვრებაში და პროლეტარიატის საერთო ხელმძღვანელი გავლენის გაძლიერება საზოგადოებრივ ცხოვრებაში ლიტერატურის ფრონტზეც სრულ გამარჯვებას მიანიჭებს მუშათა კლასს. ეს გამარჯვება იმის მომასწავებელი იქნება, რომ პროლეტარული ლიტერატურა ჰეგემონიას მოიპოვებს და მის რიგებში გადავა ყოველივე ის, რაც კი არის ცხოველმყოფელი მხატვრული შემოქმედების დარგში. ეს გამარჯვება იქნება „ოქტომბრის გარეშე“ და ახალ - ბურჟუაზიული ლიტერატურის საბოლოო გადაგვარების მომასწავებელი“.

იბადება კითხვა: ეს რაღა ჰეგემონია იქნება, თუ ყოველივე ცხოველმყოფელი პროლეტარულ ლიტერატურაში გადავა, ხოლო ლიტერატურაში ყველა კლასობრივი მტერი გაქრება. ეს სურათი შეეფერება უკლასო საზოგადოებას, სოციალისტური საზოგადოების პირობებს. მაგრამ განა შეიძლება ლაპარაკი, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში ადგილი ექნება პროლეტარულ ლიტერატურის ჰეგემონიას? რა თქმა უნდა, არა! მაგრამ დავუშვათ, რომ ეს სოციალიზმის პერიოდში კი არ ხდება, არამედ პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში,—დავუშვათ ასეთი არაჩვეულებრივი ამბავი, — განა შეიძლება ასეთ მდგომარეობას ჰეგემონია ვუწოდოთ? ჰეგემონია ხომ, უწინარეს ყოვლისა, ბატონობაა, მაგრამ ვისზე უნდა იბატონოს, როდესაც პროლეტარული ლიტერატურის, ე. ი. თვით ჰეგემონიის გარდა არავინ აღარ არის? მაგალითისათვის მოვიყვან უკვე ნაცნობ ამხ. დუდუჩავას. ამხ. პირის საპასუხოდ იგი სწერდა: „გაქრა თანამგზავრი და, მაშასადამე უკვე აღარ არსებობს პრობლემა თანამგზავრის შესახებ; პროლეტარულმა ლიტერატურამ უკვე მოიპოვა თავისი ჰეგემონიის ისტორიული უფლება“. ამხ. დუდუჩავას. თუ დავუჯერებთ, ისე გამოდის, რომ, რაკი თანამგზავრი გაქრა, პროლეტარული ლიტერატურის ჰეგემონია უკვე არსებობს. ეს არის პროლეტარული ლიტერატურის ჰეგემონიის ცნების არითმეტიკული ახსნა.

რა არის პროლეტარული ლიტერატურის ჰეგემონია? პროლეტარული ლიტერატურის ჰეგემონია იმავე ნიშნებით უნდა განისაზღვრებოდეს, რომლებითაც განისაზღვრება პროლეტარიატის ჰეგემონია ეკონომიკისა და პოლიტიკის დარგში. ამხანაგმა ლენინმა პროლეტარიატის ჰეგემონია განსაზღვრა სამპიროვანი ან სამწევრიანი ფორმულით.

ის ამბობდა, რომ ჰეგემონია არის უწინარეს ყოვლისა კლასობრივი მტრის დამხობა, შემდეგ გლეხობისათვის ხელმძღვანელობის გაწევა და მისი მიმხრობა და მესამე—ხელისუფლების გამოყენება სოციალისტური საზოგადოების დასამყარებლად.

პროლეტარული ლიტერატურის ჰეგემონია არის კლასობრივი მტრის დამარცხება ლიტერატურაში, ხელმძღვანელი როლი თანამგზავრების მიმართ და საკუთარი სკოლის, საკუთარი სტილის შექმნა.

თუ ამ საზომით მივუდგებით კითხვას—მივაღწიეთ თუ არა ჰეგემონიას,—ჯერჯერობით ამაზე უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ. პროლეტარულმა ლიტერატურამ წინ წაიწია ამ გზით, ის დამკვიდრდა მუშა მკითხველთა მასებში, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ხელმძღვანელ ლიტერატურულ რაზმს.

აქედან გამომდინარეობს ძირითადი ამოცანა პროლეტარული ლიტერატურის დარგში. ეს ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ნამდვილად უნდა გავუწიოთ დახმარება პროლეტარულ ლიტერატურას, რომელიც ჩვენში, ამიერ-კავკასიაში მეტად არახელსაყრელ პირობებშია. ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ მას, როგორც ნათქვამია ცეკას რეზოლიუციაში.

მე ვამტკიცებ, რომ მიუხედავად „ლამაზი სიტყვების“ სიუხვისა, არ შეიძლება ითქვას, რომ პროლეტარულ ლიტერატურას ყოველმხრივ ვეხმარებოდეთ და ხელს ვუწყობდეთ. ამით ის როდი მინდა ვთქვა, რომ პროლეტარულ ლიტერატურას ისე უნდა მოვეპყრათ, როგორც სათუთ ლიტერატურას—ისე უნდა მოვეპყრათ, როგორც სათუთ მცენარეს —საქმე ამაში არ არის. სადაც საჭიროა, მკაცრ კრიტიკას ადგილი უნდა ჰქონდეს. ზოგჯერ ის მართლაც საჭიროა. მაგალითად ლიტერატურაში მემარჯვენე საფრთხის ზრდის დროს, ნაციონალური ტენდენციების პირობებში ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, რომ ჩვენი პროლეტარული მწერლები ზოგჯერ ნაციონალისტური იდეოლოგიის რეციდივებს იჩენენ. ამიტომ ჩვენ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ნაციონალიზმს, ულმობლად უნდა აღვმოფხვრათ მისი რეციდივები პროლეტარულ ლიტერატურაში და ამავე დროს ყოველმხრივი დახმარება უნდა გაუწიოთ ამიერ-კავკასიის პროლეტარულ მწერლების ინტერნაციონალურ აღზრდას, მათ ინტერნაციონალურ შეკავშირებას.

ამიერ-კავკ. პოლიტმწერალთა ასოციაცია

ამას წინად დაარსდა ამიერ-კავკასიის პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია. ეს ასოციაცია ამიერ-კავკასიის ხალხების ინტერნაციონალური კულტურული კავშირის პირველი ქვაკუთხედია. ეს არის გამარჯვება არა მარტო პროლეტარული ლიტერატურის, არამედ მთელი კულტურული ფრონტისაც. ეს ამიერ-კავკასიის ყველა ჩვენი პარტიული ორგანიზაციის გამარჯვებაა. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ამიერ-კავკასიის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ბედიღბლით ამ ორგანიზაციის ჟურნალ „ნა რუბეჟე ვოსტოკა“-ს ბედიღბლით უაღრესად დაინტერესებული უნდა იყოს ყველა ჩვენი პარტიული ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციისათვის გაწეული დახმარება იმის საწინდარი უნდა იქნას, რომ განსაზღვრული დროის შემდეგ პროლეტარული ლიტერატურის ჰეგემონია ჩავთვალოთ უკვე განხორციელებულ და ჩვენს სინამდვილეში არსებულ ფაქტად. (ტაში).

---

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი“ № 252.

ქრონიკა

ამხ. ა. ენუქიძის ჩამოსვლა

გუშინ მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა საკავშირო ცაკის მდივანი ამხ. აბელ ენუქიძე.

საბჭ. კავშირის სამეცნიერო დაწესებულების გამოკვლევა

საბჭ. კავშირის სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო პირველი დეკემბრიდან იწყებს საბჭ. კავშირის ყველა (როგორც დამოუკიდებელი, ისე სხვადასხვა უწყებების გამგებლობაში მყოფ) სამეცნიერო დაწესებულებების გამოკვლევას. გამოკვლევამ უნდა ნათელჰყოს სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობის საერთო ხაზი, მათი „ბიოგრაფია", სამეცნიერო მუშაკების შემადგენლობა, მატერიალური ბაზა და სხვ. გამოკვლევა შეეხება საბჭოთა კავშირის ყველა მუზეუმებს.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩაბარება ფოსტაში

საკავშირო ფინსახკომმა და ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატმა 1928—29 წლისათვისაც დასტოვეს ძალაში შეთანხმება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ფოსტაში მიღებისა და გადაგზავნის შესახებ, სასოფლო-სამეურნეო გადასახადს მიიღებენ არა მარტო საფოსტო დაწესებულებები, არამედ წერილების დამტარებლებიც (სოფლად).

კოოპერატიული ინსტიტუტი

მოსკოვში ეწყობა სამომხმარებლო კოოპერაციის საკავშირო ინსტიტუტი. მეცადინეობა ინსტიტუტში დაიწყება 1929—30 სამოსწავლო წლიდან. მომავალი წლის გაზაფხულიდან დაიწყება სპეციალური შენობის აგება ინსტიტუტისათვის.

კანონების სისტემატიური კრებული

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა გამოცემული იქნეს ამიერ-კავკასიაში მოქმედი ამიერ-კავკასიის მთავრობის მიერ გამოცემულ კანონების სისტემატიური კრებული. კრებულის გამოცემა დაევალა ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს; მასვე წინადადება მიეცა კანონების კრებულის დასამუშავებლათ გამოყოს სპეციალური კომისია. სისტემატიური კრებულის გამოცემის შემდეგ გაუქმებული იქნეს ყველა წინათ გამოცემული კანონების კრებულები.

სისტემატიური კრებული გამოცემული უნდა იქნეს 1929 წლის 1 მაისისათვის.

თბილისის აღმასკომში

◆ **ღრმა-ღელეში** არსებულ აგურის ქარხნების მექანიზაციისათვის აღმასკომმა გადასდო 382.000 მანეთი.

◆ **ახალი ტიპის შენობები სკოლებისათვის.** აღმასკომმა დაადგინა მაზრაში ააგოს ახალი ტიპის შენობები იმ სკოლებისათვის, რომლებიც მოთავსებულნი არიან დროებით ბინებში.

განათლების კომისარიატში

◆ **კოოპერატიული ტეხნიკუმი.** განათლების კომისარიატის დადგენილებით სიღნაღის სამრეწველო-ეკონომიური ტეხნიკუმი გადაკეთებული იქნა კოოპერატიულ ტეხნიკუმად.

◆ **სატყეო ტეხნიკუმი.** წელს ყვარელში გაიხსნა სატყეო ტეხნიკუმი, რომელშიაც მეცადინეობა დაიწყება ნოემბრის პირველ რიცხვებში.

◆ **თბილისის მე-2 სამრეწველო-ეკონომიურ** ტეხნიკუმი გადაკეთებული იქნა ჰიდრო-ტეხნიკუმად.

◆ **თბ. ინდუსტრიალურ ტეხნიკუმთან** წელს გაიხსნა საამშენებლო განყოფილება.

◆ **სამთო საქარხნო-საფაბრიკო სკოლა.** წელს ჭიათურაში გაიხსნა სამთო საქარხნო-საფაბრიკო სკოლა.

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატში

◆ **„მოსავლის დღე".** მიწ. სახ. კომისარიატის ცნობით, გორის მაზრაში „მოსავლის დღის" ჩატარება დაიწყო 29 ოქტომბერს.

◆ **სახელოსნოები.** მიმდინარე წელში მაზრებში სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესაკეთებელ ახალ სახელოსნოების მოსაწყობად მიწადმოქმედების სახ. კომისარიატმა გადასდო 150.000 მანეთი.

ა.-კ. კოოპერატივთა კავშირში

◆ **პურის საცხობი.** ა.-კ. კოოპ. კავშირმა დაამტკიცა თბილისში პურის მეორე საცხობ ქარხნის აგების გეგმა. მეორე ქარხნის აგება დაჯდება 750 ათასი მანეთი.

◆ **კოოპერატიულ შინაარსის სურათი.** ა.-კავ. კოოპ. კავშირმა სახკინმრეწვს გადასცა 27.000 მანეთი კოოპერატიულ შინაარსის სურათის დასამზადებლად.

სასოფლო-სამეურნეო ბანკში

◆ **ყოფ. წითელარმიელთა და პარტიზანების** მეურნეობის დასახმარებლად სას.-სამ. ბანკმა გადასდო 4300 მან.

სხვადასხვა

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** ბათომიდან — მეიენდორფს, ზაციდოვიდან—მოროზოვს, ბეჩოდან—მარგიანს.

„რევოლიუციის მატიანე" № 3 (20)

გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცკას და თბილისის კომიტეტის პარტიის ისტორიული ჟურნალი „რევოლიუციის მატიანე" № 3 (20).

ჟურნალში მოთავსებულია: **თ. სიხარულიძე**—„ოქტომბრის რევოლიუცია, სოციალ-დემოკრატია და ტროცკისტული ნეო-მენშევიზმი", **მ. ფროლენკო**—„როგორ მოჰკლეს ალექსანდრე მეორე", „პირველიდან მეხუთმეტე ყრილობამდე", **თ. ჟ.**—„მახნო და მისი მოღვაწეობა", **შამშე ლეჟავა**—„რევოლიუციონური ბრძოლა და პარტიული მუშაობა", **თენგიზ ჟღენტი**—„ბათომი 1901—1905 წლებში, ს.-დ. მეორე ყრილობის შემდეგ", **დ. ნასარიძე**—„ჩემი მოგონება", **სანდრო ჩოდრიშვილი**—„ღელაბრის სტამბის გარშემო", **გ. მეუნარგია**—„1905 წელი ზუგდიდის მაზრაში", **ნიკო იტრიევი (მკერვალი)**—„თბილისის მკერვალთა გაფიცვა 1902 წელში". ავტობიოგრაფიები: „გიგო ლელაშვილი", „სტეფანე ზაქრაძე", მიხეილ კინწურიშვილი—„მოგზაური" (ნარკვევი). პარტიული არქივი. „პარტიის მუშაობის გარშემო". მასალები და დოკუმენტები. ჟურნალი შეიცავს 223 გვერდს.

ხელოვნება

ქუთაის-ბათომის სახელმწიფო თეატრი

ქუთაის-ბათომის სახელმწიფო თეატრმა **კოტე მარჯანიშვილის** ხელმძღვანელობით უკვე დაამთავრა მოსამზადებელი მუშაობა. ქუთაისში სეზონი გაიხსნება შაბათს, 3 ნოემბერს. წარმოდგენილი იქნება ერნსტ ტოლერის პიესა „ჰოპლა! ჩვენ ვცოცხლობთ". თარგმანი ბესო ჟღენტის. დადგმა — **დოდო ანთაძის**, მხატვარი — **დ. კაკაბაძე**, მუსიკა— **დ. მაჭავარიანის**. დირიჟორი — **ალ. გველესიანი.**

წარმოდგენაში მონაწილეობენ: ვ. აბჯაფარიძე, შ. გომელაური, მ. დავითაშვილი, ელ. დონაური, ირ. დონაური, ს. ვაჩნაძე, იუზა ზარდალიშვილი, ს. ზაქარიაძე, კვანტალიანი, გ. კოსტავა, ა. მაღლაკელიძე, ნ. მაჭავარიანი, ან. მურუსიძე, ალ. ჟორჟოლიანი, მ.სულთანიშვილი, ა. ქიქოძე, მ. ქორელი, შ. ღამბაშიძე, ვ. ჩომახიძე, უშ. ჩხეიძე, შ. ჩხეიძე, ვ. ჩხიკვაძე, ც. წუწუნავა, ს. ჭელიძე, ხ. ჭიჭინაძე, ვ. ჭიჭინაძე, შ. ხონელი, ი. ჯორჯაძე.

წარმოდგენა განმეორებული იქნება კვირას, 4 ნოემბერს.

იგივე პიესა ბათომში წარმოდგენილი იქნება 7 და 8 ნოემბერს.

ქუთაისში შაბათს 10 და 11 ნოემბერს წავა მეორე პრემიერა. წარმოდგენილი იქნება **ბერნარდ შოუს** პიესა: „წმინდა ქალწული" თარგმანი **ი. გრიშაშვილის.** დადგმა — **ვახტანგ აბაშიძის**, მხატვარი-აკადემიკოსი — **ი. შარლემანი**, მუსიკა — **თ. ვახვახიშვილის**, დირიჟორი — **ა. გველესიანი.** წარმოდგენაში მონაწილეობენ: შ. გომელაური, ელ. დონაური, ირ. დონაური, ს. ვაჩნაძე, ი. ზარდალიშვილი, ს. ზაქარიაძე, ალ. იმედაშვილი, კ. კვანტალიანი, გ. კოსტავა, ალ. მაღლაკელიძე, ან. მურუსიძე, ალ. ჟორჟოლიანი, მ. სულთანიშვილი, მ. ქორელი, შ. ღამბაშიძე, ვლ. ჩომახიძე, შ. ჩხეიძე, ვ. ჩხეიძე, ც. წუწუნავა, ს. ჭელიძე, თ. ჭავჭავაძე, პ. ჭიჭინაძე, შ. ხონელი.

ჭიათურის აკადემიური თეატრი

1928-29 წლის სეზონისთვის ჭიათურის აკადემიური თეატრი გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს. დასის ხელმძღვანელათ მოწვეულია რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი. დასში მოწვეულნი არიან აბრამიშვილი მარო, ალაზნისპირელი ალ., გვინჩიძე ივ., დარსაველიძე შალვა, ვანელი ივ., ვაშაძე შ., ვაშაძე მიხ., კაკაბაძე ნატ., კიკნაძე თამარ, ლეჟავა ბიცოლი, ლეჟავა სავლე, ლეჟავა ალ., ლოლაძე ვალ., სვანელი, სიხარულიძე ნ., ტყაბლაძე გ., ურუშაძე, ზ., ჩარკვიანი თ., ფერაძე ე., ჯაფარიძე შ., ცომაია (მოკარნახე) და დამხმარე ჯგუფი 15 კაცის შემადგენლობით. რეჟისორები: ლეჟავა ბ. და ურუშაძე ზ.; მხატვარი მ. კაბარდინ - ოსიპენკო. თეატრის გამგე ქ. მიშველიძე.

მზადდება დასადგმელათ: „რელსები გუგუნებენ" კირშონის, „ლაიდ გზერ" დია ჩიანელის, ჰოპლა, ჩვენც ვცოცხლობთ" ერნესტ ტოლერისა, „ქაქალ გულში" შ. დადიანისა, „ტარიელ გოლუა" ლ. ქიაჩელისა, „კაცია ადამიანი" ილია ჭავჭავაძისა; დაიდგმება აგრეთვე კლასიკური პიესები და რუსეთის დრამატურგიის თვალსაჩინო ნიმუშები.

სეზონი გაიხსნება ნოემბრის პირველ რიცხვებში კირშონის პიესით „რელსები გუგუნებენ". ამჟამად სწარმოებს სცენის გადაკეთება (მოწყობილი იქნება მბრუნავი სცენა).

ადგილობრივი აღმასკომი თეატრს უწევს დიდ მატერიალურ დახმარებას. სამაზრო აღმასკომის დავალებით ჭიათურის აკადემიური თეატრის დასი ქ. ზესტაფონში თვეში დადგამს ოთხ წარმოდგენას. ამ მიზნისათვის სამაზრო აღმასკომმა გაიღო საჭირო თანხა.

ხელოვნების ქრონიკა

— **ბეჰროდნის კონცერტი.** 2 ნოემბერს, კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება ბეჰროდნის კონცერტი.

— **თურქული დრამის სეზონი** გაიხსნება 2 ნოემბერს რუსთაველის თეატრში.

შემთხვევები

მკვლელობა ხაშურში

ხაშურში, მემანქანე ივანე ბახია სცხოვრობდა მოქ. სანდრო გიკაშვილის სახლში. სახლის პატრონს ბახიასთან განუწყვეტელი ჩხუბი ჰქონდა და მოითხოვდა მისგან ოთახის დაცლას. გიკაშვილი ყოველნაირად ცდილობდა როგორმე თავიდან მოეშორებია მდგმური და რომ ვერაფერი გააწყო, შურისძიების ნიადაგზე 10 ოქტომბერს ღამის 12 საათზე ცეცხლი წაუკიდა თავის სახლს.

ბახია გამოვარდა თავის ოთახიდან ცეცხლის ჩასაქრობად. მაგრამ იქვე ჩასაფრებულმა გიკაშვილმა თოფით სასიკვდილოთ დაჭრა იგი. გიკაშვილმა მოასწრო მიმალვა.

ბახია იმ ღამესვე წაიყვანეს გორის საავადმყოფოში, სადაც მეორე დღეს გარდაიცვალა.

თვით გიკაშვილი კი დილას მილიციამ ნახა მინდორში ცოცხალ-მკვდარი და ის მილიციაში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. როგორც ირკვევა, ბოროტმოქმედებაში მონაწილეობას ღებულობდა გიკაშვილის შვილიც, რომელიც ამჟამად დაპატიმრებულია.

ქურდობა

იოსებ შატბეროვის ბინიდან (მარტის ქ. № 2) მოიპარეს 100 მანეთის სადურგლო ინსტრუმენტები. მოქ. იოსებ ტოკმაჯიანცს კომუნართა ბაღში მოპარეს პალტო. თავისუფლების მოედანზე პაპიროსით მოვაჭრე იაკობ აბიბოვს ვიღაც უცნობმა პირმა მოპარა 50 მანეთის პაპიროსი.—ასლან ვალი-ოღლის აბანოში ჯიბიდან ამოაცალეს 50 მანეთი. ამ საქმეზე მილიციამ დააპატიმრა ვასილ ილარიონის ძე მომცელიძე. გაქურდეს ლ. დიდზურაბოვის სავაჭრო სარდაფი (საბჭოთა ქ. № 43), მოპარულია სხვადასხვა ავეჯეულობა.

რეციდივისტები

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა მიხეილ ოდამაევი, ივანე სიმონოვი, ალი მირზას ძე ენგურაზოვი, ოლღა ხარბეზის ასული ნიკიტინა და თამარა გიგოს ასული ხუციშვილი (მცხ. შაუმიანის მოედანი № 12).

ხსენებულ პირებს ბრალდებათ ქურდობა და ჯიბგირობა.

შემოდგომის თესვა

ბორჩალოს მაზრაში

შემოდგომის თესვის კამპანიის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ კომისიის ცნობით, შემოდგომის თესვა უკვე დამთავრდა ბორჩალოს მაზრის მთიან ადგილებში, კერძოდ ბაშკიჩეთის რაიონში. დანარჩენ რაიონებში ადგილობრივ პირობების გამო თესვა იწარმოებს დეკემბრამდე. ბაშკიჩეთის რაიონში ყველა მიწები დათესილი იქნა გაწმენდილ და მოწამლულ თესლეულობით.

დაბლობ რაიონებში დაწყებულია ნაწილობრივი თესვა. ის მეურნეობები, რომლებთანაც დადებულია კონტრაქტები, ყანებს თესავენ მწკრივათ და ხარისხოვან თესლით. ამჟამად მაზრაში მუშაობს 7 ტრიერი და ერთი ხორბლეულის საწმენდი მანქანა.

მაზრამ ცენტრიდან სულ მიიღო 7000 ფ. თესლი, აქედან 3000 ფ. ქერი და 4.000 ფ. ხორბალი. გარდა ამისა წელს მაზრამ მიიღო მწკრივათ სათესი 4 მანქანა, 3 ფარცხი, 20 გუთანი და „ხოლტის" სისტემის ერთი ტრაქტორი, რომელიც გადაეცა სასოფლო-სამეურნეო არტელს.

„მოსავლის დღე"-ს ჩატარება მაზრაში დაიწყო 28 ოქტომბრიდან. რაიონებში ეწყობა სასოფლო-სამეურნეო გამოფენები და სათანადო მოხსენებები. გამოფენებში მონაწილე საუკეთესო მეურნე გლეხებს მიეცემათ ჯილდოები.

7 ნოემბერს ბაშკიჩეთში გაიხსნება მესაქონლეობის გამოფენა, ხოლო 8 და 9 ნოემბერს ქ. შულავერში და სარვანში მოეწყობა მეღვინეობა-მევენახეობის და ტეხნიკურ კულტურების გამოფენა.

გამოფენების მოწყობაში მონაწილეობას ღებულობენ გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების მოწაფეები და ადგილობრივი აგრო-დახმარების ორგანიზაციები. გამოფენებზე შესაფერი ახსნა-განმარტებები მიეცემათ გლეხებს და იქვე მოეწყობა სასოფლო მეურნეობის შინაარსის კინო-სურათების ჩვენება.

მოჯამაგირეთა დაზღვევა

სოცდაზღვევის მთავარ კომიტეტის ცნობით, უმუშევრობის დროს დახმარება მიეცემათ იმ მოჯამაგირეებს, რომელთა დამქირავებელნი იხდიან დაზღვევ შენატანებს 10 პროცენტის რაოდენობით. გარდა ამისა, უმუშევარ მოჯამაგირეს უნდა ჰქონდეს უმუშევრობამდის დაქირავებით შრომის 8 თვის სტაჟი. ასეთ უმუშევრებს დახმარების სახით თვეში მიეცემათ 4 მანეთი, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი იღებდა ის სამუშაოდან მოხსნამდე.

იმ მოჯამაგირეებს, რომლებიც დაქირავებულნი იყვნენ ერთი წლის ვადით, უმუშევრობის გამო დახმარება ეძლევათ არა უმეტეს სამი თვისა უმუშევრობიდან ერთი წლის განმავლობაში და არა უმეტეს 6 თვისა უმუშევრობის ერთი პერიოდში (ორი წლის განმავლობაში).

იმ პირებს კი, რომელნიც დაქირავებულნი იყვნენ სეზონურ ან დროებით სამუშაოზე, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო დარჩნენ უმუშევრად, დახმარება მიეცემათ არა უმეტეს 2 თვისა, სეზონის განმავლობაში.

დაზღვეულ მოჯამაგირეებს დასამარხი ფული მიეცემათ ათი მანეთის რაოდენობით.

ფეხმძიმეობით და მშობიარობით გამოწვეულ შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო, დახმარება მოჯამაგირე ქალებს მიეცემათ იმ შემთხვევაში, თუ მათ დაქირავებით უმუშავნიათ 6 თვე (ზედი-ზედ) ორი წლის განმავლობაში, ფეხ-მძიმეობის გამო სამუშაოდან განთავისუფლებამდე.

მშობიარობის გამო მოჯამაგირე ქალი თავისუფლდება 4 კვირით ადრე მშობიარობამდე და ოთხი კვირით მშობიარობის შემდეგ.

მშობიარე ქალს ერთდროული დახმარების სახით ეძლევა 10 მანეთი ხელფასის გარდა:

მოჯამაგირეთათვის საექიმო დახმარების აღმოჩენა დავალებული აქვს ჯანმრთელობა. განყოფილებებს: ეს უკანასკნელნი აგრეთვე ვალდებულნი არიან იმ რაიონებში, სადაც მოჯამაგირეთა რიცხვი დიდია, გახსნან სპეციალურად მოჯამაგირეებისათვის საექიმო დახმარების პუნქტები.

დასახიჩრების გამო მოჯამაგირეებს ენიშნებათ პენსია მათი თვიური ხელფასის რაოდენობით. პენსიონერის გარდაცვალების შემთხვევაში პენსიის მიღების უფლება აქვს გარდაცვალებულის შვილებს, ძმებს და დებს, რომელთაც არ შესრულებიათ 15 წელი, და შრომის უნარდაკარგულ მშობლებს და მეუღლეს.

მესამე ავიალატარია

მიმდინარე წლის ნოემბრის შუა რიცხვებიდან თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება შეუდგება სრულიად საკავშირო მესამე ავიალატარიის ბილეთების რეალიზაციას.

ლატარიის მიზანია თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების მატერიალური საშუალებების გაძლიერება.

გამოშვებული იქნება 4.000.000 ბილეთი ღირებულებით 50 კ. თითო ბილეთი. გათამაშებული იქნება 16.000 მოგება—300.000 მანეთის რაოდენობით. საშუალოდ ყოველ 250 ბილეთებზე მოდის ერთი მოგება, მაშინ როდესაც მე-2 ავიალატარიის დროს ყოველ 271 ბილეთზე მოდიოდა ერთი მოგება.

მოგებათა შორის არის მრავალი ნივთება, მაგ., მცირე ყალიბის თოფები, სასპორტო ხელსაწყოები და სხვა.

თანახმად საკავშირო თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმის დადგენილებისა, ლატარიიდან შემოსულ თანხების მნიშვნელოვან პროცენტს იტოვებენ ადგილობრივი ორგანიზაციები. რესპუბლიკანურ და საოლქო ორგანიზაციების განკარგულებაში რჩება 35 პროცენტი, საგუბერნიო ორგანიზაციები იტოვებენ 30 პროც. დატოვებულ თანხების 10 პროც. მოხმარდება უჯრედების მუშაობას.

ბილეთების გასავრცელებლად გამოყოფილი იქნებიან განსაკუთრებული რწმუნებულები, რომლებიც იმუშავებენ ორგანიზაციების პრეზიდიუმების ხელმძღვანელობით.

ავიაქიმის უჯრედების მიერ ჩატარებული იქნება თავის წევრთა შორის კოლექტიური ხელისმოწერა.

მესამე ავიალატარიის მსხვილ მოგებათა შორის არის: 2 მოგზაურობა დედამიწის გარშემო, 1 მოგზაურობა ამერიკაში, მოგზაურობა: მოსკოვი-ტოკიო-მოსკოვი; მოსკოვი-პარიზი-მოსკოვი; მოსკოვი-ვენა-მოსკოვი და სხვა.

რკინის მადანი ჩათახის რაიონში

ბორჩალოს მაზრაში, ჩათახის რაიონში, ამ სამი წლის წინად დაიწყო რკინის მადანის ძებნა.

გამოკვლევის რაიონიდან დაბრუნდა სამთო განყოფილების ინჟენერი-გეოლოგი კ. გაბუნია, რომელმაც ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— ამჟამად დამთავრებულია დამურ-ხუს, ბალი-დარას და ტაშყიასანის რაიონების გეოლოგიური გადაღება და გამოკვლევა, დაახლოებით გამოანგარიშებით მადნის მარაგი უდრის 60—70მილიონ ფუთს. მადანი შეიცავს 45 პროცენტამდე წმინდა რკინას. გამოკვლევა სწარმოებდა საბჭოთა კავშირის გეოლოგიური კომიტეტის და საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს დავალებით.

ჩათახის რაიონის რკინის მადანის საბადოები უმნიშვნელოვანესია ჩვენს რესპუბლიკაში. ამ საბადოების ეკონომიური მნიშვნელობა გამოირკვევა ძიებისა და გამოკვლევის მასალების დეტალურად დამუშავების შემდეგ. ამ მხრივ პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია. 82 გამორჩეული ნიმუში ამ დღეებში გაიგზავნება ლენინგრადში ანალიზის მოსახდენად. მიღებულია აგრეთვე ნიმუშები მიკროსკოპით გამოსაკვლევად.

ჩათახის რაიონში შეკრებილია დიდძალი მასალა და მის სათანადოდ დასამუშავებლად წელიწადზე მეტი იქნება საჭირო.

მზადება თბ. მაუდის ქარხნის ასამუშავებლად

ნედლეულის მომარაგების გეგმა

მომავალი წლის შემოდგომიდან მუშაობას დაიწყებს თბილისის მაუდის ფაბრიკა. ფაბრიკის მატყლის საწმენდი ცეხი კი ამუშავებული იქნება გაზაფხულიდან. ეს ცეხი გადაამუშავებს საქართველოში, შეგროვილი მატყლის მთელ რაოდენობას. იმ მიზნით, რომ შემოდგომიდან ქარხანამ დაუბრკოლებლად დაიწყოს მუშაობა და შესძლოს გათვალისწინებული საწარმოო პროგრამის შესრულება, საჭიროდაა აღიარებული, რომ აქედანვე იქნეს დაჭერილი თადარიგი ფაბრიკის უზრუნველსაყოფად საჭირო რაოდენობის ნედლი მასალით.

ს.მ.უ.ს. საგეგმო-საწარმოო განყოფილების ცნობით 1928-29 სამეურნეო წლის განმავლობაში ქარხანას დასჭირდება 267 ტონა ქართული მატყლი და 74,5 ტონა საიმპორტო მატყლი. საიმპორტო მატყლის რაოდენობიდან 44,5 ტონა შემოტანილი იქნება ხორასანიდან (სპარსეთი) ხოლო 30 ტონა — დასავლეთ ევროპიდან. გარდა ამისა ფაბრიკას მომავალი წლის განმავლობაში დასჭირდება 15 ტონა აქლემის მატყლი, რომელიც დამზადებული იქნება საბჭოთა კავშირში.

გარდა მატყლისა, ფაბრიკის საჭიროებისათვის მომარაგებული იქნება საღებავების საჭირო რაოდენობაც.

ფაბრიკის პირველი პროდუქცია ბაზარზე გამოშვებული იქნება 1929 წლის ოქტომბერში.

ჭიათურის ქვის მაღაროებში

ჭიათურიდან თბილისში ჩამოვიდა საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოს შავიქვის ტრესტის გამგე ამხ. კ. მოდებაძე.

ა.-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს მან შემდეგი განაცხადა იმ მუშაობის შესახებ, რომელიც სწარმოებს ხარიმანის ყოფილ კონცესიაზე.

„ამჟამად ჭიათურაში უკვე ამუშავებულია 8 შავი ქვის მრეცხავი ქარხანა, რომლებიც დღეში 1.000 ტონა გარეცხილ შავ ქვას იძლევიან.

სწარმოებს მზადება კიდევ 8 ქარხნის ასამუშავებლად. ნოემბრის დამლევს 14 მრეცხავი ქარხანა უკვე 2.000 ტონა მადანს მოგვცემს.

კონცესიონერების დროს გაცილებით ნაკლები მადანი მუშავდებოდა. მუშათა რიცხვი შეუჩერებლად იზრდება. ბოლო ხანებში კონცესიაზე მუშაობდა 500 კაცი, ახლა კი 2.000 მუშამდეა. დეკემბერში კიდევ 1.000 მუშის მიღებაა განზრახული. ამუშავებული შავი ქვის მრეცხავი ქარხნები საფუძვლიანად შევაკეთეთ, რადგან კონცესიონერის წასვლის შემდეგ 36 ქარხნიდან მხოლოდ ერთი იმყოფებოდა წესიერ მდგომარეობაში.

ტრესტი განიცდის რელსების, პატარა ვაგონების და საქარხნო მანქანების სათადარიგო ნაწილების დიდ ნაკლებობას".

სასამართლო

საიდუმლოებით მოცული მკვლელობა

ისაკი დავითისძე შაფთოშვილი ნოქრად მსახურობდა მოქ. მეკინულოვის ჭურჭლეულობის მაღაზიაში.

ერთ დღეს, სახელდობრ ა.-წ. 8 აგვისტოს, შაფთოშვილი თავის დამქირავებელს უამბობს, რომ მას ჰქონდა ბრილიანტის თვლებიანი ოქროს საყურეები და ოქროს ძეწკვი, რომლებიც მიჰყიდა ვაჭარ რაფაელ ბოთურაშვილს. მორიგდნენ 1.662 მანეთად. 12 მანეთი (!) მიიღო ნაღდათ, ხოლო როცა დანარჩენ ფულს მიაკითხა, ბოთურაშვილმა 600 მანეთი შეაძლია და უთხრა, მეტი არ ღირს, რადგან ბრილიანტის მაგიერ საყურეებს ციმბირის ქვის თვლები აღმოაჩნდაო.

შაფთოშვილი დამქირავებელს სთხოვდა რჩევას, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო.

შაფთოშვილს ურჩიეს შუაკაცების საშუალებით საქმის მოგვარება და ყოველ შემთხვევისათვის მილიციაში განცხადების შეტანა ამის შესახებ.

დამქირავებელმა მეკინულოვმა თავის ნოქარს ურჩია, რომ შუა-კაცათ მიეგზავნა ბოთურაშვილთან ვინმე აპრიკოვი, რომელიც [illegible] **იცნობდა მას.**

აპრიკოვს [illegible] ჭურჭლეულის მაღაზია, სადაც უნდა მომხდარიყო მომჩივან-მოპასუხის შეხვედრა შუა-კაცების თანდასწრებით.

ყველას უკვირდა ჯერ ერთი, საიდან იშოვა ნოქარმა ასეთი ძვირფასი ნივთები და გარდა ამისა, როგორ ანდო 1.660 მანეთად ღირებული ნივთები უხელწერილოდ მოქ. ბოთურაშვილს, რომელსაც იგი მხოლოდ შორიდან იცნობდა.

მოიყვანეს შუა-კაცებმა ბოთურაშვილი აპრიკოვის მაღაზიაში, სადაც შაფთოშვილმა შუა-კაცებს აღარ დააცალა ლაპარაკი და დაუწყო ამაღლებული კილოთი ლაპარაკი ბოთურაშვილს: „ეხლავე ანგარიში გამისწორე, თორემ მე ვიცი როგორ გაგისწორდეო".

— შარია! დაიკარგე შენ აფერისტო აქედან, — დაუყვირა ბოთურაშვილმა შაფთოშვილს და გაიქცა მილიციის დასაძახებლად.

როგორც კი გავიდა კარებში, შაფთოშვილი დაეწია ბოთურაშვილს და წინასწარ მომზადებული დანით რამდენიმე სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. ბოთურაშვილი გარდაიცვალა. შაფთოშვილი დააპატიმრეს.

გამოძიებით ვერ იქნა დადასტურებული, მართლა ჰქონდა თუ არა ძვირფასი ნივთები შაფთოშვილს. ამის შესახებ არავითარი საბუთი არ არსებობს, გარდა შაფთოშვილის სიტყვიერი განცხადებისა. დაუჯერებელია, რომ 1.660 მანეთად ღირებული ძვირფასი ნივთები მან უხელწერილოდ ანდო მის შორეულ ნაცნობს ბოთურაშვილს, მაშინ, როცა, როგორც თვითონ ამბობს, ისე ფრთხილად ინახავდა ამ ნივთებს, რომ ცოლსაც კი არ უმხელდა, სად ჰქონდა შენახული.

მკვლელობის მიზეზი ბურუსით არის მოცული.

საქმე გადაეცა გასარჩევად თბილისის მაზრის სასამართლოს.

განაჩენი გამფლანგველ არჩუაშვილის საქმეზე

გუშინ თბილისის სამაზრო სასამართლომ ამხ. **რ. კალანდაძის** თავმჯდომარეობით გამოიტანა განაჩენი გამფლანგველ **გიორგი სოლომონის ძე არჩუაშვილის** საქმეზე.

არჩუაშვილს დაუმტკიცდა 1926 წ. ოქტომბრიდან 1928 წ. მარტამდე, მესამე უბნის სახალხო სასამართლოს უფროს მდივნად ყოფნის დროს 1.281 მანეთის გაფლანგვა და აგრეთვე თავისი დანაშაულებრივი დაუდევრობით 2.119 მანეთის ზარალის მიყენება დაწესებულებისათვის, რისთვისაც მას **მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა სამი წლით სასტიკი იზოლიაციით.**

გარდა ამისა არჩუაშვილს ეკრძალება 5 წლის განმავლობაში რაიმე თანამდებობაზე დაკავება სასამართლო დაწესებულებებში.

თემალმასკომის თავმჯდომარის გასამართლება

თბილისის სამაზრო სასამართლოს გასვლითმა სესიამ 27 ოქტომბერს მანგლისში გაარჩია შუა-წალკის თემალმასკომის ყოფ. თავმჯდომარის **გარეგინ თათეოსის ძე აბელოვის** საქმე.

აბელოვი შუა-წალკის თემში სახელ განთქმული იყო არა როგორც ენერგიული მუშაკი თემის მასშტაბით, არამედ როგორც იშვიათი მოქეიფე და „პურ-მარილის კაცი" სამაზრო მასშტაბითაც.

აბელოვის თავაწყვეტილ ქეიფის შესახებ სად არ იციან! იკითხეთ სოფელ შამაქსიზში, აიაზმაში, ავსალოროში, ქ. გორში და სხვ. ყველგან იცნობენ აბელოვს, როგორც კარგს თამადას, ყველგან ჩაუტარებია აბელოვს ღვინის და შემწვარ-მოხრაკულების სალიკვიდაციო „კამპანია".

აბელოვი ყოველთვის გაურბოდა რევიზიას. რამდენიმეჯერმე კიდეც მოუხერხებია სხვა და სხვა გარემოებათა მომიზეზებით თემალმასკომის რევიზიის გადადება.

ამას აბელოვი სჩადიოდა იმიტომ, რომ გაფლანგული ჰქონდა საგრძნობი თანხა.

როგორც იქნა თავმჯდომარის ნება-სურვილის წინააღმდეგ სარევიზიო კომისიამ შეაღო აღმასკომის კარები და შეუდგა საანგარიშო წიგნების გადათვალიერებას.

აღმოჩნდა, რომ აბელოვი მარდი ყოფილა არა მარტო ღვინის სმაში, არამედ აგრეთვე სახაზინო ფულის ფლანგვაშიაც.

აბელოვს თბილისის აღმასკომიდან მიღებული დოტაციის ნაღდი 500 მანეთი თავისთვის გადაუდვია და არ გაუტარებია წიგნებში. ეს თანხა მოხმარდა ქეიფს და დროს ტარებას.

აბელოვს არ დაუზოგავს სესხის ობლიგაციების რეალიზაციიდან მიღებული თანხაც 572 მანეთის რაოდენობით.

ეს 572 მანეთი აბელოვს თბილისში უნდა გადმოეგზავნა დაუყონებლივ, მაგრამ მის გადმოგზავნას იგვიანებდა ახალი დოტაციის მიღებამდე. აბელოვი ყოველთვის დოტაციის იმედით ცხოვრობდა, დოტაციას გამოჰყავდა იგი გაჭირვებულ მდგომარეობიდან.

აბელოვს მოუვიდა მიმართვა სესხის ობლიგაციების ანგარიშების დაუყონებლივ გასწორების შესახებ. სწორედ ამ დროს აღმასკომს მოსდის დოტაცია თბილისის აღმასკომიდან —1.700 მანეთის რაოდენობით.

ნახა გამოსავალი აბელოვმა. დოტაციის მიღებისთანავე ფოსტა'შივე გადააწყო ცალკე გაფლანგული 572 მანეთი (ობლიგაციებიდან შემოსული თანხა) და იმ დღესვე გადმოგზავნა სწორი ანგარიში თბილისში.

წიგნში დოტაცია გაატარა იმ რაოდენობით, რაც მას დარჩა გაფლანგული თანხის დაფარვის შემდეგ.

ასე „მუშაობდა" შუა-წალკის თემალმასკომის თავმჯდომარე.

თავის „მოღვაწეობის" განმავლობაში მას გაფლანგული აქვს 1.514 მანეთი, რაც უსათუოდ დიდი თანხაა თემალმასკომისათვის.

ამას კიდევ დაუმატეთ აბელოვის ოინი. როცა საქმე წახდა და აუცილებელი იყო ბოროტმოქმედების გამოაშკარავება, აბელოვი აწყობს ქურდობის სიმულიაციას; ვითომ აღმასკომის სალარო გასცარცვეს. მაგრამ ვინ გაძარცვავდა შუა-წალკის აღმასკომს, როცა მცარცველი თვითონ თავმჯდომარეობდა მას.

გუშინ აბელოვს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით სასტიკი იზოლიაციით. აბელოვმა უნდა გადაუხადოს შუა-წალკის აღმასკომს მის მიერ გაფლანგული 1.514 მანეთი.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე — **ა. კალანდაძე**, სახ. მსაჯულები:—**მეგრიანცი, პაპიანცი**, პროკურორი—**კუპრაშვილი**, მდივანი—**ტატიშვილი**

გერ.

რკინისგზებზე

სპეკულიაცია სასურსათო ბილეთებით

ამ ბოლო დროს ა.-კ. რკინისგზებზე შემჩნეულია შემთხვევები, როცა ზოგიერთი რკინისგზელი ბოროტად იყენებს თავის სასურსათო ბილეთს სპეკულიაციის მიზნით.

იყო შემთხვევები, როდესაც რკინისგზელებმა სასურსათო ბილეთებით ქალაქიდან წაღებული პური გაჰყიდეს გადიდებულ ფასებში.

ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია რკინისგზელთა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც წინადადება მისცა საგზაო კომიტეტებს ფხიზლად ადევნონ თვალყური რკინისგზელების მიერ სასურსათო ბილეთების დანიშნულებისამებრ გამოყენებას.

ხსენებული წინადადების თანახმად, ა.-კ. საგზაო კომიტეტებმაც ანალოგიური წინადადებით მიმართა საუბნო კომიტეტებს. წინადადებაში ნათქვამია, რომ თითოეულ რკინისგზელს თავის პირადი საჭიროებისათვის სასურსათო ბილეთით შეუძლია წაიღოს არა-უმეტეს 16 კილო პური.

თუ შემჩნეული იქნა სასურსათო ბილეთების გამოყენება სპეკულიაციის მიზნით, დამნაშავეთ დაუყოვნებლივ ჩამოერთმევათ ბილეთები და დაისჯებიან სათანადოთ.

2.054,000 მანეთის ეკონომია

ა.-კ. რკინისგზების გამგეობამ განიხილა, რკინისგზისათვის გამოუსადეგარ და ზედმეტ მასალათა გამსაღებელ ბიუროს საქმიანობა.

გამოირკვა, რომ ბიუროს გასული წლის განმავლობაში გაუსაღებია 2.054.000 მანეთის მასალა, რითაც სავსებით შეუსრულებია გზის გამგეობის დავალება.

დარჩენილ მასალათა რეალიზაცია გრძელდება და იგი დამთავრდება მიმდინარე წლის თებერვალ-მარტში.

ავიაქიმში

პრეზიდიუმის სხდომა

დღეს, საღამოს 6 საათზე ამხ. გოირგაძის კაბინეტში (მე-2-ე ქართ. მსრ. დივიზიის შტაბი) შესდგება საქ. თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.

ავიაქიმის გამომცემლობა

საქ. ავიაქიმი შეუდგა ავიაქიმის ლიტერატურის გამოცემას ქართულ ენაზე.

დაიბეჭდა და დაიგზავნა ადგილობრივ ორგანიზაციებს „სამხედრო ცოდნათა წრეების პროგრამა". მოკლე ხანში გამოვა „ავიაქიმიზმი, მისი ორგანიზაცია და სამსახური" და „სამხედრო მუშაობა პიონერთა შორის".

„ფიზკულტურა და თავდაცვა"

ჟურნალ „ფიზკულტურა და თავდაცვა"-ს მორიგი მესამე ნომერი გამოვა 15 ნოემბერს.

საზამთრო მუშაობის გეგმა

საქ. თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმმა შეიმუშავა და დაუგზავნა ადგილებს საზამთრო მუშაობის გეგმა.

გეგმაში, სხვა საკითხებთა შორის, გათვალისწინებულია სააგიტაციო - საპროპაგანდო მუშაობის გაძლიერება, მასიური კამპანიების ჩატარება და გამომცემლობის გაფართოვება.

ფეხბურთი

„დონბასი" — „თბილისი"

გუშინ საღამოს დინამოს სტადიონზე შესდგა ამხანაგური მატჩი თბილისში ჩამოსულ ქ. სტალინოს (დონბასი) გუნდსა და საქ. პროფკავშირთა ნაკრებ გუნდს შორის.

თამაშის დაწყებისთანავე პროფკავშირთა ნაკრები გუნდი გადავიდა შეტევაზე. „დონბასი"-ს დამცველები წარმატებით იგერიებდენ იერიშებს. ერთ-ერთ შეტევის დროს „დონბასი"-ს ნახევარ-დამცველმა შემთხვევით ბურთი შეიტანა თავისივე ჭიშკარში, რაც ჩათვლილ იქნა გოლათ.

არ შეიძლება ითქვას, რომ რომელიმე გუნდს უპირატესობა ეტყობოდა, რადგან ორთავე გუნდი თამაშობდა თანაბრად და არ ჩამოუვარდებოდენ ერთმანეთ თამაშის ტეხნიკის მხრივ. უნდა აღინიშნოს მხოლოდ, რომ პროფკავშირთა ნაკრების გუნდის სამეული უფრო შეთანხმებულად თამაშობდა, ვიდრე დონბასელების მარბები.

სამეულის შეთანხმებული თამაშის შედეგი იყო „პროფკავშირთა ნაკრები"-ს მეორე გამარჯვება.

პირველი ტაიმი დამთავრდა 2:0 პროფკავშირთა ნაკრები გუნდის სასარგებლოდ.

სიბნელის გამო თამაში არ დამთავრებულა და შესწყდა 15 წუთით ადრე.

„ნაკრები დონბასი" — „დინამო"

დღეს, 31 ოქტომბერს, დინამოს სტადიონზე გაიმართება დონბასის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის და „დინამო"-ს შეჯიბრება.

დონბასის გუნდი გამოდის თავისი ძირითადი შემადგენლობით: **ალექსეენკო, ბოიჩენკო, პრავედნი, სურკოვი, კოსკოვი, ზაკუცკი, ბეზკროვნი, გორელოვი, გარობეცი, კუჩინსკი და მოგვინოვი.**

„დინამო"-ს მხრიდან თამაშობენ: **ბალდოევი, ფოჩხუა, ფაჩულია, პარამონოვი, ჟორდანია, ფრუიძე, პეჩენი, შულცი, ვაჩნაძე, პონომაროვი და ვ. ცომაია.**

შეჯიბრება დაიწყება ნაშუადღევის 4 საათზე.

ჭადრაკი

მატჩი - რევანში კაპაბლანკა-ალიოხინი

ჭადრაკის ყოფ. მსოფლიო ჩემპიონმა **კაპაბლანკამ** ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონი **ალიოხინი** გამოიწვია სარევანშო მატჩში. მატჩი, ალბათ, 1929 წ. შესდგება ამერიკაში.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი, 31 ოქტომბერი

დღეს, 31 ოქტომბერს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მუშათა რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; საუბარი ბიოლოგიაზე—ქართულ ენაზე; მუსიკალური ანტრაქტი; წითელარმიელთა რადიო-გაზეთი — რუსულ ენაზე; გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები—ქართულ და რუსულ ენებზე; ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—ქართულ და რუსულ ენებზე; კონცერტი სტუდიიდან.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 31 ოქტომბერს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გზავნის შემდეგ უმუშევრებს:

შავ მუშათა სექციიდან—ნაზიმ ტონოიანი, თამარა მეძველია, მარიამ ბებურიშვილი, ნინო სუმიონოვა, თამარა სამკოვა, ალექსანდრა დუდოვი, ნატალია ბაგდასაროვი, ოლღა ავლოხაშვილი, ვასილ აწვარუნაშვილი, ვართან [illegible]ქოვი, არუთინ ოსიპოვი.

მშენებელ მუშათა სექციიდან—მაკაროვი, ივანე მხიტარიანი, სიმონ ალემკო, აბეტის დარახჩიევი.

მედსექციიდან—მარიამ კასრაძე, როზა რობენშტეინი, ოლღა ბაგრიანსკაია.

გონებრივ მუშაკთა სექციიდან—ალექსანდრა გვასალია-ღლონტი, მარიამ რცხილაძე, არტემ მარგალიტაძე, ალექსანდრე გედევანიშვილი, სერაფიონ ხარაძე, სერგო მზარეულოვი, იოსებ ბილანიშვილი, ანტონ კეკელიძე, კოხრეიძე, ალექსანდრე ზერმან, თამარა კლაც, მიხეილ იმედაშვილი, ელისაბედ როსიშვილი, დავით მეგრელიშვილი, ივანე საყვარელიძე, ანდრო მალაშხია, ლიუდმილა მანსურაძე, ნინო ბორისოვი, გიორგი ფალავანდიშვილი, ლუკა ადვაძე, შალვა გოგუაძე, ელენა მიხაილოვსკაია-ალექსეევი, ელისაბედ ლომიძე, რადიონოვი, კაზაჩენკოვი, ნავროზაშვილი, კრიჟახაძე, ჯიჯავაძე, მაზავრაშვილი, თალაკვაძე, დაფქვიაშვილი, ჟიგალკო, ევგენია ყანჩელი, ელენა ძაგანია, ყიფხაშვილი, სულხანიშვილი, ბახჩიევი, მძინარიშვილი, ხოჭოლავა, ელიოზაშვილი, კაპანაძე, კარგანოვი და ლომიძე.

1927 წლის 10 პროცენტიანი სესხის ტირაჟი

ვათავსებთ ოფიციალურ ცხრილს 1927 წლის 10 პროც. მომგებიანი სესხის მოგებათა მეშვიდე ტირაჟისას, რომელიც სარატოვში შესდგა 20—22 ოქტომბერს

100 მანეთიანი მოგებანი

20 ოქტომბრის საღამოს სხდომა

მოგებანი ხვდა ოცივე სერიების შემდეგ ობლიგაციებს:

012.473	033.187	055.913	072.618	089.250	117.069	132.131	181.660
017.254	038.635	058.262	081.100	089.467	119.894	135.164	194.495
017.285	039.164	063.240	082.107	102.889	120.779	153.658	195.324
027.061	052.470	071.154	085.808	111.719	126.656	166.603	196.816

21 ოქტომბრის დილის სხდომა

მოგებანი ხვდა ოცივე სერიის შემდეგ ობლიგაციებს:

002.490	020.311	042.505	073.802	098.199	122.521	148.436	173.502
003.388	020.664	042.573	073.821	101.383	122.858	149.099	173.573
004.105	021.167	042.677	073.878	103.184	122.911	150.018	178.030
006.421	022.421	043.704	073.902	103.854	125.107	150.199	182.441
007.062	024.687	046.075	078.877	104.337	126.893	150.209	183.590
007.095	025.149	046.505	079.239	106.014	127.277	150.844	184.069
007.504	026.788	047.468	080.523	107.901	130.568	152.759	186.466
009.784	027.313	049.853	081.469	108.246	131.021	152.910	186.957
010.907	028.185	050.078	081.778	109.714	131.736	154.146	187.469
013.737	031.705	051.008	081.824	111.352	136.376	156.617	189.811
013.810	032.739	051.356	083.532	111.998	137.151	158.630	190.306
015.216	032.764	053.248	086.789	113.966	137.561	158.727	190.468
015.590	034.935	058.373	088.143	114.512	138.468	159.461	197.673
016.047	035.418	059.118	088.296	115.770	141.764	161.493	197.674
017.545	036.029	061.896	092.471	116.234	142.403	162.941	197.994
018.565	037.796	065.011	092.806	117.853	143.500	165.331	198.229
018.974	040.507	066.796	095.077	117.924	146.368	165.636	
019.059	041.098	067.911	095.188	118.348	147.060	166.651	
019.583	042.140	072.910	095.312	119.969	148.376	170.785	

გარდა ამისა ასმანეთიანი მოგებანი ხვდა შემდეგი ობლიგაციების ნომრებს და სერიებს: ობლიგაცია № 000.137, სერია—1—8, 1—20; ობლიგ. № 073.119, სერია—1—3, 5—20; ობლიგაცია №092.201, სერია—0.5; ობლიგაცია № 166.195, სერია—№ 11.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 31 ოქტომბერს, დღის 2 საათზე, ცეკას აგიტპროპბეჭდვითი განყოფილებაში შესდგება კომისიის სხდომა, რომელზედაც აუცილებელია შემდეგი ამხანაგების დასწრება: დ. კანდელაკი, მ. ტოროშელიძე, ასრიბეკოვი, ჩანკვეტაძე (სახ. პოლიტ. ინსტიტუტი), **სალუქვაძე ლავროსი, ცხაკაია** (პროფგანათლების მთავარმმართველობა), **ალნიაშვილი** (ცეკას საორგ. განყ.), **ჯაფარიძე** (ც.-კ. ქალთა განყ.), **ქვაძე ლავროსი, ცხაკაია** (პროფგანათლების **და გეგენავა** (პროლეტარული).

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი, დღეს 31 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, (რაიკომის ბინაზე) მიმღებ კომისიის სხდომაზე იწვევს შემდეგ ამხანაგებს: ესტატე შაუტაშვილი, ელენა ცერცვაძე, მირიან თოდრია, ვასილ როსტომაშვილი, სერგო მარინაშვილი, გიორგი ბაქრაძე, შალვა ქუბაბრია, ნინა კუშიტაშვილი, ტელემაკ კირტიჩიანი, ზაქრო შალიბაშვილი, ივანე იჩკიძე, ბარბალე კატანოვა, დავით ფარცხალაძე, კლიმენტი ახობაძე, კონსტანტინე ჭურღულია, რუბენ თავაძე, კონსტანტინე მერაბიშვილი, ფილიპე ნაროუშვილი, მიხეილ ამირანაშვილი, პეტრე მინდიაშვილი, ერმალოზ ლიპარტია, მისაკ პანორიანცი, ალექსანდრე დუნდუა, მიხეილ კერვალიშვილი, დავით გაბუნია, საჩე ჯაფაროვა, აეეტის კარაპეტიანი, სირაქან ავეტისიანი, ბოკერია, ალექსანდრე მჟავანაძე, მარიამ იუზბაშევი, გეორქ სტქიასიანი, დოქვირი, გრიგოლ გოჩაკა, შიო ჰანტურია, მიხეილ ლამბაროვი, ნინა ახალკაციშვილი, აგრაფინა დოლიძე, შალვა სალუქვაძე და ალექსანდრე სხირტლაძე.

თბილისის სახ. უნივერსიტეტის კომკავშირის ბიურო-კოლექტივი, დღეს 31 ოქტომბერს იწვევს პედაგოგიური ფაკულტეტის ორივე უჯრედების ბიუროების სხდომას 12 საათზე, სოც-ეკონომიური ფაკულტეტის ორივე უჯრედების ბიუროების სხდომას 1 საათზე და აგრონომიული ფაკულტეტის ქართული სექტორის უჯრედების ბიუროებს საღამოს 5 საათზე.

საქ. კომპარტიის თბ. ორგანიზაციის ლენრაიონის მშრომელ ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იუწყება, რომ ხუთშაბათს, 1-ლ ნოემბერს, საღამოს 6 საათზე შესდგება 1928-29 წლის მოწვევის დელეგატ-ქალების მეცადინეობა. 1-ლ და მე-2 ქართულ ჯგუფის მეცადინეობა შესდგება რკინის გზის სამმართველოში; მე-3 და მე-4 რუსული ჯგუფის მეცადინეობა შესდგება ძერჟინსკის სახელობის კლუბში.

საქ. კომპარტიის თბ. ორგანიზაციის ლენრაიონის მშრომელ ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იუწყება, რომ, დღეს, 31 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება ლენრაიონის ქალთა ორგანიზატორების თათბირი.

ოთხშაბათს, 31 ოქტომბერს, საღამოს 7 ნახევარ საათზე, სახ. პოლიტ. ინსტიტუტის შენობაში მოწვეულია ბიურო - კოლექტივის სხდომა. ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

პარასკევს, 2 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, სახ. პოლიტეხნ. ინსტიტუტის შენობაში შესდგება პოლიტ. ინსტიტ. კომპარტიის უჯრედების და ლენ. კომკავშირის უჯრედების ბიურო-კოლექტივების საერთო კრება. დასწრება ყველა წევრების და კანდიდატების სავალდებულოა.

დღეს, 31 ოქტომბერს დილის 10 საათზე, მოწვეულია სახ. უნივ. პედაგოგიური ფაკკომ-უჯრედის ბიუროს სხდომა (ადგილკომის ოთახში).

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო კოლექტივი წინადადებას აძლევს, პედაგოგიურ, აგრანომიულ და სამკურნალო ფაკულტეტების კომუჯრედების პარტკანდიდატებს გამოცხადდენ დღეს 31 ოქტომბრის საღამოს 5 საათზე ბიურო კოლექტივში პარტკანდიდატების შემმოწმებელ კომისიაზე.

გულმოკლული ქმარი დავით იაგორის-ძე შვილებით: მარო მეძმარიშვილისა ქმრით და შვილებით, ანა, თამარი, მიხეილი (მიშა), ვლადიმერი (ვალოდია) და ნიკოლოზი თავიანთ ცოლშვილით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 28 ოქტომბერს გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი ცოლი, დედა და ბებია

ელისაბედ (ლიზა) ნიკოლოზის ასული ჩხეიძისა

დაკრძალვა მოხდება 1 ნოემბერს, ს. ობჩაში. 4702

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: ნატაშა და აბესალომ ჟღენტები, დები: ქსენია, აგრაფინა, მარგარიტა და ნინა, ძმები: ვანიჩკა, შოთა, ილუშა, ტარიელი და იესე; რძლები: გოგოცა და ზუზულა, სიძეები ვიკენტი ავალიანი, გიორგი გუნც ძე, ალიოშა ხარებავა და ვასო ჭკუასელი თავიანთი შვილებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათთვის უძვირფასეს და დაუვიწყარ

თამარა აბესალომის ასული აბაშიძის

ტრაგიკულად გარდ ცვალებას. დაკრძალვა მოხდება შორაპნის მაზრაში სოფელ კინოთში ხუთშაბათს, ა. წ. 1 ნოემბერს. 4704

„კოლოსი"

1928|29 წლ. (ზამთრის) სეზონი

ანონსი! ამ დღეებში ცირკი „კოლოსის" სანახაობათა საზეიმო გახსნა

ახლად შედგენილ დასში შედიან საბჭოთა კავშირის და საზღვარგარეთის გამოჩენილი არტისტული ძალები. პროგრამა ევროპიულ ცირკების მასშტაბისაა.

პროგრამა შეიცავს საცირკო ხელოვნების ყოველ სფეროს.

ყველაფერი თბილისისათვის პირველად!

ყოველ სამ დღეში ახალი გასტროლები

თვალყური ადევნეთ რეკლამას! წაიკითხეთ აფიშები.

დირექცია ი. ზ. კუდრიავცევი თბ. ცირკის გამგე მ. ი. ტადე

რწმუნებული კ. მ. გრომიცკი

3—1 ნ. 1750

თბილისის ქალაქის ლომბარდი

(ცეცხოველის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 4 ნოემბერს, დილის 10 საათზე

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადაგასულ გირაოებისა, გასაყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 1758

შაუმიანის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ტ. ოგანეზოვი

ამით იუწყება, რომ პარასკევს ა. წ. 9 ნოემბერს შუადღის 12 საათზე ბ.-ტ. რ. გზების სადგურ სანდორზე **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება ოთხი ვაგონი შეშა, რომელიც ეკუთვნის ქალ. კარაკლისის მცხოვრებს არშაკ მელკონიანცს. შეშა იყიდება მოქ. მელკონიანცის იმ ვალის დასაფარავად, რომელიც მან კარაკლისის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელ ფურცლის № 969-ის თანახმად (620 მან.) უნდა გადაუხადოს მოქ. მუხდარ ამეშაევს. 4761

ჭიათურის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი შ. ს. ლაბაძე

ამით აცხადებს, რომ ის 5 ნოემბერს 1928 წ. დღის 12 საათზე ქალ. ჭიათურაში, აკაკი წერეთლის ქუჩაზე გაყიდის **საჯარო ვაჭრობით** ნარიმან ნიკოლსძე კობახიძის შერეულ მასალის შენობას (ძირს სავაჭრო ორი თვალით, მაღლა სართული მოუწყობელია), დაფასებულს 2500 მან. დასაკმაყოფილებლათ მიხეილ მეშუკის ვალისა, თანახმად აღმასრულებელ ფურცლისა შორაპნის სახალხო სასამართლოსი 4/7 აპრილის 1928 წ. № 1069. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს შენობის საჯარო ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული სამ. სამ. საპ. კოდ. მე-311 მუხ. და შენობის შეფასების 10 პროც. საწინდარი. ნ. 1756

ქ. თბილისის 1-ლი რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი მ. ი. ფირალოვი

ამით აცხადებს, რომ ის 2 ნოემბერს 1928 წ. დღის 12 საათზე სახლში № 4 სამხედრო ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის დიომიდე ლოქაძის მოძრავ ქონებას: 1 ც. კედლის საათი 60 მან., 1 ც. შიფონერკა 120 მან., 1 ც. სარკე 16×10 ვერ. 10 მან., მანქანა ხელისა—15 მან., სარკე 8×5 ვერ. 10 მან., 2 ც. მაგიდა ბამბუკისა 10 მან., ფინჯანი და ჭიქები ვერცხ. 8 მან. შეფასებულს 233 მანეთად, კიკულიძე პეტრეს ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის სახელმწ. სანოტორო კანტორისა 12 ნოემბერს 1928 წ. თარილით, № 628 გაცემულ პროტესტქმნილი თამასუქებისა. 4707

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.
ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11.
ტელ. 4—82. 25—1

ექიმი
ანასტასი ლევის ძე ორლოვსკი
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფთა მიღება. (სპეციალურად მალიარია) ამოის ქუჩა (ყოფ. ქსენიევის ქუჩა) № 9 მიღება დილით 1—2 საათამდე და საღამოთი 6—7 საათამდე. 25—1

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ(ტრიპერი)ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუსილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. №10

ექიმი
კ. ი. ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა (კანისა და ვენერიული სნეულებანი) მიღება, სიფილისი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.
მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 6. 1. 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების **უმტკივნეულოდ** ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 25—2

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. **შინაგანი** ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7— ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 6.

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 2. 25—2

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღას ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 6—8 კაცებს
5—6 ქალებს.
25—1

ექიმი **ივ. გველესიანის**
პარაზიტოლოგიური
კაბინეტი
იღებს გამოსაკვლევად ყოველგვარ მასალას სპეციალურად სისხლის პარაზიტებზე (მალარია, სპიროხეტოზი და სხვა) და ნაწლავების პარაზიტებზე (amoeba, trichomonas, giardia intestinalis და სხვა protozoa: ჭიებზე) მასალა გამოსაკვლევად მიიღება: დილის 8—9, საღამოს 5—7 საათ. ლენინის (ყოფ. ოლღას) ქუჩა 38
ელსმ. 6—22 4364 25—1

ექიმი
ტერ-ოვაკიმოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად: **სქესობრივი ფუნქციონალური აშლილობა და სიფილისი.** (ფსიხიოტერაპია)
ავადმყოფების მიღება: დილაობით: 11—1 საათ; საღამოობით 5—8 საათ საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქ., № 48, ცორესის (ყოფ. კირკის) ქუჩის. კუთხე. 25—1

ა. გ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

ექიმი
ს. ანდრეევისა
დაბრუნდა
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზის მკურნალობა
ღებულობს ავადმ. 5—7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან.
ელსმენი—11—78. ნ. 25—2

კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე
შეღავათიან ფასებში სწარმოებს ყოველგვარ **ხელოვნურ კბილების ჩასმა და პროტეზების მომზადება.**
იღება ავადმყოფებს ყოველდღე კვირა უქმის გარდა საღამოს 4—6 საათ მდე.
მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 126. 25—1

ექიმი
დარეჯან ე. თაყაიშვილი-კაკუბერი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება სემიონოვის (ვარდაცხის ქ.) მე-9-ე უბანი, № 16,
მიღება დილის 8—9 საათ
საღამ. 5—8 საათ.

ექიმი
ა. ს. ვადაჭკორია
დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12—ს—მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 35 25—1

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)
დღის 2—3 საათ. და საღამოს 6—8 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4
ტელ. 14—23.

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობა საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9 —12—საღ.7 ნახ.—8 ნახ. საათ
ტელეფ.—1267. 25—1

დაიკარგა: ქუთაისის კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 2281 შალიკო გიგოს ძე ჩოგავაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1757

დაიკარგა: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 22972 ვატი ერისტოს ძე ონიანის სახელზე, ჩ. გ. 4706

დაიკარგა: სამხედრო საალრიცხვო ბარათი რემანოზ კვისხვაძეს სახელზე, ჩ. გ. 4708

დაიკარგა: ცხრა წლედის დამთავრების მოწმობა № 149 ბესარიონ კოპალიანის სახელზე, ჩ. გ. 4708

დაიკარგა: სამხედრო ვარგისობის მოწმობა ფორმა № 9 ზიზა აბალაიას სახელზე, ჩ. გ. 4708

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.